www.24saati.ge

# 24 საათი

© გაზეთი 24 საათი | ორშაბათი 15 დეკემბერი, 2008 წელი. №280 (2024) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

პრესომბუდსმენი

A3



წრე

კანონი აღმართსაც ხნავს

A4

„სოლიდარნოსტ" – რუსული ოპოზიციის ფორმირება

A7



მეოთხე და სამართალი

A14



24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

BORJOMI ბორჯომი

GRDC group

ჯი პი აი ვენის სადაზღვევო ჯგუფი

# მას შემდეგ, რაც ყველა ალტერნატივას მოსინჯავ

ეკა კვესიტაძე

ყოველთვის შეიძლება გქონდეს ამერიკელების სწორი მოქმედების იმედი, მას შემდეგ, რაც ყველა სხვა ალტერნატივას მოსინჯავ, - უინსტონ ჩერჩილის ეს მოსაზრება შეიძლება საქართველოსთვისაც სრული ჭეშმარიტება აღმოჩნდეს. მას შემდეგ, რაც ევროპელებმა ნატო-ს კარი განუსაზღვრელი დროით დაგვიკეტეს, ამერიკასთან ორმხრივი თავდაცვითი ხელშეკრულება რუსეთის პირისპირ დარჩენილი ქვეყნისათვის ერთადერთი ხსნაა. ამ ხელშეკრულების პროექტის არსებობაზე უკვე დიდი ხანია საუბარია ექსპერტთა წრეებში, თუმცა პოლიტიკური ნება ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად, როგორც ჩანს, ძველ ადმინისტრაციაში ბოლო მომენტში მომწიფდა. უკვე გაჟონა ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ ვაშინგტონსა და თბილისს შორის ორმხრივ ხელშეკრულებას ხელი უახლოეს მომავალში მოეწერება.

დეკემბერში ნატო-ს მინისტერიალი დიდი მორალური დარტყმა აღმოჩნდა საქართველოსთვის - გარდა იმისა, რომ მაპ-ზე უარი გვითხრეს, სამიტის ბოლოს საზეიმოდ აღინიშნა, რომ ნატო რუსეთთან გაწყვეტილ ურთიერთობებს აღადგენს, რამაც აგვისტოში რუსეთის თავდასხმაზე გაკეთებული ნატო-ს ისედაც დუნე და არაეფექტური პასუხი მოსალოდნელზე უფრო ეფემერული გახადა.

ამ გადაწყვეტილების შემდეგ "ტაიმისთვის" მიცემულ ინტერვიუში ევროპის საბჭოს საგარეო ურთიერთობების უწყების მაღალი რანგის დიპლომატმა ენდრიუ ვილსონმა განაცხადა: **"ახლა ბუშის ადმინისტრაცია სუსტზე უფრო სუსტია, ევროპას კი რუსეთის განაწყენების თავიდან აცილება უნდა, განსაკუთრებით ისეთ საკითხებთან მიმართებაში, როგორიცაა უკრაინისა და საქართველოს ალიანსში გაწევრიანება, რაც ბევრ ევროპელ ლიდერს მოსკოვის უსაგნო პროვოცირებად მიაჩნია. ეს გადაწყვეტილება სწორედ ამ ვითარებას ასახავს... აშშ საკითხს რეალურად ძალიანაც არ ლობირებდა, რადგან იცოდა, რომ მოგებას ვერ შეძლებდა".**

გაგრძელება A2 გვერდზე

# პერევი

## ხელახლა ოკუპირებული სოფელი

დათო გამისონია

*საჩხერის რაიონის სოფელი პერევი კვლავ რუსი ოკუპანტების ხელშია. უკანონოდ მოწყობილ ბლოკ-საგუშაგოსთან მყოფი ევროკავშირის დამკვირვებლები უშედეგოდ ელოდებიან სოფელში შესვლას, რომელიც მათთვის, ისევე როგორც ქართული პოლიციისთვის, ოკუპანტებმა ჩაკეტეს.*
*სოფელში გუშინ მთელი დღის განმავლობაში სამხედროების მუდმივი გადაადგილება შეინიშნებოდა. ოკუპანტების ქმედებებს ქართველი და უცხოელი ჟურნალისტები შორიდან ადევნებდნენ თვალს. დაძაბული ვითარების გამო პერევი უკვე 200-მდე მშვიდობიანმა მოსახლემ დატოვა.*

გაგრძელება A2 გვერდზე



# სიყვარული, დანაშაული და მეძავები საქართველოდან

## თბილისის IX საერთაშორისო კინოფესტივალი დასრულდა

*სწორედ იმგვარად და იმ დროს, როგორც დაგეგმილი იყო, თბილისის IX საერთაშორისო კინოფესტივალი დასრულდა, გამარჯვებულებს კუთვნილი პრიზები გადასცეს, კინოდარბაზები კი მომავალ ფესტივალამდე დაცარიელდა. მომავალ წელს თბილისის კინოფესტივალი იუბილარია, ამრიგად ალბათ რაიმე განსაკუთრებულს უნდა ველოდოთ. ამჯერად კი კვლავ წლევანდელი ფორუმის შესახებ მოგითხრობთ, რომლის გამარჯვებულებიც არიან სტეფან არსენიევიჩის "სიყვარული და სხვა დანაშაულებები", ოზჯან ალპერის "შემოდგომა" და ალესანდრო ანჯელინის "მლაშე ჰაერი".*

ია ვეკუა

2008 წლის თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის მთავარი პრიზი – ოქროს პრომეთე მართლაც საინტერესო ნამუშევარმა, გერმანულ-სერბულ-ავსტრიულ-სლოვენური ფილმმა "სიყვარული და სხვა დანაშაულებები" დაიმსახურა. ეს არის ერთი დღის ქრონიკა რამდენიმე ბელგრადელის ცხოვრებიდან, მაგრამ სწორედ ეს დღე სრულიად ცვლის მათ ბედს. ფილმის ფონი ალბათ ყველა დროისა და ხალხის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სასიყვარულო სიმღერა "ბესამე მუჩოა" - სიმბოლო,

გაგრძელება A10 გვერდზე

## ორი სიტყვით

**თბილისი.** პოლიტიკური გაერთიანება “ეროვნული ფორუმი" უარყოფს მედიით გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს ორგანიზაცია ტრადიციონალისტთა კავშირსა და პარტია “თავისუფლებასთან" ერთად, ეროვნული ყრილობის ორგანიზებაში მონაწილეობს. **მედიანიუსი**

**თბილისი.** პარტია "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" ლიდერი ნინო ბურჯანაძე აშშ-ში მიემგზავრება. **პირველი**

**თბილისი.** აშშ-ში ვიზიტად მყოფი პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე სამშობლოში დღეს დაბრუნდება. დღესვე იგი პარლამენტში ბრიფინგს გამართავს საარჩევნო კანონმდებლობისა და მასში შესატანი ცვლილებების თემაზე. **პირველი**

**თბილისი.** თორთლაძე-ცაგარეიშვილის "საქართველოს დემოკრატიული პარტიის" დამფუძნებელი ყრილობა 18 დეკემბერს პროფკავშირების სასახლეში გაიმართება. **პირველი**

**თბილისი.** კოალიცია "დევნილთა უფლებებისათვის", რომელიც ფონდ "ღია საზოგადოება საქართველოს" ფინანსური მხარდაჭერით დაფუძნდა, დღეს სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" გამართავს პრეზენტაციას 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების შედეგად იძულებით გადაადგილებული პირების მდგომარეობისა და მათი დახმარების პროგრამების მიმდინარეობის შესახებ. **მედიანიუსი**

**თბილისი.** წმ. კვირიკესა და ივლიტას ტაძრიდან სამების საკათედრო ტაძრისკენ გუშინ მსვლელობა მოეწყო, რომელშიც, ტაძრის მრევლისა გარდა, სხვადასხვა სასწავლებლების სტუდენტებმა მიიღეს მონაწილეობა. **ინტერპრესნიუსი**

### რუსები ახალი წლისთვის საქართველოს სრული ოკუპაციით იმუქრებიან

გალში მყოფი რუსი ოკუპანტები ახალი წლისთვის საქართველოს ოკუპაციით იმუქრებიან. ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში რუსებს აფხაზეთში დიდი რაოდენობით დამატებითი ჯავშანტექნიკა და ცოცხალი ძალა შეჰყავთ, სტრატეგიულ სიმაღლეებზე კი საზენიტო დანადგარებს ამონტაჟებენ.

გავრცელებული ინფორმაციით, ოკუპანტებმა 13 დეკემბრის ღამეს აფხაზეთში ორი ეშელონით ტ-72 ტიპის ტანკები შემოიყვანეს. ტექნიკის ჩამოცლა ოჩამჩირეში ღამის 11 საათზე დაიწყო.

მძიმე ტექნიკა გუშინ დილიდან აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართან ნაწილდება. ტექნიკის ნაწილი გალის რაიონის ზედა ზონის მიმართულებით გადაჰყავთ, ჯავშანტრანსპორტიორები გაჩერებულია სოხუმის შესასვლელთანაც. დამატებითი ტექნიკის და ცოცხალი ძალის შეყვანის გამო გალიდან ენგურის ხიდამდე მოძრაობა მთლიანად შეჩერებულია. ახალგაზრდები გალის რაიონს ტოვებენ.

როგორც მოსახლეობასთან საუბრისას ოკუპანტები აცხადებენ, დამატებითი ძალა იმიტომ შემოიყვანეს, რომ საახალწლოდ საქართველოში შესვლას აპირებენ და საქართველოს იგივე დღეები გაუთენდება, როგორიც რამდენიმე წლის წინ ჩეჩნეთს ჰქონდა. „ბოლო დღეების განმავლობაში გალში იმდენი ჯავშანტექნიკა შემოიყვანეს, რომ ჩემი ცხოვრების მანძილზე ამდენი ტანკი ერთად არ მინახავს, არც ომის დროს და არც ომის შემდეგ. საერთოდ ეს რაღაც კოშმარული სამზადისია და არ ვიცი, რას უნდა ველოდოთ," - აცხადებს გალის რაიონის ერთ-ერთი მცხოვრები თამარ ფიფია. **მედიანიუსი**

### ხელახალი არჩევნები ხელვაჩაურის რაიონში

გუშინ ხელვაჩაურის N83 ოლქში აჭარის უმაღლესი საბჭოს ხელახალი მაჟორიტარული არჩევნები ჩატარდა. უმაღლესი საარჩევნო კომისიის (უსკო) ინფორმაციით, საარჩევნო უბნები დილის 08:00 საათზე გაიხსნა და 20:00 საათზე დაიხურა. აღნიშნულ რაიონში ხელახალი არჩევნების დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილება უსკო-მ შესული საჩივრების საფუძველზე მიიღო. კენჭს სამი კანდიდატი იყრის - "ქრისტიან-დემოკრატი" ზაზა შაშაკიძე, "ქართული დასიდან" თამარ კვაჭანტირაძე და "კომუნისტი" მერაბ სურმანიძე.

ცნობისათვის - არჩევნების დროს დამკვირვებლების მიერ შეტანილი საჩივრები ხელვაჩაურის ყველა და შუახევის 10 საარჩევნო უბანში შედეგების გაუქმების მიზეზი გახდა. დამკვირვებელი ორგანიზაციების საჩივრები, ძირითადად, პროცედურული დარღვევის ფაქტებს ეხებოდა.

ამ ოლქებში განმეორებითი პროპორციული არჩევნები 16 ნოემბერს ჩატარდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

### შვეიცარია - შუამავალი საქართველოსა და რუსეთს შორის

საქართველოში შვეიცარიის საელჩოში გაიხსნება სპეციალური "სექცია", რომელიც საქართველოში რუსეთის ინტერესებს წარმოადგენს. შესაბამის შეთანხმებას რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა და მისმა შვეიცარიელმა კოლეგამ მიშლინ კალმინ-რემ 13 დეკემბერს მოსკოვში მოაწერეს ხელი.

"ეს მოემსახურება ვითარების ნორმალიზებას და საბოლოო ჯამში, რუს და ქართველ ხალხებს შორის კონტაქტების ხელშეწყობას," - განაცხადა ლავროვმა შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ. მისივე თქმით, მოსკოვი ნორმალურად შეხვდა ინფორმაციას იმის შესახებ, რომ შვეიცარია ასევე დათანხმდა ქართული მხარის თხოვნას, წარმოადგინოს მისი ინტერესები მოსკოვში. **მედიანიუსი**

# მას შემდეგ, რაც ყველა ალტერნატივას მოსინჯავ

პირველი გვერდიდან

ამერიკის სუსტი ადმინისტრაციის პირობებში ევროკავშირმა და მისმა ახლანდელმა პრეზიდენტმა სარკოზიმ, ბოლო წლების განმავლობაში ყველაზე სერიოზული საერთაშორისო კრიზისის დროს, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ლიდერობის ხელში აღება სცადეს - ამას თავისი კონკრეტული შედეგები ჰქონდა და აქვს - რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი სარკოზი- მედვედევის ხელშეკრულებით გაურკვეველ წერტილში გაყინა, შემდეგ კი ძველმა ევროპამ ამ ხელშეკრულების სრულყოფილ შესრულებას რუსეთთან მეგობრული ურთიერთობების აღდგენა ამჯობინა. საარჩევნო ციებ-ცხელებასა და ფინანსურ კრიზისში ჩაფლული ამერიკა ამ თამაშიდან თითქოს გვერდზე დარჩა; რუსეთში კი საქართველოზე თავდასხმა პირდაპირ ასოცირდება ამ რეგიონში ამერიკის და მისი ინტერესების უსასტიკეს მარცხად.

ამერიკის ხელშესახები მხარდაჭერის გარეშე დარჩენა, მწვავე ფინანსური კრიზისისა და საკუთარ ინტერესებზე ფოკუსირებული ევროპის პირობებში, საქართველოსთვის სრულიად სასოწარმკვეთი აღმოჩნდა – ეს სასოწარკვეთა იყო ალბათ ის, რამაც ისედაც იმპულსურ სააკაშვილს აუხსნელი, ელვისებური სისწრაფით განხორციელებული სამთავრობო ცვლილებებისაკენ უბიძგა. ეს გაუგებარი გადაადგილებები თითქმის ყველასათვის აუხსნელი დარჩა. ცვლილებების ლოგიკური ახსნა არც მთავრობას შემოუთავაზებია. პრეზიდენტმა მხოლოდ ის განაცხადა, რომ მთავრობის გადახალისების შემდეგ ევროპას კიდევ უფრო დავუახლოვდით, თუმცა როგორ - არ განუმარტავს. კარგია, რომ ამ ბუნდოვან განცხადებას სააკაშვილმა ბევრად უფრო გასაგები პოსტულატი მოაყოლა – საჭიროა უფრო ჩქარი ტემპით რეფორმების გატარება.

რეფორმების ტემპები რომ ძალიან შენელდა, ეს გასაგებია. 7 ნოემბრის შედეგ რეფორმები თითქმის ყველა სფეროში გაჩერდა ან მნიშვნელოვანი სახეცვლილება განიცადა, რადგან ასე მოითხოვა საზოგადოებასთან, განსაკუთრებით მის რეტროგრადულ ელიტასთან ურთიერთობების გამოსწორების მცდელობამ. კარგია, თუ დღეს ხელისუფლება რეფორმების ტემპის აჩქარებას ან მის ხელახლა დაწყებას გეგმავს. მაგრამ სრულიად გაუგებარია, რა მიმართულება აირჩია მან. ის ფაქტი, რომ კულტურის მინისტრის პოსტი ჯერ ძველი ელიტის წარმომადგენელს ზურაბ აბაშიძეს შესთავაზეს, შემდეგ კი - ნიკა რურუას, ხელისუფლების ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო "ჰარდ-ლაინერს", რომელსაც აქამდე თავისი საქმიანობით კულტურასთან გადაკვეთა არასოდეს ჰქონია, ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ სტრატეგიული ხაზი, თუ სად რა ტიპის რეფორმა უნდა გატარდეს, არ არსებობს.

იგივეა სხვა სფეროებშიც. მთავრობას, მაგალითად, საზოგადოებისთვის იმის ახსნაც დაავიწყდა, არსებული კრიზისის ფონზე რა რეფორმები უნდა გატარდეს ეკონომიკის სფეროში და რატომ უხელმძღვანელებს ამ რეფორმებს ლაშა ჟვანია უკეთესად, ვიდრე ეკა შარაშიძე, რომლის "სი-ვი" გაცილებით უფრო შთამბეჭდავია.

მმართველ ელიტაში სასოწარკვეთისა და დაბნეულობის მანიშნებელია ის ფაქტიც, რომ ის საგულდაგულოდ შეეცადა, მიეჩქმალა ინფორმაცია ირაკლი ალასანიას თანმადებობიდან გადადგომის შესახებ, მაშინ, როცა არავინ იცის, რა პოლიტიკურ პოტენციალს ფლობს გაეროში საქართველოს ყოფილი ელჩი. ამის გარდა, ხელისუფლება, წესით, დადებითად უნდა შეხვდეს ოპოზიციაში ზომიერი, არარადიკალი ძალის მოსვლას, როგორიც, სავარაუდოდ, ალასანია შეიძლება იყოს.

ობიექტურად გასაგებია, მაგრამ მაინც ცუდია ის ფაქტი, რომ იმედგაცრუებებისა და ძალიან მოწყვლადი სახელმწიფო უსაფრთხოების ფონზე მთავრობაში უფრო იმპულსური გადაწყვეტილებები მიიღება, ვიდრე კარგად გააზრებული და ნაფიქრი. ეს მოსახლეობაში არსტაბილურობის განცდას კიდევ უფრო ზრდის.

ამერიკასთან ორმხრივი ხელშეკრულება, რომლის ტექსტი არ ხმაურდება, მაგრამ რომელშიც, სავარუდოდ, საუბარია სამხედრო-ეკონომიკურ დახმარებაზე და მხარდაჭერაზე ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობის აღდგენის საქმეში, დღეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქვეყნის უსაფრთხოებისა და თავდაცვისთვის. სავარაუდოა, რომ ეს ხელშეკრულება იმ სასოწარკვეთასაც შეამცირებს და ოპტიმიზმის რეალურ საფუძველს გაუჩენს ქართულ საზოგადოებას.

# პერევი - ხელახლა ოკუპირებული სოფელი

პირველი გვერდიდან

ერთდღიანი პაუზის შემდეგ პერევში ოკუპანტები გაზრდილი რაოდენობით დაბრუნდნენ. გუშინ კი 400-მდე რუსი ჯარისკაცი, მძიმე ტექნიკითა და სამხედრო ავტომანქანებით, უკონტროლო ჯავის ტერიტორიის გავლით, კვლავ ცხინვალისაკენ დააბრუნეს. ეს ინფორმაცია როგორც ოკუპანტებმა, ასევე ქართველმა პოლიციელებმა დაადასტურეს. სოფელში ისევ რჩება 100-მდე რუსი სამხედრო. ისინი პერევის შესასვლელთან, ბლოკ-საგუშაგოზე გამაგრდნენ.

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი თემურ იაკობაშვილი ოკუპაციური ძალების სოფელ პერევში დაბრუნებაზე ამახვილებს ყურადღებას. მისი თქმით: **“ასეთი მოქმედება კიდევ ერთხელ მეტყველებს, რომ რუსული გადაწყვეტილება პროვოკაციული იყო. მათი დაბრუნება პერევში სრულიად გაუგებარია. თუმცა ის კი ფაქტია, რომ რუსებს სურთ საქართველო კვლავ საომარ მოქმედებებში ჩაითრიონ."** უკან დაბრუნებულმა ოკუპანტებმა ნახევარსაათიანი ულტიმატუმი წაუყენეს ქართველ სამართალდამცველებს, რომლებიც იმ დროისთვის სოფელს აკონტროლებდნენ: **“იმ შემთხვევაში, თუ არ დავტოვებდით სოფელს, რუსები ცეცხლს გახსნიდნენ. ჩვენმა პოლიციამ დაპირისპირების თავიდან აცილების მიზნით, პერევი დატოვა,”** - განმარტა საჩხერის რაიონის გამგებელმა ზურაბ ცერცვაძემ.

საქართველოში მოქმედმა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ რუსეთის ჯარების გადაადგილებებზე საკუთარი პოზიცია ოფიციალურად გამოხატა: **”მისია ამ დროისთვის სოფელში სიტუაციის შესახებ ინფორმაციას არ ფლობს, რადგან განცხადების გამოქვეყნების დროსაც გრძელდება პერევის ოკუპაცია. უცხო ქვეყანაში ელჩების თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა ყველა საერთაშორისო სამართლის სტანდარტით დაუშვებელია. რუსეთის ჯარების მიერ ბლოკ-საგუშაგოსა და სოფელ პერევის ოკუპაციის განახლება სარკოზი-მედვედევის გეგმის პირობებს არ შეესაბამება. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია რუსეთის ხელისუფლებას მოუწოდებს, სოფლიდან დაუყოვნებლივ გაიყვანოს თავისი სამხედრო ნაწილები,"** - ნათქვამია განცხადებაში.

საქართველოში აქტიურად მსჯელობენ რუსეთის პროვოკაციული მოქმედებების მოტივებზე.

საქართველოს პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ პერევში რუსი ოკუპანტების დაბრუნება საქართველოს ხელისუფლების რიტორიკას დაუკავშირა. ოპოზიციაში არცთუ დიდი ხნის წინათ გადასულმა ნინო ბურჯანემ განაცხადა, რომ **"პერევიდან ჯარის გაყვანა იყო და არის სარკოზი-მედვედევის შეთანხმების ერთ-ერთი მოთხოვნა, მაგრამ ეს აქამდე არ შესრულებულა. რუსეთმა მხოლოდ პატრიარქის ვიზიტის შემდეგ მიიღო ჯარის ნაწილების გაყვანის გადაწყვეტილება.**

**სამწუხაროდ, იმის ნაცვლად, რომ ჩვენი ხელისუფლება გონივრულად მოქცეულიყო და ამ ნაბიჯს პოზიტიურად თუ არ შეაფასებდა, გაჩუმებულიყო მაინც, ის კვლავ დაუბრუნდა იმ აგრესიულ რიტორიკას, რომელიც მუდმივად იყო არა მარტო ომამდე, არამედ მის შემდეგაც და ყოველთვის უარყოფითი შედეგით მთავრდებოდა. საუბრის იმავე ტონში გაგრძელებამ კიდევ ერთხელ დამანახა, რომ ხელისუფლებამ და პრეზიდენტმა ვერაფერი ისწავლეს,”** – განმარტა ბურჯანაძემ.

განსხვავებული მოსაზრება აქვს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ცენტრის ექსპერტ კახა გოგოლაშვილს. იგი პერევში რუსული ჯარების გადაადგილებებს რუსეთის ხელისუფლების შიგნით შეუთანხმებლობას უკავშირებს: **”რუსული ძალების ასეთი ქაოტური მოქმედებები იმას მიანიშნებს, რომ მათ ხელისუფლებაში ან სამხედრო ხელმძღვანელობაში არ არის ერთიანობა. სხვა მიზეზებს აქ ვერ ვხედავ,”** - აღნიშნა კახა გოგოლაშვილმა.

# ამერიკელი სენატორის შეფასებები

აშშ-ს ახალი ადმინისტრაცია საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობას მოუთმენლად ელის. ამის შესახებ ამერიკელმა სენატორმა ჯონ კერიმ, ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ის ინფორმაციით, საქართველოში ვიზიტის შეჯამებისას განაცხადა.

კერის თქმით, იგი მიესალმება საქართველოში დაწყებულ რეფორმებს და აცხადებს, რომ ქვეყანა დაინტერესებულია პროგრესის გაგრძელებით. სენატორი, რომელიც იანვრიდან სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტს ჩაუდგება სათავეში, ასევე მიიჩნევს, რომ საქართველოს წინსვლა საგრძნობია და მოსახლეობას საამაყოდ არაერთი მიზეზი აქვს. კერიმ საქართველოში მედიის თავისუფლების მნიშვნელობაზეც გაამახვილა ყურადღება.

*ინტერპრესნიუსი*

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49.* კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

ნოდარ ლადარია

ინერცია ნებისმიერი მატერიალური საგნის აუცილებელი თვისებაა. იდეალურ სფეროში კი ინერცია თითქმის ყოველთვის დაბრკოლებას წარმოადგენს. გავიხსენოთ თუნდაც ორი ახალდანიშნული მინისტრის პირველი საჯარო გამოსვლები.

**ნიკოლოზ გვარამია** (განათლების მინისტრი): მთავარია, რომ სკოლა უსაფრთხო იყოს.

**ლაშა ჟვანია** (ეკონომიკური განვითარების მინისტრი): მოვახდენ ელჩების მობილიზაციას...

**ფიქრია ჩიხრაძიდან ვანო ჯავახიშვილამდე** ყველამ შენიშნა ამ სიტყვებში განვლილი გამოცდილების კვალი, ანუ, სხვა სიტყვებით, აზროვნების ინერცია. მაგრამ ინერცია ჩვენს ცხოვრებაში ბევრად უფრო ხშირად და, რაც მთავარია, ბევრად უფრო სახიფათოდ ვლინდება.

იმისათვის, რომ სათქმელი უფრო ნათელი გახდეს, ჯერ სმოლენსკის მიტროპოლიტის, **კირილეს** სიტყვები უნდა მოვიყვანო. მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის, **ალექსი მეორის** დაკრძალვაზე, ხსენებულმა მღვდელმთავარმა, რომელსაც საპატრიარქო ტახტის დასაკავებლად საკმაოდ მაღალი შანსები აქვს, დაახლოებით შემდეგი რამ განაცხადა: **"ჩვენ გვქონდა ერთიანი მამული, რომელიც ისტორიული პროცესების შედეგად სუვერენულ სახელმწიფოებად დაიშალა. განსვენებულმა პატრიარქმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ამ ძნელბედობის ჟამს არ დაკარგულიყო კულტურული ერთიანობის შეგნება"**. სიმპათიური იდეაა, არა?

მე თუ მკითხავთ, კულტურული სიახლოვე არ არის საკმარისი საფუძველი პოლიტიკური ერთიანობისათვის, კულტურული სიშორე კი არ წარმოადგენს ცივილური ურთიერთობისთვის დაბრკოლებას. ბანალობისათვის პატიებას ვთხოვ საქმეში ჩახედულ მკითხველს, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა, რომ სოფელ პერევში ქვიშით სავსე ტომარაზე წამოსკუპებული ერთმორწმუნე ჯარისკაცი ჩვენი არსებობისთვის უცხო და მტრული ელემენტია, ხოლო კონსერვატორიის მახლობლად სარდაფში განლაგებული ჩინური რესტორანი "ახალი აზია" დღეს უკვე ქართული კულტურის ორგანულ ნაწილად ქცეულა.

ამ რეალობის შუქზე მიტროპოლიტ კირილეს სიტყვები ჩვენი (და არა მარტო ჩვენი) დამოუკიდებელი არჩევანის უხეშ და უტაქტო ხელყოფას წარმოადგენს. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფიგურა, რომელსაც ასე უყვარს საკუთარი თავის მოხსენიება როგორც ŒÔÔÔÔ ÔÔÔŒŁ (პირადად გამიგონია), ცდილობს დაგვაბრუნოს იქ, სადაც დაბრუნება არ გვინდა. იქნებ ვინმე მართლაც განიხილავს რუსეთის იმპერიას ან საბჭოთა კავშირს საკუთარ **მამულად**, მაგრამ არა მგონია, ამ თვალსაზრისს საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობა იზიარებდეს.

და მაინც, მიტრითა და ომოფორით შემკული ეს ფიგურა არც ისე მნიშვნელოვანია, რომ ოფიციალურ გარემოში, რუსეთის პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის (უფრო სწორად კი პრემიერ-მინისტრისა და პრეზიდენტის) წინაშე საკუთარი განსაკუთრებული აზრის გამოთქმა გაბედოს. მიტროპოლიტმა მხოლოდ მორჩილად და ერთგულად გამოხატა რუსეთის სახელმწიფო ზედაფენის უცვლელი პოლიტიკური მისწრაფება.

ამის დასტურად გამოდგება თუნდაც შემდეგი ციტატა პუტინის პრეზიდენტობის პერიოდში გამოცემული მეთოდური სახელმძღვანელოდან, რომლითაც ისტორიის მასწავლებლებმა უნდა ისარგებლონ: **"საბჭოთა კავშირი არ იყო დემოკრატია, მაგრამ ის უკეთესი და უფრო სამართლიანი ცხოვრების იმედი იყო ათეულობით მილიონი ადამიანისათვის მთელ მსოფლიოში"**. გარდა საბჭოთა კავშირის აპოლოგიისა, აქ გამოხატულია ის იდეაც, რომ უკეთესი და უფრო სამართლიანი ცხოვრების იმედი აუცილებლად არ არის დაკავშირებული დემოკრატიასთან.






ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ
ტელ.: *24 24
ან ელ-ფოსტით:
nladaria@24hours.ge

ახლა კი დავფიქრდეთ: რატომ უნდა მივიჩნიოთ **"კეთილ სიმპტომად"** ის, რომ პრეზიდენტი **მედვედევი** არ ეწინააღმდეგება შიდა ქართლის ოკუპირებულ ზონაში ქართველი დევნილების დაბრუნებას? ზემოთქმულს თუ გავითვალისწინებთ, ეს "კეთილგანწყობა" სრულიად ბუნებრივია: ქართველები შეავსებენ სამხრეთ ოსეთად წოდებულ გაუგებარ პოლიტიკურ ერთეულს და თავიანთი არსებობით გაამართლებენ იმ უცვლელ პოლიტიკურ მისწრაფებას, რომელზედაც უკვე მოგახსენეთ.

მაინც ვინ შეიძლება მიიჩნიოს მედვედევის ეს ნახევრად ოფიციალური "მზადყოფნა"? - ალბათ **ვაჟა ლორთქიფანიძემ** და **ვალერი კვარაცხელიამ**. დამეთანხმეთ, რომ ერთობ უცნაური (ან იქნებ სწორედ რომ ნიშანდობლივი) თანხლებით გაემგზავრა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობელი თავისი ქრისტესმიერი ძმის დაკრძალვაზე.

ამ პიროვნებათა განწყობას (ეს გამგზავრებამდე მიცემულ მათ ინტერვიუებშიც გამოვლინდა), რა თქმა უნდა, აზროვნების ინერცია არ ეთქმის - ეს უბრალოდ რელიქტია, უფრო სწორად ამოსარწყავი ჩირქი. ინერცია სხვა რამაა: ის, თუ რა სწორხაზოვნებით, ლამის თანაგრძნობითა და სიხარულით აშუქებდა ჩვენი მედია მსგავს განცხადებებს. ბოროტება, რა თქმა უნდა, მშვიდობისმოყვარეობაში კი არა, გულუბრყვილობაშია.

ახლა კი სასარგებლო იქნება, კლასიკური მექანიკის ერთი ტერმინი გავიხსენოთ: **ინერცოიდი**. ამ სიტყვით აღინიშნება მარადიული ძრავის მსგავსად შეუძლებელი მოწყობილობა, რომელიც, გამომგონებლის აზრით, უნდა მოძრაობდეს გარემოსთან ურთიერთობის გარეშე, მხოლოდ მის შიგნით მდებარე მუშა სხეულის ხარჯზე. დავაკვირდეთ: ნებისმიერი მოძრაობა აუცილებლად გულისხმობს ურთიერთობას გარემოსთან, ან სხვა სხეულებთან: ფეხი და ბორბალი ეხება მიწის ზედაპირს, ფრთა ამწევ ძალას ჰაერთან ურთიერთქმედების წყალობით ავითარებს, რეაქტიული ძრავა კი თავისი წიაღიდან ქმნის "გარემოს", რომლისგანაც იღებს ბიძგს. ინერცოიდის შეუძლებლობას ყველა გრძნობს, ვისაც გაუღიმია ბარონ **მიუნჰაუზენის** იმ მონათხრობზე, რომელშიც ცნობილმა ცრუპენტელამ საკუთარი თავი ჭაობიდან თმებით ამოათრია.

სწორედ ასეთ ინერცოიდთან გვაქვს საქმე, როცა ვკითხულობთ "24 საათის" 12 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებულ ღია წერილს **მიხეილ სააკაშვილისადმი**. ტექსტი, რომელსაც ორი ავტორი ჰყავს - **რევაზ სირაძე** და **გრივერ ფარულავა** - წარმოადგენს რეაქციას ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულ **გიგი თევზაძის** ინტერვიუზე "კონტრრევოლუციის ნიშნები".

თავდაპირველად მადლობა უნდა გადავუხადო ორივე ავტორს, რადგან საბაბი მომცეს, აზრი გამომეთქვა საქართველოს პრეზიდენტის შემდეგ სიტყვებზე, რომლებსაც ავტორები ეყრდნობიან: **"არის ტრადიციები და ფასეულობები, რომლებიც ხელუხლებელია საქართველოსათვის და არა მხოლოდ უნდა შენარჩუნდეს, არამედ განვითარდეს კიდეც. მოვუწოდებ იმ პოლიტიკოსებს, რომლებიც ქართული ენის გამოცდის შესაძლო ცვლილებებზე ლაპარაკობენ, საკუთარი ავადმყოფური შეხედულებები თავისთვის დაიტოვონ: ქართული ენის გამოცდის სახეცვლილებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება იყოს"**.

საინტერესოა, რომ ფილოლოგები (სწორედ ფილოლოგები არიან ჩვენი ავტორები) ამ აბდაუბდას ეყრდნობიან. ნათქვამში არის ერთი ლოგიკური, ერთი ისტორიული და ერთი პოლიტიკური შეუსაბამობა.

1) ლოგიკური შეუსაბამობა: თავიდან ლაპარაკია ტრადიციაზე, რომელიც უნდა განვითარდეს, მერე კი ნათქვამია, რომ ქართული ენის გამოცდის სახეცვლილება დაუშვებელია. არსებობს რაიმე განვითარება სახეცვლილების გარეშე? განა განვითარება სახეცვლილების კერძო ფორმა არ არის?

2) ისტორიული შეუსაბამობა: წინადადება - **"ქართული ენის გამოცდის სახეცვლილებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება იყოს"** - ისტორიული ნონსენსია. იცვლებიან გამომცდელები და გამოსაცდელები, იცვლება ისტორიული ვითარება, სახეს იცვლის სოციალური გარემო და, ბოლოს და ბოლოს, თვით ენაც. თუმცა ამ ისტორიულ ნონსენსს გასაგები წარმოშობა აქვს: ოდესღაც, 1967 წელს, სკოლაში მასწავლეს ლექსი: **"ღარიბი გლეხი ვიყავი, მჭადითა გამოზრდილია"**. ბოლშევიკური გადატრიალებიდან რამდენიმე ათეული წლის შემდეგაც შვიდი წლის ბავშვებს გული უნდა აჩქროლებოდათ დიდი ოქტომბრის მონაპოვართა გამო. ოდესღაც ეს იდეოლოგია მარადიულად და ჭეშმარიტად უნდა ყოფილიყო აღიარებული. ამ მიზანს ემორჩილებოდა ყველაფერი, მათ შორის სასკოლო პროგრამაც. დღეს სადღა არის რეალური საყრდენი იმისათვის, რომ დროში გავყინოთ ქართული ენის გამოცდის ფორმა და შინაარსი? ნუთუ უარი უნდა ვთქვათ იმის შეგნებაზე, რომ ენა ცოცხალი ორგანიზმია?

3) პოლიტიკური შეუსაბამობა: "ავადმყოფური შეხედულებების" მატარებელნი ამ ცალკეულ შემთხვევაში არიან არა აბსტრაქტული პოლიტიკოსები, არამედ ის კონკრეტული ადამიანები, რომელთაც ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება (და არა მხოლოდ პირადად მიხეილ სააკაშვილი) ეყრდნობოდა იმ რეფორმებში, რომელიც აუცილებელია საქართველოს შემდგომი წინსვლისა და ცივილიზებულ სამყაროში ინტეგრაციისათვის. პოლიტიკოსი, რომელიც ვიწრო ტაქტიკური მიზნის მისაღწევად ასე იმეტებს საკუთარ თანამებრძოლებს, ძნელად თუ მიიჩნევა შორსმჭვრეტელად. თანაც ეს ვიწრო ტაქტიკური მიზანი კი არა, უბრალოდ ქიმერაა: რაც უფრო მეტად "ამშვიდებ" და "უყვავებ" რეტროგრადულად განწყობილ სოციალურ ჯგუფს, მით უფრო მეტ შანსს აძლევ მას დესტრუქციული ქმედების გასაგრძელებლად.

ერთი სიტყვით, საქმე გვაქვს იმასთან, რასაც ოპერის მომღერლები, საბჭოთა დროიდან მოყოლებული ტრადიციით, "პეტუხს" უწოდებენ - პირიდან ამოსულ უეცარ გამყივან და ყალბ ბგერას. ამას, ესე იგი არა აზრს, არამედ უქმ, როყიო ნათქვამს ეყრდნობა ჩვენი ორი ინერცოიდი, თუმცა არა მხოლოდ ამას.

ამ მხრივ, ნათლის მომფენია ღია წერილის ბოლო: **"საინტერესოა, გიგი თევზაძე და მისი თანამოაზრეები შეგნებულად ეწინააღმდეგებიან საქართველოს პრეზიდენტის პოზიციას და ცდილობენ საზოგადოება აღაშფოთონ, თუ ეს, მართლაც, სახელმწიფო პოლიტიკაა და ჩვენ გვიბამენ თვალს? ვფიქრობთ, ამ კითხვას ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაეცეს პასუხი"**. დავანებოთ თავი იმას, რომ სიტყვა "მართლაც" სულ ტყუილად არის გამოყოფილი მძიმეებით, რადგან ამ კონკრეტულ შემთხვევაში ის გარემოებაა და არა ჩართული: ავტორებს აინტერესებთ, მართლა ასეთია თუ არა სახელმწიფო პოლიტიკა.

მაგრამ მართლა აინტერესებთ თუ არა ეს ავტორებს? - მეეჭვება. აქ სხვა არაფერია, თუ არა ერთობ გულუბრყვილო მცდელობა, თავის სასარგებლოდ გამოიყენონ ზემოთ აღწერილი პოლიტიკური შეუსაბამობა. სხვა სიტყვებით: თუ გია ნოდიამ განათლების მინისტრის თანამდებობა დატოვა, ეს ნიშნავს, რომ გუშინდელებს გამარჯვების შანსი გაუჩნდათ, ეს ნიშნავს, რომ საჭიროა პირველსა და დანარჩენებს შორის გაჩენილი ნაპრალის გაღრმავება.

არა, ჩვენ უარესიც გვინახავს და გაგვიგონია: ჩვენ ირგვლივ ისედაც ზომაზე მეტად არიან ისეთები, ვისაც ალალად სჯერა, რომ როგორც პრეზიდენტი ნიშნავს ჩინოვნიკებს, ასევე ნიშნავს პრეზიდენტს ამერიკა. რას იზამ, ამათ ცხოვრებას ერთადერთი განზომილება აქვს - ვერტიკალური. ამიტომაც საჭიროა ამ ვერტიკალის მახლობლად მოიპოვო ადგილი. განა ტყუიან, როცა ამბობენ, რომ თავის დროზე უკვე ნახსენებმა ვაჟა ლორთქიფანიძემ ჩხუბი აუტეხა მუსიკალური ცენტრის დირექტორს, იმ კონცერტზე რატომ **შევარდნაძის** მარჯვენა მხარეს არ დამსვიო.

კი მაგრამ, თვით ღია წერილის შინაარსი რაში მდგომარეობს? - არც არაფერში. სავსეა მიამიტი რიტორიკული შულერობით. მაგალითად: ინტერვიუერის შეკითხვაზე, დაადგენს თუ არა უნარების ტესტი აბიტურიენტის მიერ ლიტერატურის ცოდნას, გიგი თევზაძეს უპასუხია, ლიტერატურისა რა მოგახსენოთ, ენობრივ კომპეტენციას კი ნამდვილად დაადგენსო. ამაზე ჩვენმა ავტორებმა ყიჟინა დასცეს: აჰა, ლიტერატურა არაფრად მიაჩნიაო. მარტივია: პრეზიდენტმა სისულელე თქვა, ჰოდა, ჩვენი ავტორებიც ისე ექცევიან, როგორც სულელს.

რაც შეეხება ლიტერატურის ცოდნისა და გამოცდის ურთიერთმიმართებას, ამ საკითხზე ასე ვუპასუხებ: რამდენიმე დღის წინათ ერთ იტალიელ ლიტერატორს ვკითხე, რატომ არის, იტალიაში დანტე აღარ აინტერესებთ, მანძონი კი მოსაწყენად მიაჩნიათ-მეთქი? მან ასე მომიგო: სამწუხაროდ, იტალიაში დანტესა და მანძონის კითხვა თავისუფალი არჩევანი არ არისო. სხვა სიტყვებით: სკოლაში ასწავლიან და ამით შეაძულესო.

რატომ ეშინიათ ჩვენს ავტორებს, რომ თავისუფალი არჩევანი აუცილებლად მშობლიურ ლიტერატურას დაავიწყებს ადამიანს? ნუთუ ვალდებულების გარეშე არ შეიძლება სიყვარული? საიდან ამდენი სიმხდალე და ქართული ლიტერატურის შინაგანი ძალისადმი უნდობლობა? აქაც მარტივია პასუხი: ლიტერატურის შედეგები მათ ჩვენს გულში კი არა, საკუთარ ჯიბეში აინტერესებთ. გამოცდა და ვალდებულება რომ არა, რეპეტიტორობის სიკეთენი ხომ ველარ იარსებებდა.

ამრიგად, ინერცოიდი იმიტომ ვუწოდე ამ ღია წერილს, რომ ეყრდნობა არაფერს (ანუ მცდარ დებულებას, თითქოს თავისუფალი არჩევანი ეროვნული იდენტობის მტერი იყოს) და მიდის არსაითკენ (ანუ იქ, სადაც განათლების ყოველგვარი საზრისი ჩამკვდარი იყო "როინმეტრეველიზმის" წნეხის ქვეშ).

მაგრამ ეს არ არის მთავარი უბედურება. ინერცია ბევრად უფრო საშიშია, ვიდრე შეიძლება გვეგონოს, მთავარი ხიფათი კი რეფორმათა ტემპის შენელებაშია. ახლა, როცა აშკარაა, რომ რუსეთმა პოლიტიკურ მიზანს ვერ მიაღწია, ფანტაზიის უქონლობა და ჯიუტი ამბიცია მას ლოგიკურად უკარნახებს ერთადერთ გაგრძელებას. ის, რომ **ეკა ტყეშელაშვილი** არ გამოდგება **იგორ გიორგაძის** როლზე, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ საკმარისი ნამდვილად არ არის. ჩვენი დამოუკიდებელი არჩევანის დასაცავად ერთადერთი ნამდვილი ფარი შეუჩერებელი წინსვლაა — რადაც არ უნდა დაგვიჯდეს...

პროექტი ერთობლივად ხორციელდება ფონდ ˝ღია საზოგადოება-საქართველოსა˝ და გაზეთ "24 საათის" მიერ.



# კანონი ალმართსაც ხნავს

დალი კუპრავა

*"დიდი ამბავი თუ გაარტყა, მაგისთვის მადლენ ოლბრაიტი არ გაშორებია ქმარს და მაგან რაო, ვერ აიტანა? "... ფრაზა მოსმენილი საუბრიდანაა, ერთ საღამოს, მეზობელი მაგიდიდან. დედის დარიგება, რომ სხვისი საუბრის მოსმენა არ შეიძლება, არც გამხსენებია, მით უმეტეს, რომ ერთ-ერთი Fase იყო, მაგიდებიც ახლო-ახლო იდგა და ყურებიც ვცქვიტე - კაცები მეგობარზე ლაპარაკობდნენ, რომელიც ცოლმა მდგომარეობიდან ისე გამოიყვანა, რომ ცემა, ამიტომ ცოლი სახლიდან წავიდაო.*

ერთმა აჩაბეთელმა ქალბატონმა თქვა: "მხოლოდ ახლა, როცა მე დევნილი გავხდი, ვხვდები, თუ რას გრძნობენ აფხაზეთიდან დევნილები ამდენი ხნის განმავლობაშიო".

ამქვეყნად ნაძალადევად არც ერთი ანდაზა არ შექმნილა და რალა ქართული "სხვისი ჭირი ღობეს ჩხირი" უნდა ჩავთვალოთ ყურით მოთრეულად და არასწორად. უდავოა, რომ ზოგადად ადამიანებს, ეროვნების, სოციალური მდგომარეობის,სქესისა და ასაკის განურჩევლად, უჭირთ პრობლემის დანახვა მაშინ, როცა უშუალოდ მათ არ ეხება. და თუ პრობლემას ვერ ხედავენ, მით უმეტეს, მის გადასაჭრელად ვერაფერსაც ვერ იღონებენ. ამიტომაც, განვითარებულ ან განვითარებად საზოგადოებებში მიღებულია, რომ ადამიანები ჯგუფდებიან და ამა თუ იმ პრობლემის მოსაგვარებლად ზრუნავენ. ამას საზოგადოებრივი მონიტორინგიც ჰქვია და მაშინ, როცა მე სერიალს ვუყურებ, ვიღაც ცდილობს შექმნას ჩემი დამცველი სისტემა, რათა მე ეს სიამოვნება არ მომაკლდეს. ასეთ საქმიანობას მსოფლიოში არასამთავრობო ორგანიზაციები ეწევიან - "ენჯეოშნიკები".

გასულ კვირას "წრეში" მიღებული ერთი sms ასე იწყება; "რასაც საყოველთაოდ გულისხმობენ ოჯახურ ძალადობაში, პრაქტიკულად არ მინახავს, ეტყობა გამიმართლა..." და მაინც რას გულისხმობენ "საყოველთაოდ" ოჯახურ ძალადობაში? როგორც ჟარგონი ამბობს, "ბაზარი არ არის", ქმრისგან ცოლის ცემა-ტყეპასო. ასეთია გამოკითხულთა 70 პროცენტის პასუხი, ხოლო დანარჩენ 30 პროცენტს თან ეეჭვება, რომ ამ კითხვის დამსმელი ფემინისტია, მოცლილია და ფიქრობს, რომ ეს ინტიმური ხასიათის პრობლემა ქალმა და კაცმა თვითონ უნდა მოაგვარონო. ხალხურ სიბრძნესაც იშველიებენ: "ცოლ-ქმრის ჩხუბი რეგვენს მართალი ეგონაო".

ნიშანდობლივია ისიც, რომ ეს პრობლემა სპეციფიკით ქალურადაა მიჩნეული, "ქალურ ავადმყოფობათა" რიგში დგას და შესაბამისად, მისთვის ქალთა არასამთავროები თუ მოიცლიანო, ასე ითვლება საზოგადოებაში. მართალია, რომ გენდერული ნიშნით ძალადობა ყველა საზოგადოებაში ხორციელდება და ერთი სქესის მიერ მეორის (უმეტესად ქალების) სოციალურ, ფსიქოლოგიურ და ეკონომიკურ დაქვემდებარებას გულისხმობს. ცნობილია, რომ ეს გლობალური ფენომენი ადამიანებისთვის რასის, სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური თუ რელიგიური კუთვნილების განურჩევლადაა დამახასიათებელი. მაგრამ, არა ნებისმიერი ერისა თუ სახელმწიფოს საზოგადოების კულტურული ნაწილისთვის, თუ კულტურის ცნებას მარტო მუზეუმებისა და წიგნების სიჭარბემდე ან ბანაობის ჩვევამდე არ დავიყვანთ. საყველპურო გამოთქმაა, რომ საქართველოში ეს პრობლემა არ არის, რადგან ტრადიციულად დიდი სოციალური დატვირთვა აქვს ისეთ სიტყვებს, როგორიცაა დედაბოძი, დედააზრი, დედასამშობლო... და საქართველოს ხომ მეფე ქალი თამარი ჰყავდაო. რუსეთსაც ჰყავდა ეკატერინეები, მაგრამ ანეკდოტური რუსული ფრაზაა "რაკი მცემს, ე.ი. ვუყვარვარ"; არც ინგლისს აკლია მმართველი ქალები, მაგრამ დიკენსის, გოლსუორსისა თუ მოემის ნაწარმოებებში კეთილშობილ ჯენტლმენებთან ერთად მოძალადე კაცებიც უხვად გვხვდებიან. ერთ-ერთი მოგზაურის ჩანაწერებში ვკითხულობთ, რომ სვანეთში ზოგჯერ ახალდაბადებულ გოგონებს პირში ნაცარს აყრიდნენ და "ზედმეტს" იშორებდნენ. ან გერმანელი არ იყო ის ფილოსოფოსი, რომ წერდა ქალის საძებნელად თუ მიდიხარ, მათრახი არ დაგავიწყდესო? ამ "უნაირო" მაგალითების მოტანას, სჯობს ის ვთქვა, რომ ეს პრობლემა საქართველოში არის და ამას "არასამთავროების" მიერ მოძიებული ფაქტების მძიმე-მძიმე კეისები ადასტურებს. ამ კომპლექსურ პრობლემას რომ გადაწყვეტის ასეთივე კომპლექსური მიდგომა სჭირდება - კანონიერი და გენდერულად დაბალანსებული, ესეც უკვე განვითარებულ ქვეყნებში გამოცდილია და ცნობილი. თანამედროვე ცნება "გენდერული" არ ნიშნავს "ფემინისტურს", თუმცა არც ეს უკანასკნელია აბუჩად ასაგდები და მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან დასავლეთში სწორედ "ამისტების" მოძრაობის მეორე ტალღის გააქტიურებით იყო, რომ ქალთა მიმართ ძალადობაზე დუმილი დაირღვა. საერთაშორისო თუ ეროვნულ დონეზე მომზადდა კანონმდებლობა, შეიქმნა სახელმწიფო პოლიტიკა ძალადობისგან ქალის დასაცავად (ცნობისთვის, თავის დროზე ჩიჩოლინამ იტალიის პარლამენტის მამრობითი ნაწილი აქტიურად აამოქმედა, რათა კანონმდებლობა აემუშავებინათ, თორემ უშუალოდ ეს პრობლემა მას არ აწუხებდა, საკმაოდ კარგად შეეძლო თავის მოვლა).

ახლა კი ისიც ვთქვათ, რომ "ოჯახური ძალადობა" მხოლოდ "საყოველთაოდ" ნაგულისხმევი ქალთა წინააღმდეგ ძალადობა კი არ არის, არამედ, როგორც 2006 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონშია განსაზღვრული, "ოჯახური ძალადობა" გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლების დარღვევას ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით. ოჯახის წევრები არიან დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, შვილი, და, ძმა, მეუღლის მშობლები და ა.შ. არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირებიც კი. გამოდის, რომ ჩამონათვალშიც კი ვერ ავცდებით გენდერულ ბალანსს, რადგან თუ რძალი, და, დედა, ცოლი მდედრობითი სქესისაა, სიძე, ძმა, მამა, ქმარი მამრობითია და უადგილოა ის კალამბური, ბებიაჩემი რომ ბაბუაჩემი ყოფილიყოო. კანონში ოჯახურ ძალადობადაა მიჩნეული ყველა ქმედება, რაც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას, ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას, ოჯახის წევრის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს, ადამიანის ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ იძულებას, იძულებით სექსუალურ კავშირს, გარყვნილ ქმედებას არასრულწლოვანის მიმართ, საკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას...

ამ კანონში, ასევე, განისაზღვრა სახელმწიფო დაცვის მექანიზმები, რომელიც ტარდება მოძალადის მიმართ, კერძოდ, შემოღებულია შემაკავებელი და დამცავი ორდერი, რაც პოლიციას და სასამართლოს ოჯახში ძალადობის ფაქტზე სწრაფი რეაგირების საშუალებას აძლევს, რათა უზრუნველყოს მსხვერპლის დაცვა და შეზღუდოს მოძალადის გარკვეული ქმედებები. სახელმწიფომ დააფინანსა თავშესაფარი ძალადობის მსხვერპლთათვის, ასევე მოძალადეთა დროებითი განთავსების სარეაბილიტაციო ცენტრი.

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, რა ქნას მეტი სახელმწიფომ? აი, კანონი და შეასრულეთო, ბრძანებს, მაგრამ საქმე სწორედ ისაა, რომ კანონი სრულფასოვნად დღემდე არ ამოქმედებულა, არ ამოქმედებულა არც თავშესაფარი, არც სარეაბილიტაციო ცენტრი, არ გადაწყვეტილა ოჯახში ძალადობის პრობლემის სოციალური მომსახურების საკითხი.

იმისთვის, რათა ხელი შეუწყონ ოჯახური ძალადობის აღმოფხვრის კანონის აღსრულებას, ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებმა ერთწლიანი აქტივობების პროექტი შეიმუშავეს. პროექტს ფინანსურ მხარდაჭერას UNIFEM უწევს. მნიშვნელოვანია, რომ პროექტი აქტიურ პარტნიორობას ითვალისწინებს საგარეო საქმეთა, განათლებისა და მეცნიერების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროებთან, უზენაეს სასამართლოსთან, სტატისტიკის დეპარტამენტთან და პარლამენტის თავმჯდომარესთან არსებული გენდერული თანასწორობის საკითხების საკონსულტაციო საბჭოსთან, რომლის ხელმძღვანელი პარლამენტარი რუსუდან კერვალიშვილია. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრთან თანამშრომლობა პროექტს კიდევ უფრო მობილურს გახდის, რადგან ეს ცენტრი სოციალურ მუშაკთა გადამზადებასა და მომზადებას უზრუნველყოფს, რაც დღეს ასე აქტუალურია - საქართველოში ხომ სოციალური მუშაკები არამც თუ დეფიციტურია, შეიძლება ითქვას, რომ ჯერ არ არსებობენ. ასევე, უნდა გააქტიურდეს და დაიხვეწოს კანონის ის ნაწილი, რომელიც სამართალდამცავთა ქმედებებს გულისხმობს, ამისთვის უნდა მომზადდეს, როგორც არსებული, ასევე სპეციფიკური ცოდნით აღჭურვილი კადრები.

ერთწლიანი აქტივობების პროექტში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საინფორმაციო სამსახურს - სემინარების, თრენინგების, ლიტერატურისა თუ სხვა ფორმატით. ეს სფერო პროექტში აქტიურ პროპაგანდას და საზოგადოების გათვიცნობიერების ამაღლებას გულისხმობს, რადგან თუ, პირველ რიგში, საზოგადოება არ მომზადდა სათანადოდ, ვერა კანონს ვერ ექნება ეფექტი და მხოლოდ კოსმეტიკად დარჩება.

ზემოთ sms –ის დასაწყისი რომ მოვიშველიე, ახლა მას სრული სახით შემოგთავაზებთ: "რასაც საყოველთაოდ გულისხმობენ ოჯახურ ძალადობაში, პრაქტიკულად, არ მინახავს, ეტყობა, გამიმართლა... მაგრამ, სულ ვხედავ ბავშვებისადმი საშინელ დამოკიდებულებას ვერბალური მეთოდებით, ქუჩაში დედა ხმამაღლა უწოდებს შვილს დებილს, დეგენერატს, მოგინდება პატრულის გამოძახება. ან ჩვენი ხალხური, ბებია ოლღასეული ვითომ ტკბილი წყევლა, რომელსაც არ იშურებენ ოჯახის წევრები პატარებისთვის, ეს ხომ ცემა-ტყეპაზე საზიზღარია." რაც შეეხება ბავშვების ცემა-ტყეპას კანონში "ოჯახური ძალადობის აღმოსაფხვრელად" შავით თეთრზე სწერია, რომ ბავშვის მიმართ ძალადობის კვალის არსებობისას კანონმდებლობით დადგენილი წესით მოხდება მოძალადე მშობლისგან მისი განცალკევება.

გამოდის, რომ ცალმხრივობა პრობლემის მოსაგვარებლად არა და არ გამოვა, საჭიროა არასამთავრობოსა და სამთავრობოს, კაცისა და ქალის, კანონისა და საზოგადოების ერთობა. ხოლო, რაც შეეხება იმას, ამ გაცხარებული პოლიტიკური და ეკონომიკური გაჭირვების დროს, რა ოჯახური ძალადობა აგვიტყდა, პასუხი იოლია - დრო არ ითმენს.

## "წრე" თქვენი, საქართველოს მოქალაქეების მიერ გამოგზავნილი SMS და E-MAIL ავტოგრაფებით იკვრება.

■ მართალია, რომ დავით უსუფაშვილი 9 აპრილის შემდეგ გახდა კომუნისტური პარტიის წევრი? იმიტომ კი არ მაინტერესებს, რომ რამე ვავნო, მაინტერესებს იმისთვის, რომ მივხვდე რა უნდა ?!

■ სამშობლოზე მაღლა ჭეშმარიტებააო, თქვა მერაბ მამარდაშვილმა. ვფიქრობ, რომ ეს არ არის ფილოსოფოსის გამონათქვამი, სამშობლო ისევეა ჭეშმარიტების შემადგენელი სეგმენტი, როგორც ოჯახი. ეს პოლიტიკური განაცხადია, რომელიც საყრდენია იმისა, რომ ამავე ადამიანმა მერე თქვას: "თუ ხალხი გამსახურდიას აირჩევს, მე იძულებული ვიქნები ხალხის წინააღმდეგ წავიდე"; გამახსენდა იმიტომ, რომ ვისმენ ზოგიერთის არგუმენტს, ჩემთვის მთავარია ჭეშმარიტებაო და ამ ჭეშმარიტებას იმაში ხედავენ, რომ მსოფლიოს რაც შეიძლება ბევრი რამ უთხრან რუსული საინფორმაციო ომის მოსაგებად;

■ წარამარა არჩევნები სახელმწიფოს სუიციდიაო, საააკაშვილმა და მართალია;

■ მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირს პროცენტულად ყველაზე დიდი მსხვერპლი ჰქონდა, მაგრამ გვასწავლიდნენ, რომ ომი საბჭოთა კავშირმა მოიგოო. ამიხსენით, სად გაგონილა მსხვერპლის გარეშე მოგება? თან ეს ტერიტორიები, თუ ჭკვიანად მოვიქცევით, საქართველოს შეუერთდება, ხვალ თუ არა ზეგ, ჰა-ჰა მაზეგ მაინც;

■ ეჭვი არ შეგეპაროთ, რომ კახური ღვინო, ქუთაისის ავტომობილი ან ქართული ტომატი მსოფლიო ბრენდი ვერ გახდება, ქართულ სპორტსა და კულტურას კი უდავოდ დიდი პოტენცია აქვს, ამიტომაც ამ სფეროს მმართველი უნდა იყოს კარგი "პიარმენეჯერი" და არა მხოლოდ ქართულ პროფესიულ წრეში ცნობილი მხატვარი, რეჟისორი ან კომპოზიტორი. ლერი ხაბელოვი რომ დაენიშნათ, ხომ გააპროტესტებდნენ, ვინ გაიგონა სპორტსმენის დანიშვნა კულტურის მინისტრადო და ის კი არ ემახსოვრებოდათ, რომ ეს კულტურისა და სპორტის ერთობლივი სამინისტროა და მისი მართვა უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ისტორიული შენობების აღდგენაა. ზურაბ აბაშიძე მართალია იმაში, რომ მისი პოტენცია საგარეო ურთიერთობებში უნდა გამოიყენოს ხელისუფლებამ, მაგრამ კულტურისა და სპორტის სამინისტრო რით არ არის საგარეო ურთიერთობები? და მე თუ მკითხავთ, ესაა მსოფლიო დიპლომატიის "მოდერნ-არტი", თანამედროვე და ეფექტური ხერხი; აბა ვის რაში სჭირდება ისედაც არარსებული ქართული ტანკი ან ქართული ნავთობი?!

■ ადრე, ასეთი შვებით მომზირალი სახე თედო ნინიძისა მახსოვს, როცა მინისტრის პოსტი დატოვა და ახლა განათლების ყოფილ მინისტრ გია ნოდიას ჰქონდა ისეთი კმაყოფილი სახე - სად იყავით აქამდეო. კარგი ადამიანია, მაგრამ ნიკა გვარამია საუკეთესო განათლების მინისტრი იქნება, ნახავთ თუ არა, ოღონდ მანანა ნაჭყებიას და ფიქრია ჩიხრაძეს დააკმაყოფილებს თუ არა, არ ვიცი;

■ დაუძლურდნენ რესპუბლიკელები, ასე ხომ ლეიბორისტებთანაც შეიძლება გაერთიანება, რა ნათელაშვილი ნაკლებია გამყრელიძეზე თუ რა?!

■ როცა ამბობენ, რომ საქართველო ჯერ საკუთარ თავში ვერ გარკვეულა, ვინ არის, რა უნდა, საით მიდისო, მართლები არიან. გარედან მით უფრო კარგად ჩანს სახელმწიფოს დაბალი კულტურის მაუწყებელი დაპირისპირებები. ჯერ ადამიანი უნდა გაერკვეს, რა უნდა და მერე დაიწყოს საქმის კეთება. ასევეა ერიც, რომელსაც, თუ სურვილი აქვს, იყოს სახელმწიფო, მაშინ აუცილებლად გახდება. ამათ კიდევ დაუჩემებიათ დემოკრატია თავისუფალი არჩევნებიაო, არაა ასე, არჩევნები დემოკრატიის ერთ-ერთი ატრიბუტია, მთავარი კი ტვინს რომ ეძახიან, იმაშია, მაგრამ სადაა ტვინი;

■ საპარლამენტო, ქუჩის, ლიბერალური და ნათელაშვილის ოპოზიციები, კიდევ აქეთ-იქიდან ბურჯანაძისა და ნოღაიდელისა, რომლებიც ცოტაცა და გაერთიანდებიან;

■ ახლა ადამიანის უფლებების კვირეულია, ამას წინათ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ორკვირეული ჩატარდა, ქალი პოლიტიკაშიო - მესმის რომ უტრირება და ხაზგასმა საქმეს არ ავნებს, რომ არ დაგვავიწყდეს ჩვენი უფლებები, მაგრამ ამ დონეზე, ასეთი ღონისძიებებით კი არა, ეს ყოველდღიურობაშია საჭირო, ამით უნდა ვიცხოვროთ;

■ მგონი, საქართველოს ომბუდსმენი თრენინგზე უნდა გაიგზავნოს, რომ გაიგოს, რა მოეთხოვება, რათა არ იყოს ხაზგასმულად ცალმხრივი და თავი შეიკავოს მაინც რადიკალური პოლიტიკური განცხადებებისგან, თუ არა და შევიდეს რომელიმე პარტიაში. ნუთუ ფიქრობს, რომ ხელისუფლების კრიტიკაა სამართლიანობა ?

■ გთხოვთ, დაინტერესდით, თუ რა ბედი ეწია ვანო მაჩაბლის სახლ-მუზეუმს და იქ არსებულ ექსპონატებს, ერთ ოს მოქალაქეს უთქვამს, გვარი ვერ დავიმახსოვრე, ამას ჩვენ მივხედავთო. ბრძენი იყო მიხეილ ჯავახიშვილი "ჯაყოს ხიზნები" რომ დაწერა, მაგრამ ვინ იყო წამკითხველი?!

■ დეკემბერი იწურება, "წრე" რას იზამს, მეორე წრეზე წავა, გაგრძელდება?!

■ რუსმა ჟურნალისტმა ლიზა კამლინმა ნიშნის მოგებით გვაუწყა, მინისტრები გადააყენეს, ხვალ მწვავე განცხადებებს ველოდოთო, თან არხზე გამოსვლაც შესთავაზა. მადლობა უფალს, რომ ახალგადაყენებულები, სხვებისგან განსხვავებით, კეთილშობილნი გამოდგნენ და მტერი არ გაახარეს;

კითხვები და შენიშვნები გამოაგზავნეთ ელ. ფოსტით: crexazi@yahoo.com. ან sms: 8(93) 63 58 42.

წრე შეკრა დალი კუპრავამ

# იურიდიული დახმარების სამსახური ახალ სტრუქტურაში ერთიანდება

თამარ კაციტაძე

*იურიდიული დახმარების სამსახური, რომელიც რამდენიმე წლის წინ, ქვეყნის საკონსტიტუციო მოთხოვნიდან გამომდინარე შეიქმნა და იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარა, ამჟამად გაურკვეველ ვითარებაში აღმოჩნდა. მას შემდეგ, რაც პროკურატურა იუსტიციის სამინისტროს გაუერთიანდა, პატიმართა ინტერესების დამცველი ორგანო და ბრალდების მხარე ინტერესთა კონფლიქტში აღმოჩნდნენ. ამიტომ, დღის წესრიგში დადგა იმ ახალი სტრუქტურის სასწრაფოდ შერჩევა, რომელსაც იურიდიული დახმარების სამსახური დაექვემდებარება.*

იუსტიციის სამინისტროსა და პარლამენტის იურიდიული კომიტეტის ინიციატივით, სახელმწიფო ორგანოთა სისტემაში იურიდიული დახმარების სამსახურის ადგილის განსაზღვრის საკითხზე პირველი სამუშაო შეხვედრა პარლამენტში რამდენიმე დღის წინ გაიმართა. მაშინ, სპეციალისტებმა რამდენიმე მოსაზრება გამოთქვეს, თუ რომელ უწყებას შეიძლება დაექვემდებაროს იურიდიული დახმარების სამსახური. საუბარი იყო იუსტიციის საბჭოს დაქვემდებარებაზე. ასევე, გამოითქვა ვარაუდი, რომ შესაძლებელია შეიქმნას დამოუკიდებელი სამსახური, რომელიც უშუალოდ პრემიერ-მინისტრს დაექვემდებარება. გაჩნდა ალტერნატიული ვერსიაც - მიუხედავად იმისა, რომ იურიდიული დახმარების სამსახური საბიუჯეტო ორგანიზაციაა, ერთ-ერთ ვარიანტად ადვოკატთა ასოციაცია და "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაც" კი დასახელდა. ყველაზე მისაღებ ვარიანტად კი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო მოიაზრებოდა. თუმცა, მაშინ ხანგრძლივი მსჯელობის მიუხედავად, შეხვედრის მონაწილეებმა გადაწყვეტილება ვერ მიიღეს.

მეორე შეხვედრაზე კი, რომელსაც იუსტიციის მინისტრის მოადგილე მაია კოპალეიშვილი ხელძღვანელობდა და რომელსაც საქართველოს პარლამენტის, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრის, ევროკომისიის, გაერო-ს განვითარების პროგრამის, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის, ამერიკის იურისტთა ასოციაციის (ABA) და ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ, საბოლოო გადაწყვეტილებაც მიიღეს - **”იუსტიციის სამინისტრო, სახელმწიფო ორგანოთა სისტემაში იურიდიული დახმარების სამსახურის ადგილის განსაზღვრის მიზნით, კანონპროექტზე მუშაობას დაიწყებს,“** – ეს გადაწყვეტილება შეხვედრის მონაწილეებმა მას შემდეგ მიიღეს, რაც იურიდიული დახმარების სამსახურის შემდგომი საქმიანობის ოპტიმალურ ვარიანტად მისი სასჯელაღსრულების დეპარტამენტსა და პრობაციის ეროვნულ სამსახურთან ერთად, ახალ სამინისტროში გაერთიანება გადაწყდა. სპეციალისტები შეთანხმდნენ იმაზეც, რომ კანონპროექტის შედგენისას, საზოგადოებრივი ნდობის შენარჩუნების მიზნით, იმსჯელებენ ახალი სამინისტროს სახელწოდებაზეც, რომელშიც იურიდიული დახმარების მიმართულებაც აისახება. სახელწოდების ერთ-ერთ ვერსიად “გამასწორებელი და იურიდიული დახმარების სამინისტრო" განიხილება. კანონპროექტის პრიორიტეტული ამოცანა კი, იურიდიული დახმარების სამსახურისათვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის შენარჩუნებასთან ერთად, სამსახურის დამოუკიდებლობის გარანტიების, საზოგადოებრივი ნდობისა და საზოგადოებრივ ადვოკატად დანიშვნისთვის დღეს მოქმედი წინაპირობების ძალაში დატოვებაც იგულისხმება.

თავის დროზე, იურიდიული დახმარების სამსახურის შექმნის აუცილებლობა გამოწვეული იყო იმით, რომ საბჭოური პერიოდის გადმონაშთი – ”სახაზინო ადვოკატურა”, რეალურად, თავის ფუნქციას ვერ ასრულებდა. მეტიც, იგი ხშირად პროკურატურის დანამატად, ანუ ბრალდების მხარის ინტერესების დამცველად იქცა. ახლადშექმნილი კერძო ადვოკატურების ადვოკატების დაქირავება კი გაჭირვებული მოქალაქეებისთვის, რომლებიც მოსახლეობის თითქმის 60 პროცენტს შეადგენდა, შეუძლებელი იყო. არადა, კონსტიტუციის 42-ე მუხლის თანახმად, დაცვის უფლება ნებისმიერ მოქალაქეს აქვს.

შესაბამისად, სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებით და საქართველოს რეალობის გათვალისწინებით, ადვოკატურის ახალი მოდელი გაკეთდა, რომელიც ჯერ პილოტური პროექტის - საზოგადოებრივი (სახაზინო) ადვოკატის სამსახურის სახით შეიქმნა, მოგვიანებით, 2007 წლის ივლისში კი იურიდიული დახმარების სამსახურად გადაკეთდა. როგორც ექსპერტები ირწმუნებიან, საზოგადოებრივმა ადვოკატურამ გაამართალა.

სამსახური სახელმწიფოს ხარჯზე არსებული იურიდიული დახმარების სისტემის მაკოორდინირებელი ორგანოა, რომლის დანიშნულებასაც ეფექტური სამართლებრივი მომსახურების გაწევა წარმოადგენს. იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე იცავენ ყველა ბრალდებულის, განსასჯელისა და მსჯავრდებულის ინტერესებს, როგორც წინასწარი გამოძიების, ისე საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე. გარდა ამისა, ყველა მოქალაქეს შესაძლებლობა აქვს მიმართოს ბიუროებში არსებულ საკონსულტაციო ცენტრებს და მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე კვალიფიციური იურიდიული კონსულტაცია მიიღოს. იურიდიული დახმარების ბიუროები მოქმედებს თბილისში, იმერეთში (ზესტაფონისა და ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიუროები), სამეგრელოში (ფოთისა და ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიუროები), აჭარაში (ბათუმის იურიდიული დახმარების ბიურო), ქვემო ქართლში (რუსთავის იურიდიული დახმარების ბიურო), შიდა ქართლში (გორის იურიდიული დახმარების ბიურო), მცხეთა-მთიანეთსა და კახეთის რაიონებში (თელავის იურიდიული დახმარების ბიურო). საკონსულტაციო ცენტრები კი არსებობს ოზურგეთსა და ამბროლაურში. კიდევ ერთი ბიურო შეიქმნება სამცხე-ჯავახეთის რეგიონშიც.

ბიუროები მოქალაქეებს იურიდიულ დახმარებს უწევენ, რაც მოიცავს უფასო იურიდიულ კონსულტაციას ყველა სამართლებრივ თემაზე: სამართლებრივი დოკუმენტაციის (განცხადება, შუამდგომლობა) შედგენას სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებთან დაკავშირებით, ადვოკატის მომსახურებას სისხლის სამართლის პროცესში ეჭვმიტანილის, ბრალდებულის განსასჯელისა თუ მსჯავრდებულისთვის და ა.შ.

სხვათა შორის, ზედამხედველ ორგანოში ჯერჯერობით ამ სამსახურის მიმართ არანაირი პრეტენზია არ შესულა.

**”ადვოკატების შერჩევის დროს საკონკურსო კომისიაში მოწვეულები არიან და მონაწილეობას იღებენ მოქმედი დამოუკიდებელი ადვოკატები, სისხლის სამართლის მოსამართლეები, შესაბამის სფეროში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, რომ კადრების შერჩევის დროს დაცული იყოს ობიექტურობა. ამასთან, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადვოკატთა საქმიანობის მონიტორინგს. ადვოკატთა საქმიანობის შეფასების ახალი სისტემის ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის უზრუნველყოფის მიზნით, ადვოკატის საქმიანობა ფასდება მრავალმხრივად: როგორც მონიტორინგისა და ანალიზის განყოფილების იურისტების, ისე ადვოკატთა უშუალო ხელმძღვანელის – ბიუროს უფროსის მიერ, ადვოკატების მიერ საქმესთან დაკავშირებით განხორციელებული მოქმედებების, სასამართლო პროცესზე მიღწეული შედეგისა და ასევე დასაცავი პირის მხრიდან ადვოკატის მომსახურების შეფასების გათვალისწინებით,”** – განაცხადა “24 საათთან” საუბრისას იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა რუსუდან ტაბატაძემ.

მიუხედავად ერთწლიანი მოღვაწეობისა, იურიდიული დახმარების სამსახურის ანგარიშზე უკვე ათასობით საქმეა. 2008 წლის ათი თვის სტატისტიკით - იურიდიული დახმარების სამსახურს სულ წარმოებაში ჰქონდა 8 900 საქმე. სხვადასხვა იურიდიული დახმარებისთვის კი მათ სულ მიმართა 1689 ფიზიკურმა პირმა, 3176 შემთხვევაში გამოძიებამ, 74-ჯერ პროკურატურამ, 4671 შემთხვევაში კი სასამართლომ.

კანონის თანახმად, იურიდიული დახმარების სამსახურის ადგილი სახელმწიფო ორგანოთა სისტემაში 2009 წლის მარტისათვის უნდა განისაზღვროს. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ექვსი თვის განმავლობაში პროკურატურა და საზოგადოებრივი ადვოკატურა კვლავ ერთი სისტემის დაქვემდებარებაში იქნება, იურიდიული დახმარების სამსახურის თავმჯდომარის რუსუდან ტაბატაძის განცხადებით, ინტერესთა კონფლიქტი გამორიცხულია. მისივე მტკიცებით, ერთ სტრუქტურაში ყოფნა ადვოკატთა მუშაობაზე ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენს და ადამიანის დამცველები ბრალდების დაკვეთის შემსრულებელები არასოდეს გახდებიან.

**“იურიდიული დახმარებისა და პროკურატურის ერთ სტრუქტურაში ყოფნა, ერთი შეხედვით, კანონდარღვევას არ წარმოადგენს, ვინაიდან ვერც ერთ კანონში ვერ ვნახავთ ჩანაწერს იმის შესახებ, რომ ეს ასე არ უნდა იყოს. პროკურატურისა და იუსტიციის სამინისტროს გაერთიანებას ჩვენი ადვოკატების ყოველდღიურ საქმიანობაზე არანაირი ზეგავლენა არ მოუხდენია. ამ შემთხვევაში ჩვენთვის ყველაზე ძვირფასი საზოგადოების ნდობაა. იურიდიული დახმარების სამსახური წარმოადგენს ორგანოს, რომელიც ადმინისტრირებას უწევს იურიდიული დახმარების სისტემას. შესაბამისად, ეს უკანასკნელი სამართალწარმოების სხვადასხვა მხარეთა გავლენისაგან სრული თავისუფლებით უნდა სარგებლობდეს. მან უნდა უზრუნველყოს იურიდიული დახმარების სისტემის ნეიტრალობის შენარჩუნება, რაც სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, პირველ რიგში, საზოგადოებრივი ნდობის მოსაპოვებლად (განსაკუთრებით, სისხლის სამართლის საქმეთა წარმოებისას, როდესაც ბრალმდებელს სახელმწიფო წარმოადგენს პროკურორის სახით), აგრეთვე იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევები, როცა სამართალწარმოების ერთ-ერთი მხარე სახელმწიფოა, “** – აცხადაებს რუსუდან ტაბატაძე.

მართალია, დღეს არავინ დავობს იურიდიული დახმარების სამსახურის მუშაობის ეფექტურობაზე, მაგრამ ანალიზმა აჩვენა, რომ ჩვეულებრივი მოქალაქეების დიდ ნაწილს ამ სამსახურის არსებობის და სავალდებული უფასო იურიდიული დახმარების თუ კონსულტაციების შესახებ ინფორმაცია არ გააჩნია. მეტიც, მათ არც კი იციან, ვის უნდა მიმართონ იმ შემთხევევაში, თუ ძვირადღირებული ადვოკატის დაქირავების შესაძლებლობა არ აქვთ. არადა, არსებობს ფაქტები, როდესაც წინასწარი გამოძიება ბრალდებულს ადვოკატს არ უნიშნავს და უფრო მარტივ გზას მიმართავს –აწერინებენ ხელწერილს, თითქოს იგი დამცველზე უარს ნებაყოფლობით აცხადებს. სწორედ ამიტომ, ”24 საათი” აქვეყნებს იურიდიული დახმარების სამსახურის მისამართებს, რაც იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდზეც არის გამოქვეყნებული.

## სამსახურის კოორდინატებია:

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური:
ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. 30 ტელ: (+995 32) 988493

**იურიდიული დახმარების სამსახური და ბიუროები:**

| დასახელება | მისამართი | მობილური ტელეფონი | ოფისის ტელეფონი |
|---|---|---|---|
| **ცენტრალური აპარატი** | თბილისი, რუსთაველის გამზ. №30 | | 98 84 93<br>93 20 90 |
| **თბილისის ბიურო** | თბილისი, სარაჯიშვილის ქ. №1, | 895 364410 | 62 33 24<br>62 28 99 |
| **მცხეთა-მთიანეთის ბიურო** | მცხეთა, დ. ალმაშენებლის ქ. №51 | 895 901705 | 51 38 73 |
| **შიდა ქართლის ბიურო** | გორი, ხერხეულიძის ქ. №7 | 895 901704 | 8 270 7 88 36 |
| **ქვემო ქართლის ბიურო** | რუსთავი, კოსტავას გამზ. №31 | 895 901706 | 8 24 193494 |
| **კახეთის ბიურო** | თელავი, ერეკლე II გამზ. №8 | 895 901707 | 8 250 7 15 38 |
| **იმერეთის - ქუთაისის ბიურო** | ქუთაისი, ბუხაიძის ქ. მე-2 მ/რ №26 | 895 901700 | 8 231 7 94 94 |
| **იმერეთის - ზესტაფონის ბიურო** | ზესტაფონი, წერეთლის ქ. №11 | 895 364441 | 8 292 4 02 50 |
| **აჭარის იურიდიული დახმარების ბიურო** | ბათუმი, ბერიძის შესახვევი №14 | 895 901701 | |
| **სამეგრელოს - ფოთის იურიდიული დახმარების ბიურო** | ფოთი, დ. ალმაშენებლის ქ. №31 | 895 901703 | 8 293 4 33 32 |
| **სამეგრელოს იურიდიული დახმარების ბიუროს ფოთის განყოფილება** | ზუგდიდი, კოსტავას ქ. №22 | 895 901702 | 5 34 72 |
| **ოზურგეთის საკონსულტაციო ცენტრი** | ოზურგეთი, კოსტავას №1 | 895 398849;<br>895 308850 | 8 296 7 38 24 |
| **ამბროლაური საკონსულტაციო ცენტრი** | ამბროლაური, ალმაშენებლის №21 | 895 308847 | |

## პროკურატურის ახალი შენობა საჩხერის რაიონში

საჩხერის რაიონში პროკურატურის ახალი შენობა გაიხსნა.

რაიონული პროკურატურა ზემო იმერეთის ორივე რაიონსა და 80-მე სოფელს მოემსახურება.

ახალი შენობის გახსნას საქართველოს მთავარი პროკურორის პირველი მოადგილე დავით საყვარელიძე და იმერეთის გუბერნატორი მიხეილ ჩოგოვაძე დაესწრნენ.

პროკურატურის ორსართულიანი შენობა თანამედროვე ევროპული სტანდარტებისაა და ახალი ინვენტარითა და ტექნიკით აღიჭურვა. დავით საყვარელიძის განცხადებით, რაიონული პროკურატურების შენობების მოდერნიზაცია ორი წელია დაიწყო და ამ დროისათვის ქვეყნის უმეტეს ქალაქებსა და რაიონებში ეს პროცესი დასრულებულია.

*ინტერპრესნიუსი*

## სემინარი სიღნაღში

იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანოების თანამშრომელთათვის, იუსტიციის სასწავლო ცენტრის ორგანიზებით, სიღნაღში სემინარი გაიხსნა.

როგორც იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, ღონისძიებაზე იმსჯელებენ იმ ცვლილებებზე, რომელიც არქივების სამართლებრივი და მეთოდური საქმიანობის წესებთან დაკავშირებულ ნორმატიულ ბაზაში არის შეტანილი. გადამზადებას გაივლიან ეროვნული არქივის კახეთის ტერიტორიული ორგანოს თანამშრომლები.

ეროვნული არქივის ტერიტორიულ ორგანოებთან მუშაობის განყოფილების უფროსი მერი ბიწაძე და ეროვნული საარქივო ფონდის ფორმირებისა და დოკუმენტაციის მართვის განყოფილების მთავარი სპეციალისტი მზია ლეჟავა სემინარის მონაწილეებს ესაუბრებიან შემდეგ საკითხებზე: ადგილობრივი არქივების საქმიანობის სამართლებრივი და მეთოდიკური საფუძვლები; ეროვნული საარქივო ფონდის ფორმირებისა და დოკუმენტაციის მართვის პრინციპები; ადგილობრივ არქივებში საარქივო ფონდების მიზნობრივი და კომპლექსური ექსპერტიზა და სხვა.

იუსტიციის სასწავლო ცენტრმა ასეთივე სასწავლო კურსი უკვე ჩაატარა ეროვნული არქივის იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის ტერიტორიული სამსახურის თანამშროელთათვის.

*ინტერპრესნიუსი*

## სომალელმა მეკობრეებმა ბერძნული გემი გაათავისუფლეს

სააგენტო "ფრანს პრესის" ინფორმაციით, სომალიელმა მეკობრეებმა ბერძნული გემი "ექშნი"**(MT Action)** გაანთავისუფლეს.

წინასწარი მონაცემებით, ხომალდის ოცკაციანი ეკიპაჟის 3 წევრი გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა. ასევე უცნობია გადახდილი იყო თუ არა გამოსასყიდი თანხა და რა პირობებით მოხდა ხომალდის განთავისუფლება.

ქიმიკატებით დატვირთული ბერძნული ტანკერი "ექშნი", რომელიც პანამის დროშის ქვეშ ცურავდა, მეკობრეებმა ადენის ყურეში 2008 წლის 10 ოქტომბერს დააკავეს.

აღსანიშნავია, რომ ბოლო დროს სომალელმა მეკობრეებმა 14 გემი დააკავეს და თითქმის 300 უცხოელი მეზღვაური მათ ტყვეობაში ომყოფება.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## სომალელი და იემენელი მეკობრეები დააკავეს

ინდოელმა სამხედროებმა და მეზღვაურებმა 12 სომალელი და 11 იემენელი მეკობრე დააკავეს. ინდოეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, ოპერაცია სამხედრო გემებმა და ვერტმფრენმა ჩაატარეს, რომლებიც სომალის სანაპიროს ადენის ყურეში პატრულირებდნენ. მათ ეთიოპიის დროშის ქვეშ მცურავ გემზე მეკობრეების თავდასხმის შესახებ მიიღეს სიგნალი და დასახმარებლად გავიდნენ.

მეკობრეებისგან სავაჭრო გემების დასაცავად ადენის ყურეში რამდენიმე ქვეყნის გემები პარტულირებენ.

*ინტერპრესნიუსი*

# სერიული მკვლელებისთვის გამოტანილი სხვადასხვაგვარი განაჩენი



ანდრეი კიიკო განაჩენით კმაყოფილი დარჩა.



დიმიტრი ვორონენკომ სახალხოდ დასჭისთვის მზადყოფნა გამოთქვა.

**"განაჩენი თითქოს მკაცრია, მაგრამ ის ასეთი დამნაშავისთვის ზედმეტად ლმობიერია. სერიული მკვლელი სამუდამო პატიმრობას იმსახურებდა,"** - ასე შეაფასა რუსეთის გენერალური პროკურატურის განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელმა ანტონ ბრეიდომ "სოსნოვსკელი მანიაკის" სახელით ცნობილი ანდრეი კიიკოსთვის გამოტანილი განაჩენი.

სანკტ-პეტერბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებით, სერიული მკვლელი ანდრეი კიიკო მკაცრი რეჟიმის კოლონიაში 23 წელს გაატარებს. თუმცა, ვარაუდობენ, რომ ის ციხის კედლებს 14-15 წლის შემდეგ დატოვებს. ამის მიზეზად გამოძიებასთან მისი თანამშრომლობა და აღიარებითი ჩვენებები სახელდება.

ორი მკვლელობა, სამი მკვლელობის მცდელობა, ყაჩაღური და სექსუალური თავდასხმები - ეს ის ბრალდებებია, რომლისთვისაც ანდრეი კიიკო გაასამართლეს.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, ყველა ეს დანაშაული "სოსნოვსკელ მანიაკს" ჩადენილი აქვს 2004 წლის აგვისტოდან 2007 წლის იანვრამდე. ის, ძირითადად, სანკტ- პეტერბურგში, სოსნოვსკის ტყე-პარკის ტერიტორიაზე მოქმედებდა.

ანდრეი კიიკო 2007 წლის იანვარში დააკავეს. მაშინ ის 17 წლის გოგონას დაესხა თავს. გოგონა მუქარით სოსნოვსკის ტყე-პარკში წაიყვანა და გააუპატიურა. შემდეგ კი თვალებახვეული საკუთარ სახლში მიიყვანა. მეორე დილას ბოროტმოქმედმა გოგონა გაუშვა - ისევ თვალებახვეული სახლიდან მოშორებით დატოვა. დაზარალებულის მონაყოლის საშუალებით, ოპერატიულმა მუშაკებმა ანდრეი კიიკოს საცხოვრებელი ადგილის დადგენა შეძლეს და ის სახლშივე დააკავეს. ანდრეი კიიკომ დანაშაული მაშინვე აღიარა.

2004 წლის აგვისტოში ანდრეი კიიკო თავს დაესხა თავის კოლეგას, რომელიც ყვავილების ბიზნესით იყო დაკავებული. იძულებით და მუქარით ერთ-ერთი სპორტსკოლის შენობაში წაიყვანა და გააუპატიურა. ამ შემთხვევაში, კიიკომ მსხვერპლი არ გაუშვა, იქვე დაახრჩო.

გამოძიების მასალებით, ერთი თვის შემდეგ, კიიკომ კიდევ ერთი მკვლელობა ჩაიდინა. მან შეხვედრაზე კლასელი, ბავშვობის მეგობარი დაიბარა. მეორე დღეს გოგონას ცხედარი სოსნოვსკის ტყე-პარკში იპოვეს.

დანარჩენ შემთხვევებში ბოროტმოქმედი ერთი და იმავე სქემით მოქმედებდა - მსხვერპლს ზურგიდან ესხმოდა თავს და დანის მუქარით, სოსნოვსკის ტყე-პარკში მიჰყავდა.

სასამართლო-სამედიცინიო ექსპერტიზამ კიიკო შერაცხადად ცნო. გამომძიებლები ვარაუდობენ, რომ დამნაშავის პიროვნულ ჩამოყალიბებაში სკოლამ იქონია დიდი გავლენა.

**"ის ჩუმი, შეუმჩნეველი ბავშვი იყო. სკოლაში არარაობად თვლიდნენ. მუდმივად დასცინოდნენ და ჩაგრავდნენ,"** – ასეთი განცხადება გააკეთა განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელმა ანტონ ბრეიდომ.

**"განაჩენით კმაყოფილი ვარ,"** – განაცხადა სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ "სოსნოვსკელმა მანიაკმა".

ანდრეი კიიკოსგან განსახვავებით, სანკტ-პეტერბურგის სასამართლომ სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა კიდევ ერთ მანიაკს დიმიტრი ვორონენკოს. 36 წლის უკრაინელს ბრალად ედებოდა ოთხი მკვლელობა, ხუთი გაუპატიურება და სხვადასხვა ფორმის ძალადობრივი თავდასხმები.

გამოძიების მასალების მიხედვით, დიმიტრი ვორონენკომ ეს დანაშაულები ოთხი თვის განმავლობაში - 2006 წლის დეკემბრიდან 2007 წლის მარტამდე ჩაიდინა.

მის მსხვერპლთაგან, ასაკით ყველაზე პატარა 11 წლის მოზარდი იყო. 17, 18, 12, 20 – ეს იმ გოგონების ასაკია, რომლებიც ვორონენკომ სიცოცხლეს გამოასალმა. როგორც აღმოჩნდა, ყველა მათგანს გრძელი და ქერა თმა ჰქონდა.

ექსპერტმა ექიმებმა ვორონენკო ფსიქიკურად ჯანმრთელად გამოაცხადეს. თავად მანიაკმა კი ჩადენილი მკვლელობები ასე ახსნა: **"მე საკუთარი შვილი არ მყავს, ამიტომ, ისინი არც სხვებს უნდა ჰყავდეთ. ყველაფერს შურით ვაკეთებდი."**

ვორონენკომ უარი თქვა ნაფიცი მსაჯულების სასამართლოზე და ბედი პროფესიულ სასამართლოს მიანდო.

**"განმსაჯეთ, როგორც გსურთ. მე ყველანაირ სასჯელზე თანახმა ვარ. ჩემთვის ყველაფერი სულერთია,"** – განუცხადა სასამართლოს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებში ბრალდებულმა ვორონენკომ. განსასჯელის საბოლოო სიტყვის თქმისას, სასამართლო პროცესი ჟურნალისტებისთვის დახურულ რეჟიმში ჩატარდა. როგორც მოკლულების მშობლებმა განაცხადეს, ვორონენკომ, სახალხოდ დასჯისთვის მზადყოფნა გამოთვა.

მოკლული გოგონების მშობლები და მათი ადვოკატები სასამართლო პროცესების გაჭიანურებას ცდილობდნენ. მათ იმედი ჰქონდათ, რომ სიკვდილით დასჯაზე გამოცხადებული მორატორიუმი გაუქმდებოდა და მანიაკს სასიკვდილო განაჩენს გამოუტანდნენ.

იურისტებისა და მოკლულის მშობლების აზრით, მომხდარ მკვლელობებში იმ ჩინოვნიკებს მიუძღვით ბრალი, რომლებმაც, 2005 წელს №1 იზოლატორიდან პატიმრები ვადამდე ადრე გაათავისუფლეს. ვორონენკო სწორედ ვადამდე ადრე გათავისუფლებულთა შორის აღმოჩნდა. საქმე ისაა, რომ ის სერიული თავდასხმების ბრალდებით, ჯერ კიდევ 2004 წელს გაასამართლეს. მან ციხეში მხოლოდ ერთი წელი გაატარა.

**"დიმიტრი ვორონენკო აშკარად დაადგა გამოსწორების გზას,"-** ამ არგუმენტით აღმოჩნდა ის იზოლატორის განტვირთვის მიზნით, ვადამდე ადრე გათავისუფლებულ მსჯავრდებულთა შორის.

# ტაჯიკეთი რუსეთში მისი მოქალაქეების მკვლელობებით შეშფოთებულია

ტაჯიკეთი რუსეთში მისი მოქალაქეების მკვლელობის ფაქტებით შეშფოთებულია. ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთის ფედერაციის საელჩოს გადსცა საპროტესტო ნოტა, სადაც დაგმობილია 6 დეკემბერს სოფელ ჟაპკინოსთან მომხდარი სასტიკი მკვლელობა.

საგარეო საქმეთა სამინისტრო შეშფოთებას გამოთქვამს შრომითი მიგრანტების (ტაჯიკეთის მოქალაქეების) წინაალმდეგ განხორციელებული ქმედებების გამო.

"მსგავსი ქმედებები სულ უფრო იზრდება ქსენოფობიის ნიადაგზე რასობრივ სიძულვილზე და ნაციონალიზმზე. მსგავსი ფაქტები სულ უფრო საშიშ და სასტიკ ხასიათს იძენს", - აღნიშნულია საპროტესტო ნოტაში.

შეგახსენებთ, რომ ერთ-ერთი ბოლო და საკმაოდ გახმაურებული მკვლელობა 6 დეკემბერს მოხდა. სოფელ ჟაბკინოსთან, ტყის მასივში 20 წლის ტაჯიკეთის მოქალაქეს, სალოხიდინ აზიზოვს თავი მოკვეთეს. მოკვეთილი თავი მოგვიანებით ტყის მასივში აღმოაჩინეს. მკვლელობაში ეჭვმიტანილები რუს სამართალდამაცავებს არ დაუკავებიათ. მომხდარზე პასუხისმგებლობა რუს ნაციონალისტთა ორგანიზაციამ აიღო.

# თავდასხმა მოძრაობა "როსია მოლოდაიას" ოფისზე

სააგენტო "ინტერფაქსის" ინფორმაციით, მოსკოვში მოძრაობა "როსია მოლოდაიას" ოფისი დაარბიეს. არმატურის ნაჭრებითა და ხელკეტებით შეიარაღებული ხუთი პირი მოძრაობის ოფისში შეჭრას ცდილობდა, სადაც იმ დროისთვის "როსია მოლოდაიას" აქტივისტები იმყოფებოდნენ.

თავდამსხმელებმა შეამტვრიეს შესასვლელი კარი და კორიდორში შეაღწიეს. მოძრაობის წევრებმა ერთ-ერთ ოთახში თავის შეფარება და "ბარიკადების აღმართვა" მოასწრეს.

თავდასხმის შედეგად ოფისი მნიშვნელოვნად დაზიანდა. შემთხვევის ადგილზე მივიდნენ სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენლები და მოძრაობის ლიდერები. თავდასხმის სხვა დეტალები ჯერჯერობით უცნობია.

მოძრაობა "როსია მოლოდაია" 2005 წელს, მოსკოვის ბაუმანის სახელობის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე დაარსდა. ორგანიზაციის აქტივისტები, რომლებიც "პროკრემლისტურად" განწყობილთა რიგებს მიეკუთვნებიან, აშშ-ს, ნატოს, ევროკავშირის, საქართველოს, უკრაინის და ბალტიისპირეთის ქვეყნების წინააღმდეგ მიმართულ საპროტესტო აქციებში მონაწილეობდნენ.

"როსია მოლოდაიას" წევრები ოპოზიციის მიერ ორგანიზებული ღონისძიებების ჩაშლას არაერთხელ შეეცადნენ.

# „სოლიდარნოსტ" - რუსული ოპოზიციის ფორმირება

### "ჩვენი გულები ცვლილებებს მოითხოვს"

ხათუნა გაბიევი



რუსული ოპოზიცია ერთიანდება.

AFP ' 2008

მოსკოვის ოლქში, "ოლიმპიელის" ცენტრში ოპოზიციის ყრილობა ჩატარდა, სადაც გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა "სოლიდარნოსტი" ჩამოყალიბდა.

მას შემდეგ, რაც ყველა დელეგატის რეგისტრაცია დასრულდა, მოძრაობის დაფუძნება უპრობლემოდ მოხდა. თუმცა, გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის ჩამოყალიბებისთვის ხმის მიცემისგან მხოლოდ ერთმა დელეგატმა შეიკავა თავი.

როგორც კი "სპს"-ის (მემარჯვენე ძალთა გაერთიანება) ყოფილმა ლიდერმა ბორის ნემცოვმა "სოლიდარნოსტის" შექმნა გამოაცხადა, დარბაზში ვიქტორ ცოის ცნობილი სიმღერის "ჩვენი გულები ცვლილებებს მოითხოვს" ჰანგები გაისმა. მოძრაობის წარმომადგენელთა თქმით, ეს სიმღერა ორგანიზაციის ჰიმნი იქნება.

მოძრაობაში მრავალი ოპოზიციური მოძრაობის წარმომადგენელი გაერთიანდა, კერძოდ – "გაერთიანებული სამოქალაქო ფრონტის" წევრები, ლიდერ გარი კასპაროვის მეთაურობით; ყოფილი პარტიის "სოიუზ პრავიხ სილ" წევრები; რუსეთის სახალხო-დემოკრატიული კავშირი (ექს-პრემიერ მიხაილ კასიანოვის გარდა); "იაბლოკოს" წარმომადგენლები და სხვა ნაკლებად ცნობილი ორგანიზაციის წევრები.

ახლად დაარსებული მოძრაობის წარმომადგენელთა თქმით, "სოლიდარნოსტის" მუშაობის უმთავრესი პრინციპი ხელისუფლებასთან თანამშრომლობაზე უარის თქმა იქნება.

**"ჩვენთვის უმთავრესია იმ ხალხის რეპუტაციის აღდგენა, რომლებიც თავისი იდეების ერთგულნი ბოლომდე რჩებიან. ლიბერალური დაფდაფების ფონზე ქვეყანაში რეჟიმი კიდევ უფრო სასტიკ სახეს იღებს,"** – განაცხადა თავის გამოსვლაში "გაერთიანებული სამოქალაქო ფრონტის ლიდერმა" გარი კასპაროვმა.

ცნობილი მოჭადრაკისა და რუსი ოპოზიციონერის წინადადებას ყრილობაზე მიწვეული სტუმრის სტატუსით მყოფი "დემოკრატიული კავშირის ლიდერი" და ცნობილი ჟურნალისტი ვალერია ნოვოდვორსკაიაც დაეთანხმა, რომელმაც "სოიუზ პრავიხ სილის" ყოფილ ლიდერსა და კიროვის ოლქის მომავალ გუბერნატორ ნიკიტა ბელიხს "იუდა იურევიჩი" უწოდა.

"სოლიდარნოსტის" წევრები ერთ რამეში თანხმდებიან - პუტინის პოლიტიკა რუსეთს ანადგურებს და მომავალში არჩევანი აუცილებლად დემოკრატიის სასარგებლოდ უნდა გაკეთდეს.

**"მარტო "სოლიდარნოსტს" ძალუძს, რომ გახდეს ერთიანი რუსეთი, რადგან ეს არის ხალხის პოლიტიკური პროფკავშირი და არა ხალხი რუბლიოვკიდან,"** – აღნიშნა "იაბლოკოს" ახალგაზრდული ფრთის ლიდერმა ილია იაშინმა.

ერთიანი ხედვის მიუხედავად, ყრილობის მონაწილეებს შორის აზრთა სხვადასხვაობამაც იჩინა თავი. ეს მაშინ მოხდა, როცა საქმე მემარცხენე ძალებსა და ნაციონალისტებთან ორგანიზაციის თანამშრომლობის პერსპექტივაზე მიდგა. კასპაროვის თქმით, ხელისუფლების გარდა თანამშრომლობის ალბათობა ყველა სხვა ძალასთან არსებობს. ამის საპირისპიროდ ნოვოდვორსკაიამ საჭადრაკო მეტაფორას მიმართა და განაცხადა - **"კრემლი შავებით თამაშობს, ჩვენ – თეთრებით, წითლებით თამაში კი არ შეიძლება."**

"სოლიდარნოსტის" დამფუძნებელი ყრილობის შემდეგ დელეგატებმა ხელმძღვანელი ორგანოები უნდა აირჩიონ და მოქმედების გეგმა შეიმუშაონ. რაც შეეხება ორგანიზაციის წესდებას, მისი შემუშავება, სავარაუდოდ, გაზაფხულზე ადრე ვერ მოხერხდება.

ყრილობას სკანდალიც ახლდა. უცნობმა ახალგაზრდებმა სხდომის დაწყებამდე შენობის ფოიეში მიმოაბნიეს ფურცლები მაიმუნების გამოსახულებითა და წარწერით - "ფრთხილად! საფიხათო ცხოველებია! მაიმუნები ნავს არწევენ", მაგრამ დაცვამ პროვოკატორებს შენობა მალე დაატოვებინა.

ოპოზიცია "სოლიდარნოსტის" ყრილობიდან მეორე დღეს, ადგილობრივი დროით 14:00 საათზე მოსკოვის ტრიუმფალურ მოედანზე შეკრებას და დემონსტრაციის "მარშ ნესოგლასნიხ" ჩატარებას გეგმავდა. მათი აზრით, 14 დეკემბერი სამშვიდობო პროტესტის გამოსახატავად მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლების რეალიზაციის დღე უნდა გახდეს. აქციის მიზანი რუსეთის კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებებისა და ეკონომიკური კრიზისის დაგმობა იყო.

მარშის იდეას რუსეთის ხელისუფლებაში, ცხადია, მოწონებით არ შეხვედრიან. აქციის ორგანიზატორებმა თავიდანვე იცოდნენ, რომ სამართალდამცავი ორგანოები დემარშს უყურადღებოდ არ დატოვებდნენ.

**"მოსკოვის ხელისუფლება გაფრთხილებთ, რომ კვირას ნებისმიერი არასამართლებრივი მოქმედება სამართალდამცავი ორგანოების მიერ მკაცრად, კანონის ფარგლებში, აღიკვეთება,"** – განაცხადა შაბათს მოსკოვის მერის პრესსამსახურის ხელმძღვანელის პირველმა მოადგილემ ლეონიდ კრუტაკოვმა.

რუსეთის დედაქალაქის მუნიციპალიტეტმა საპროტესტო აქციის მონაწილეებს შესაკრებად სხვა ალტერნატივა შესთავაზა, რაზეც "დრუგაია როსიას" ხელმძღვანელობისგან უარი მიიღო იმ მოტივით, რომ ასეთ მოკლე ვადაში "მარშის" მონაწილეების დროულად ინფორმირება შეუძლებელი იქნებოდა.

რუსეთის ხელისუფლებამ პირობა შეასრულა - სამართალდამცველებმა მოძრაობა "სოლიდარნოსტის" 80-ზე მეტ აქტივისტს, რომლებიც ოპოზიციის აქციაში "მარშ ნესოგლასნიხ" მონაწილეობას აპირებდნენ, ქალაქ ხიმკთან გზა გადაუღობეს.

გარდა ამისა, სამართალდამცველებს ნაბრძანები ჰქონდათ, რომ არასანქცირებული დემონსტრაციისთვის ხელი არა მარტო მოსკოვში, არამედ სანკტ-პეტერბურგშიც შეეშალათ. საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის მოტივით, მილიციელებმა სანკტ-პეტერბურგში მეტროსადგურ "გოსტიინი დვორთან" 61 დემონსტრანტი დააკავეს. თუმცა, უხმაუროდ და ინციდენტის გარეშე დასრულდა ხელისუფლების მიერ სანქცირებული მიტინგი ჩერნიშევსკის სახელობის სკვერში, სადაც, სულ რაღაც, 150 ადამიანმა მოიყარა თავი.

# თურქმენეთში პირველი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა



თურქმენეთში პირველ პარლამენტს ირჩევენ.

AFP ' 2008

გუშინ თურქმენეთში, მიმდინარე წელს მიღებული ახალი კონსტიტუციის შესაბამისად, პირველი საპარლამენტო არჩევნები გაიმართა. თურქმენეთის ახალი ძირითადი კანონის მიხედვით, პარლამენტი (მეჯლისი) ჩაანაცვლებს გაუქმებულ სახალხო საბჭოს, რომელიც ქვეყნის პირველმა პრეზიდენტმა საფარმურატ ნიაზოვმა შექმნა და რომლის შემადგენლობაშიც თემთა უხუცესები და რეგიონების წარმომადგენლები შედიოდნენ.

პარლამენტის აღდგენა ერთ-ერთი იმ რეფორმათაგანია, რომლის გატარების პირობაც ქვეყნის პრეზიდენტმა გურბანგული ბერდიმუხამედოვმა ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ დადო. თუმცა, კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ არჩევნებში არც ჭეშმარიტად დამოუკიდებელი კანდიდატები მონაწილეობენ და არც ეთნიკური უმცირესობები არიან წარმოდგენილნი.

არჩევნები ერთმანდატიან ოლქებში ტარდება. დეპუტატობის 288 კანდიდატიდან ხუთწლიანი ვადით პარლამენტის 125 წევრი უნდა აირჩეს.

აღსანიშნავია, რომ გუშინდელი არჩევნები ერთგვარად ისტორიულია, რადგან მათზე დაკვირვების მიზნით პირველად მიიწვიეს უცხოელი დამკვირვებლები. ეს ინიციატივაც პრეზიდენტ ბერდიმუხამედოვს ეკუთვნის. არჩევნების მიმდინარეობას 200-მდე ადგილობრივი და გაერო-ს, ეუთო-სა და დსთ-ს 50 საერთაშორისო დამკვირვებელი ადევნებდა თვალყურს.

თურქმენეთის კანონმდებლობის მიხედვით, კანდიდატმა ოლქში გამარჯვებისთვის ხმათა 50 პროცენტზე მეტი უნდა დააგროვოს. იმ შემთხვევაში, თუ რამდენიმე კანდიდატიდან ვერც ერთი ვერ დააგროვებს ხმათა საჭირო რაოდენობას, ადგილობრივმა საარჩევნო კომისიამ განმეორებითი არჩევნები უნდა დანიშნოს, რომელშიც ყველაზე მეტი ხმის მქონე ორი კანდიდატი მიიღებს მონაწილეობას.

მიმდინარე წლის სექტემბერში ბერდიმუხამედოვის ინიციატივით მიღებული ახალი კონსტიტუციის თანახმად, პარლამენტის უფლებამოსილებები მნიშვნელოვნად ფართოვდება. კერძოდ, ახალი რედაქციით, ქვეყნის ძირითადი კანონი პარლამენტის წევრებს საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნისა და თავად პრეზიდენტის დათხოვნის უფლებასაც კი ანიჭებს.

გუშინ, დღის 12 საათისთვის, თურქმენეთის ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში განაცხადეს, რომ არჩევნებში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა 56-მა პროცენტმა მიიღო მონაწილეობა ანუ საპარლამენტო არჩევნები შედგა. საბოლოო შედეგები უახლოესი ათი დღის მანძილზე გახდება ცნობილი.

როგორც მოსალოდნელია, თურქმენეთის ახალი პარლამენტი პირველ სესიას მიმდინარე წლის დასრულებამდე გამართავს. პარლამენტის ერთ-ერთი პირველი გადაწყვეტილება, სავარაუდოდ, სახელმწიფო ჰიმნის ტექსტის შეცვლა იქნება – ტექსტიდან იმ ფრაზებს ამოიღებენ, სადაც თურქმენბაშია ნახსენები.

## აიცილეთ კურსის ცვალებადობის რისკი!




# გახსენით
# კონვერტირებადი ანაბარი
# ბანკ "რესპუბლიკაში"!

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC

ჯგუფი სოსიეთე ჟენერალი

CMYK - 9

## თქვენი ანაბრის ვალუტის კურსი ეცემა?

**კონვერტირებადი ანაბარი გაძლევთ საშუალებას, გადაიტანოთ თქვენი დანაზოგი სხვა ვალუტაში და თანაც შეინარჩუნოთ ანაბარზე დაგროვილი სარგებელი.**

**თუ გახსნილი გაქვთ კონვერტირებადი ანაბარი ბანკ "რესპუბლიკაში":**

- ანაბარზე განთავსებულ თანხას გაანაღდებთ ნებისმიერი ვალუტით
- მიიღებთ მაღალ სარგებელს – 14%-მდე
- ხართ მსოფლიო საბანკო ჯგუფ "სოსიეტე ჟენერალის" პატივცემული მეანაბრე

### კონვერტირებადი ანაბრის გასახსნელად ეწვიეთ ჩვენს ნებისმიერ ფილიალს:

**თბილისის ფილიალების ქსელი**

| | | |
|---|---|---|
| სათავო ოფისი | გრ. აბაშიძის ქ. 2 | 925555 |
| ცენტრალური ფილიალი | გრ. აბაშიძის ქ. 2 | 925555 |
| დელისის ფილიალი | ალ. ყაზბეგის გამზ. 47 | 312161 |
| სადგურის ფილიალი | რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია | 910600 |
| დიდუბის ფილიალი | წერეთლის გამზ. 10 | 345556 |
| პეკინის ფილიალი | პეკინის გამზ. 28 | 433355 |
| გლდანის ფილიალი | ხიზანიშვილის ქ. 20 | 590550 |
| ისნის ფილიალი | ნავთლუღის ქ. 6/2 | 243737 |
| ფალიაშვილის ფილიალი | ფალიაშვილის ქ. 33ა | 912237 |
| ჭავჭავაძის 24 საათიანი ფილიალი | ჭავჭავაძის გამზ. 13 | 925555 |
| აღმაშენებლის ფილიალი | აღმაშენებლის გამზ. 112 | 243585 |
| ვაჟა - ფშაველას ფილიალი | ვაჟა - ფშაველას გამზ. 71 | 244114 |
| დიღმის ფილიალი | დიღმის მასივი, I კვარტალი, I ბ კორპუსი | 518515 |
| საბურთალოს ფილიალი | გურამიშვილის გამზ. 34 | 653515 |

**რეგიონების ფილიალების ქსელი**

| | | |
|---|---|---|
| ქუთაისის ფილიალი | გრიშაშვილის ქ. 6 | 8(231) 58888 |
| ბათუმის ფილიალი | ქუთაისის ქ. 6 | (888 222) 32810 |
| ბათუმის 24 საათიანი ფილიალი | გოგებაშვილის ქ.24 | (888 222) 759 26 |
| სამტრედიის ფილიალი | რაზმაძის ქ. 2 | 8(211) 21353 |
| ზუგდიდის ფილიალი | ზვ. გამსახურდიას გამზ. 34 | 8(215) 50008 |
| რუსთავის ფილიალი | მეგობრობის გამზ. 20 | 8(24) 12 55 55 |
| ფოთის ფილიალი | აღმაშენებლის ქ. 50 | 8 (293) 7 00 87 |
| თელავის ფილიალი | მარჯანიშვილის ქ. 4 | 8 (250) 70040 |
| სიღნაღის ფილიალი | თამარ მეფის ქ. 1 | 8 (255) 31037 |

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით 24 საათის განმავლობაში: **(8 22) 92 55 55**

www.republic.ge

**ბანკი რესპუბლიკა**
**BANK REPUBLIC**

**ჯგუფი სოსიეტე ჟენერალი**

CMYK - 9

## ანა კალანდაძეს დაბადებიდან 84 წელი შეუსრულდებოდა

დღეს, 15 დეკემბერს, ქართველი პოეტს ანა კალანდაძეს დაბადებიდან 84 წელი შეუსრულდებოდა.

ანა კალანდაძე დაიბადა ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავში 1924 წლის 15 დეკემბერს. 1946 წელს დაამთავრა თსუ-ის ფილოლოგიური ფაკულტეტი. ამავე წელს გამოაქვეყნა პირველი ლექსები. პირველი კრებული "ლექსები" 1953 გამოსცა. კალანდაძის პოეზიამ იმთავითვე მიიპყრო ყურადღება ლექსის სინატიფით და პოეტური აზროვნების მაღალი კულტურით. მან ქართულ პოეზიაში ხანგძლივი ინტერვალის შემდეგ კვლავ გამოხატა სულიერი სინაზე და სიფაქიზე. ანას შემოქმედების ყველა თემა თუ მოტივი ლირიკული თვითგამოხატვით ცხდადდება და უაღრესი ინტიმურობის ელფერს იძენს. ანა კალანდაძის პოეტური კრებულები გამოიცა 1957, 1960, 1967, 1976 და სხ. მისი ლექსები თარგმნილია რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, პოლონურ და სხვა ენებზე. 1998 წლიდან იგი იყო ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი. იგი არის სხვადასხვა დროს გამოცემული პოეტური კრებულის ავტორი, რუსი და უცხოელი პოეტების ცალკეული ლექსების მთარგმნელი. არის გალაკტიონ ტაბიძისა და რუსთაველის პრემიების ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი.

83 წლის ასაკაში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, 2008 წლის 11 მარტს პოეტი-აკადემიკოსი ანა კალანდაძე გარდაიცვალა. მიღებული ინსულტის შედეგად უკანაკსნელი სამი თვის განმავლობაში ავამყოფობდა.

2008 წლის 15 მარტს, ანა კალანდაძეს მთაწმინდაზე, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს. პოეტის მთაწმიდდაზე დასაფლავება გადაწყდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის ინიციატივით, რომელიც ანა კალანდაძის დამკრძალავ კომისიას ხელმძღვანელობდა.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## დიდი მწერალი გაიხსენეს

შესრულდა ერთი წელი გამოჩენილი ქართველი მწერლის ოთარ ჩხეიძის გარდაცვალებიდან.

დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში ქართული კულტურის მოღვაწეებმა, მწერლის შემოქმედების თაყვანისმცემლებმა პატივი მიაგეს მის ნათელ ხსოვნას. სიონის საპატრიარქო ტაძრის პროტოპრესვიტერმა მამა გიორგიმ კი მისი სულის მოსახსენიებლად პანაშვიდი გადაიხადა.

კიდევ ერთხელ აღინიშნა ოთარ ჩხეიძის დიდი ღვაწლის ქართული მწერლობის წინაშე. იგი სიცოცხლეშივე იყო აღიარებული ლიტერატურის კლასიკოსად და დაგვიტოვა მონუმენტური მხატვრული მემკვიდრეობა - რომანების ციკლი „მატიანე ქართლისა", ბიოგრაფიული რომანები ვასილ ბარნოვსა და ლორდ ბაირონზე, ნოველების სამი ტომი ისტორიული პიესებისა და თანამედროვე დრამების, კრიტიკულ-ესთეტიკური და პუბლიცისტური სტატიების რამდენიმე კრებული, თარგმანები. მწერლის საფლავთან შეკრებილმა საზოგადოებამ კიდევ ერთხელ გამოხატა პატივისცემა და მოკრძალება ცნობილი მწერლის ხსოვნის მიმართ.

*მედიანიუსი*

## ირმა ნიორაძე თბილისში

დღეს თბილისში ცნობილი პრიმა-ბალერინა ირმა ნიორაძე ჩამოდის.

პრიმა-ბალერინა საკუთარ პარტნიორთან, მიხეილ ლაბუხინთან ერთად ფესტივალში "ხელოვანები ხელოვანთათვის" მიიღებს მონაწილეობას, რომელიც ოპერისა და ბალეტის თეატრში 18 დეკემბერს გაიხსნება.

ირმა ნიორაძე და მიხეილ ლაბუხინი თბილისში დღეს საღამოს, 20:00 საათისათვის კიევიდან ჩამოფრინდებიან. როგორც ცნობილია, ფესტივალი "ხელოვანები ხელოვანთათვის" პირველად გასულ წელს ჩატარდა. "ხელოვანები ხელოვანთათვის" საქველმოქმედო ტიპის ღონისძიებაა, რომელიც ხელოვანთა მიერ ხელოვნების წარმომადგენლების დახმარებას ისახავს მიზნად და რომელიც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით ეწყობა.

*პირველი*

## "მის მსოფლიო" რუსი ლამაზმანი ქსენია სუხინოვა გახდა

2008 წლის "მის მსოფლიო" რუსი ლამაზმანი გახდა.

სამხრეთ აფრიკაში ჩატარებულ ერთ-ერთ ულამაზეს კონკურსზე მსოფლიოს ყველაზე ლამაზი ქალბატონის ტიტული და დიადემა 21 წლის ქსენია სუხინოვამ მოიპოვა.

გამარჯვებულთა ხუთეულში შევიდნენ "მის ინდოეთი", "მის ტრინიდადი და ტაბაგო", "მის ანგოლა" და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის წარმომადგენელი.

ნახევარფინალში კი სულ 15 ქვეყნის წარმომადგენელი გავიდა. მათ შორის 5 ნახევარფინალისტი მინიკონკურსების შედეგად შეირჩა.

ფინალისტთა შორის ვერ მოხვდა საქართველოს წარმომადგენელი. ჩვენს ქვეყანას ქართველი ლამაზმანი და "მის საქართველო-2008" ხათუნა სხირტლაძე წარმოადგენდა.

"მის მსოფლიოს" ორგანიზატორთა ინფორმაციით, კონკურისის პირდაპირ ტრანსლაციას 187 ქვეყნის 1 მლრდ-ზე მეტი მაყურებელი ადევნებდა თვალს.

აღსანიშნავია, რომ ქსენია სუხინოვა მეორე რუსი ლამაზმანია, რომელმაც "მის მსოფლიოს" ტიტული მოიპოვა. 16 წლის წინ კი, 1992 წელს "მის მსოფლიო" იულია კუროჩკინა გახდა.

*პირველი*

# სიყვარული, დანაშაული და მეძავები საქართველოდან

**პირველი გვერდიდან**

რომ სამყაროს უმნიშვნელოვანესი გრძნობა სწორედ სიყვარულია - ის, რაც ადამიანებს ნებისმიერი ნაბიჯის გადასადგმელად განაწყობს, თუნდაც თვითმკვლელობისთვის მომზადებულ გოგონას მაღალსართულიანი სახლის სახურავიდან ჩამოიყვანს.

"სიყვარული და სხვა დანაშაულებები" უპრეტენზიო და უხმაურო ფილმთა კატეგორიას განეკუთვნება, რომლებიც თითქოს შეუმჩნევლობისთვის არიან განწირულნი, თუმცა მეორე მხრივ, სწორედ ამის გამო იქცევენ ყურადღებას. ფილმის სიუჟეტი რამდენიმე ადამიანის ცხოვრებისგანაა აწყობილი: ანიცა ადგილობრივი კრიმინალის საყვარელია. იგი ბავშვობიდან უყვარს ამავე კრიმინალის ხელქვეით სტანისლავს, რომელიც ალბათ იმ თვითმკვლელ გოგონას შეჰყვარებია, რომლის სახლის სახურავიდან ჩამოყვანა მხოლოდ სტანისლავს შეუძლია. ამ ადამიანების ერთდღიანი ქრონიკის თვალის გადავლებით თითქმის ყველანაირ ცხოვრებისეულ სირთულეს ვხვდებით: ტყუილს, სიძულვილს, სიკვდილს, პატიების უნარის არქონა და ცხადია სიყვარულს, რომელიც ალბათ ყველაზე რთულია, მაგრამ მაინც ნებისმიერ ჩამოთვლილ სირთულეს ანეიტრალებს.



*კადრი ფილმიდან "სიყვარული და სხვა დანაშაულებები".*

ვერცხლის პრომეთე, ანუ პრიზი საუკეთესო რეჟისურისთვის ოზჯან ალპერისს გადაეცა ფილმისთვის "შემოდგომა". ფილმი ქართველი მეძავისა და თურქი მამაკაცის სიყვარულზეა. აქ ოდესღაც საქართველოს, ახლა კი თურქეთის ულამაზესი პეიზაჟები ჩანს და ქართული სიმღერებიც ისმის, თუმცა ამ სიმღერებს თურქეთში მცხოვრები ქართველი მეძავები მღერიან. მთავარ როლსაც ქართველი გოგონა, მეგი კობალაძე თამაშობს.

ჟიურის სპეციალური პრიზით გამოარჩიეს ალესანდრო ანჯელინის "მლაშე ჰაერი" – ნამდვილი ოჯახური დრამა, რომელშიც ინდივიდისა და საზოგადოების კონფლიქტი მაშინ იჩენს თავს, როდესაც ციხიდან გამოსული პატიმარი საკუთარ ოჯახს დაუბრუნდება.

■ ■ ■

ფესტივალის დახურვამდე ორი ისეთი ფილმი ვიხილეთ, რომელთა შესახებ, სრულიად განსხვავებული მიზეზების გამო, აუცილებლად უნდა აღინიშნოს.

ფესტივალის მსვლელობისას საკონკურსო პროგრამაში სულ ათი ფილმი იყო წარმოდგენილი, თუმცა მხოლოდ ერთხელ იყო შემთხვევა, როდესაც მაყურებელის ნაწილმა სეანსის დასრულებამდე ვერ გაძლო და ფილმი შუა ჩვენებიდან მიატოვა. ეს იყო ქართველი რეჟისორის, ბაკურ ბაკურაძის რუსეთში გადაღებული "შულტესი", რომელიც საკონკურსო ჩვენების ბოლო ფილმი იყო და შესაძლოა გადაღლილი მაყურებლისთვის უკვე ძნელად მოსანელებელი ლუკმა აღმოჩნდა.

"შულტესი" წლევანდელ კანის ფესტივალზე სპეციალური პროგრამით აჩვენეს, რის შემდეგაც ერთმა ძალიან ცნობილმა და გავლენიანმა კრიტიკოსმა მის შესაფასებლად მხოლოდ ერთი წინადადება გამოიმეტა: "ფილმი, რომელიც არ უნდა ნახოთ". ძნელია ამის შემდეგ ფილმს ობიექტურად მიუდგე და მხოლოდ საკუთარი შეფასება გააკეთო, მაგრამ "შულტესის" დაწყებიდან დაახლოებით 30 წუთის შემდეგ უკვე ხვდები, რომ ის კრიტიკოსი სრულიად მართალი იყო.

შულტესი, ანუ ლიოშა შულტესი თანამედროვე მოსკოვის რიგითი და პრაქტიკულად შეუმჩნეველი მოქალაქეა. იგი მძლეოსანთა მწვრთნელია, თუმცა ფულს ჯიბის ქურდობითაც შოულობს. მისი ცხოვრება იმდენად მონოტონურია, რომ შეიძლება ითქვას, ტელევიზორისა და ავადმყოფი დედის მოვლის შემდეგ ქურდობა მისი ერთადერთი გასართობია. შულტესის ყოველი დილა აუცილებელი გარბენით იწყება, დედისთვის სადილის მომზადებით გრძელდება, ქურდობით მთავრდება და სწორედ პერსონაჟის ასეთი მონოტონური ცხოვრება გვაფიქრებინებს, რომ ფილმში აუცილებლად უნდა მოხდეს აფეთქება, რომელიც არა და არ ხდება!



*კადრი ფილმიდან "ქაღალდის ჯარისკაცი".*

კინოენა, რომელსაც "შულტესის" შემთხვევაში ბაკურაძე იყენებს, მრავალგზის მოსინჯული და გამოყენებულია. სტატიკური კადრები, პერსონაჟის ხასიათის მსგავსი გარემო, პრაქტიკულად უსიცოცხლო სცენები და ბლანტე ატმოსფერო ამ ფესტივალის მსვლელობის დროსაც ვნახეთ. მაგალითად, უნგრულ "გამომძიებელში", მაგრამ "შულტესისგან" განსხვავებით ამ ფილმში თვითოეული სცენა მომდევნოს წინაპირობაა, თითქოს აუცილებლობა, რომელიც ფილმის მსვლელობისას გორგალივით იკვრება და სიუჟეტის ქსოვას იწყებს. ასევე შეგვიძლია გავიხსენოთ გას ვან სანტის "სპილო" - ფილმი, სადაც თითქმის საათნახევრის განმავლობაში პრაქტიკულად არაფერი ხდება და რეჟისორი მხოლოდ რამდენიმე პერსონაჟის ცხოვრების თითქოს უმნიშვნელო მომენტებზე ამახვილებს ყურადღებას. ყოველი პერსონაჟისთვის დათმობილი დროის მონაკვეთი თითქოს მათთვის განკუთვნილი ხანმოკლე ცხოვრების სიმბოლოა, ხოლო კადრის წყობა და კომპოზიცია ლამის ხელოვნების ნიმუშის ტოლფასი.

ბაკურ ბაკურაძე კი ამ წარმატების მიღწევას ვერ ახერხებს, მეტიც, თითქოს ხელოვნურად შექმნილი პირქუში გარემოთი მაყურებელს იმდენად ღლის, რომ მას სხვა არაფერი რჩება, გარდა იმისა, რომ ამ სატანჯველს უბრალოდ თავი დააღწიოს. ბაკურაძის ფილმის ნაკლი მთავარი როლის შემსრულებელი, ასევე ქართველი, არაპროფესიონალი მსახიობი გელა ჩიტავაცაა. ის თითქოს კარგი ტიპაჟია - სახეზე ახატია თავისი სიმარტოვის მთელი ანატომია, მაგრამ იმდენად უსიცოცხლოა, იმდენად დუნე და უემოციო, რომ ფილმის სიმძიმეს მხოლოდ ზედმეტ კილოგრამებს ამატებს.

ფესტივალის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ფილმი აღმოჩნდა სპეციალური პროგრამით წარმოდგენილი ალექსეი გერმან უმცროსის "ქაღალდის ჯარისკაცი" მერაბ ნინიძით და ჩულპან ხამატოვათი მთავარ როლებში. ვიდრე ფილმის ჩვენება დაიწყებოდა, მერაბ ნინიძემ საკმაოდ ემოციური შესავალი გააკეთა, რომლის დასრულებაც ნერვიულობის გამო ვერ შეძლო. და მხოლოდ ფილმის ყურებისას გახდა გასაგები, რატომ იყო მსახიობი ასე აღელვებული - მას ჯერ კიდევ გამოყოლილი აქვს ფილმის მთელი სიმძიმე, ის ალბათ ჯერ კიდევ ქაღალდის ჯარისკაცად გრძნობს თავს...

გერმანის ფილმის სიუჟეტი არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის, არამედ კაცობრიობისთვის უმნიშვნელოვანეს პერიოდში ვითარდება - 1961 წელია და კოსმონავტებს პირველი სარაკეტო ფრენისთვის ამზადებენ. რამდენიმე კანდიდატურიდან მხოლოდ ერთი უნდა დარჩეს, თუმცა ეს ადამიანი თითქოს ფილმის კულისებშია დამალული და მხოლოდ ისტორიული ფაქტის დამადასტურებლის როლს ასრულებს. აქ მთავარი გმირი დანიელ პოკროვსკია, რომელიც რუსული გვარისა და რუსი დედის მიუხედავად, ქართველია, მღერის ქართულად და სიყვარულითაც ქართულად უყვარს. მისი ცხოვრება ჩვენს თვალწინ რაკეტის საპირისპირო მხარეს მიექანება და ისეთივე მყაყე და აუტანელი ხდება, როგორიც ბაიკანურის კოსმოდრომის გარშემო არსებული ბინძური გარემოა. ამ ადგილიდან არც თუ შორს არსებული სტალინური რეჟიმის მსხვერპლთა ყოფილი ბანაკები კი მისი წარსულის გამოხვრასაც იწყებს. და სწორედ ამის ფონზე დანიელი მაინც ვალდებულია სახელმწიფოს, სამშობლოს ემსახუროს და მის სადიდებლად სწორი არჩევანი გააკეთოს. არჩევანი სწორია - იური გაგარინი პირველი კოსმონავტი ხდება, თავად დანიელი კი ცისკენ გაშვერილი თითით ტალახსა და სიბინძურეში უბრალოდ იკარგება...

# ბარტონის, ნიქსონისა და მილიონერების გზა

## გამოქვეყნდა "ოქროს გლობუსის" ნომინანტების სია

ნიკა ესებუა



ლოს ანჯელესში "ოსკარის" შემდეგ ყველაზე პრესტიჟული ჯილდოს, "ოქროს გლობუსის" ნომინანტები დაასახელეს. "ბენჯამენ ბარტონის საკვირველი ამბავი", "ეჭვი" და "ფროსტ/ნიქსონი" ყველაზე მეტ - ხუთ-ხუთ ნომინაციაზე არიან წარდგენილი. ოთხ-ოთხი ნომინაცია მოიპოვა "მკითხველმა", "რევოლუციურმა გზამ" და "მილიონერმა ჯურღმულიდან". საუკეთესო ფილმის წოდებისთვის კი იბრძოლებენ: "რევოლუციური გზა", "ფროსტი/ნიქსონი", "მილიონერი ჯურღმულიდან", "მკითხველი" და "ბენჟამენ ბარტონის საკვირველი საქმე".

სემ მენდესის ფილმი საუკეთესო ფილმის ნომინციაში "ამერიკული სილამაზის" შემდეგ არ გამოჩენილა. კეიტ უინსლეტის და ლეონარდო დი კაპრიოს დუეტით იგი კვლავ დაუბრუნდა "გლობუსს" და "რევოლუციური გზით" შეეცდება წარმატების მოპოვებას. თავად მენდესი საუკეთესო რეჟისორის ჯილდოზეა ნომინირებული. დი კაპრიო და კეიტ უინსლეტი კი საუკეთესო მამაკაცი/ქალი მსახიობის წოდების მოპოვებას შეეცდებიან.

რონ ჰოვარდი "გლობუსზე" ოთხჯერ იყო ნომინირებული, თუმცა გამარჯვების მოპოვება ვერც ერთხელ შეძლო. ამჯერად კი "ფროსტი/ნიქსონით" ანუ უოთერგეიტის გახმაურებულ საქმეზე გადაღებული ფილმით შეეცდება ნავსის გატეხვას და საუკეთესოს ჯილდოს მოპოვებას როგორც ფილმის, ასევე რეჟისორის ნომინაციაში. რიჩარდ ნიქსონის როლის შემსრულებელი ფრენკ ლანგელა საუკეთესო დრამატული მსახიობის ნომინაციაშია წარდგენილი, ჰანს ციმერი საუკეთესო მუსიკისათვის, პიტერ მორგანი კი "გლობუსის" მოპოვებას საუკეთესო სცენარისათვის შეეცდება.

"მკითხველი" სტეფენ დალდრის დრამაა რალფ ფაინსისა და კეიტ უინსლეტის მონაწილეობით. კეიტ უინსლეტი ამ ფილმისთვის მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესოდ შესრულებისაა ნომინირებული. თავად დალდრი რეჟისორისათვის დაწესებული გლობუსის მოპოვებას შეეცდება.

უცნაურია, რომ ბრიტანელი რეჟისორი დენი ბოილი პირველადაა ოქროს გლობუსზე ნომინირებული. მისი ფილმი "მილიონერი ჯურღმულიდან" წლის ერთ-ერთი ყველაზე მაღალრეიტინგული ფილმია. რეჟისურისა და ფილმის ნომინაციების გარდა მისი ნამუშევარი საუკეთესო სცენარის და მუსიკისთვისაც არის ნომინირებული.

დევიდ ფინჩერი, კი გამარჯვებისთვის "ბენჟამენ ბარტონის საკვირველი ამბით" იბრძოლებს. "მებრძოლთა კლუბის". "შვიდისა" და "ზოდიაქოს" რეჟისორისთვის ეს პირველი ნომინაციაა "გლობუსზე". ბრედ პიტს შანსი აქვს საუკეთესო მსახიობის ჯილდოს დაეუფლოს. მას უკვე აქვს "გლობუსი" "თორმეტ მაიმუნში" მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესოდ შესრულებისთვის. მის და ზემოთ ნახსენები მსახიობების გარდა საუკეთესო მსახიობის ჯილდოს მოპოვებისთვის მამაკაცებში ასევე იბრძოლებენ შონ პენი ("მილკი") და მიკი რურკი ("მოჭიდავე").

მიუზიკლში ან კომედიაში საუკეთესო მამაკაცი მსახიობის წოდების შანსი აქვს შარშანდელი "გლობუსის" ლაურეატ ხავიერ ბარდემს ("ვიკი ქრისტინა ბარსელონა"), კოლინ ფარელს და ბრენდან გლისონს დრამისა და კომედიის ნაზავი ფილმისთვის "ბრიუგეში", დასტინ ჰოფმანს ("უკანასკნელი შანსი ჰარვისთვის") და ჯეიმს ფრანკოს "ანანასის ექსპრესიდან".

მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესოდ შესრულებისათვის ნომინირებულნი არიან: რობერტ დაუნი უმცროსი რომელმაც შავკანიანი ავსტრალიერლი შეასრულა ფილმში "ტროპიკული ქარიშხალი", ტომ კრუზი, რომელიც იმავე ფილმში გრიმისა და მაკიაჟის დამსახურებით ძალიან ძნელი საცნობია, რალფ ფაინსი ფილმიდან "ჰერცოგინია", ფილიპ სეიმურ ჰოფმანი ფილმიდან "ეჭვი" და ნომინაციის მთავარი ფავორიტი ჰიტ ლეჯერი ჯოკერის როლისთვის.

საუკეთესო ქალი მსახიობისთვის დაწესებული ჯილდოსთვის კეიტ უინსლეტს მერილ სტრიპი, ანჯელინა ჯოლი, ენ ჰატეუეი და კრისტინ სკოტ ტომასი შეეცილებიან. მერილ სტრიპმა მეორე ნომინაციაც მოიპოვა - საუკეთესო მსახიობი ქალის ნომინაციაში მიუზიკლსა ან კომედიაში მისი კონკურენტები არიან სალი ჰოკინსი, რებეკა ჰოლი, ბრიტანელი მსახიობი ემა ტომპსონი და ოსკაროსანი ფრენსის მაკდორმანდი.

ანიმაციურ ფილმებში, როგორც მოსალოდნელი იყო, "ბოლტი", პიქსარის "უოლ-ი" და "კუნგ ფუ პანდა" არიან ნომინირებულნი. ყველა ნიომინაციის ფავორიტის შესახებ კი 11 იანვარს შევიტყობთ.

# ახალი წიგნი ჰარი პოტერის ავტორისგან

თაკო ხუციშვილი




სულ მალე გაყიდვაში გამოვა ბრიტანელი მწერლის, "ჰარი პოტერის" ავტორის ჯოან როულინგის ახალი წიგნი სახელწოდებით The Tales of Beedle the Bard. მწერლის გადაწყვეტილებით, წიგნიდან მიღებული შემოსავალი ქველმოქმედებას მოხმარდება და გადაირიცხება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უპატრონო ბავშვებისთვის.

The Tales of Beedle the Bard წარმოადგენს ხუთი ზღაპრის კრებულს. აღსანიშნავია, რომ იგი ნახსენები იყო ჰარი პოტერის ბოლო წიგნში Harry Potter and the Deathly Hallows. ხუთი ამბიდან ჰარი პოტერის წიგნში მხოლოდ "სამი ძმის ამბავი" შევიდა, რომელიც მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ მასში ნახსენებია ჰარი პოტერის მთავარი მისიის შესახებ - გაანადგუროს ლორდი ვოლდემორტი.

ამ წიგნმა ერთი წლის წინ აუქციონზე ავტორს ოთხი მილიონი მოუტანა.

წიგნის 100 000 ეგზემპლარს წიგნების ონლაინმაღაზია "ამაზონი" ბეჭდავს. ახალი კრებულის ღირებულება 100 დოლარი იქნება. ხოლო წიგნის საერთო ტირაჟი 7.5 მილიონს მიაღწევს.

"The Tales of Beedle the Bard-ში შევეცადე უფრო ნათლად გამომეხატა ის იდეები, რომელსაც ჰარი პოტერის წიგნებში შეხვდით, ამ წიგნის დაწერამ საშუალება მომცა დავმშვიდობებოდი საყვარელ სამყაროს, რომელშიც 17 წელი ვცხოვრობდი"-განაცხადა მწერალმა.

ჯოან როულინგს იმედი აქვს, რომ წიგნი მის მოლოდინს გაამართლებს და ათასობით დოლარი შევა იმ საქველმოქმედო ფონდში, რომელიც მწერალმა პარლამენტარ ემა ნიკოლსონთან ერთად დააარსა. ფონდის მთავარი მიზანია დაიცვას ბავშვთა უფლებები ევროპის მასშტაბით. ფონდის საქმიანობა უკვე გავრცელდა საქართველოში, რუმინეთში, მოლდოვაში, სომხეთსა და ჩეხეთში.

როგორც ავტორი გვპირდება, Beedle the Bard არ იქნება მწერლის ბოლო სიტყვა ჰარი პოტერის სამყაროში. ის გეგმავს ენციკლოპედიის კრებულის გამოცემას. შემოსული კვლავ ქველმოქმედებას მოხმარდება.

ყოველ ორშაბათს საქართველოს ეროვნული მუზეუმი და გაზეთი "24 საათი" წარმოგიდგენთ პროექტს, რომელიც ეროვნულ მუზეუმში გაერთიანებული სხვადასხვა მუზეუმის გამორჩეული ექსპონატების პოპულარიზაციას ისახავს მიზნად.



# ფიროსმანი

## "კახეთის მატარებელი"

ძნელია დღეს წარმოიდგინო საქართველოში უფრო პოპულარული მხატვარი, ვიდრე ფიროსმანია.

კაცი, რომელიც სიცოცხლეშივე გამოცანად იქცა. ფიროსმანი, კაცი ლეგენდა, თავისი ცხოვრებით და ხატვის წესებით, რომელზეც გვიან იტყვიან "ვინ არის იგი - "სუფთა ხელოვნების, წვრილი ვაჭრების "ტფილისური ბოჰემის" სახვითი შესატყვისი თუ უახლესი "მოდერნული" ფერწერის წამომწყებთაგანი"... ალბათ სამივე ერთად... უფრო კი სამივეს სინთეზი.

როგორც გრიგოლ რობაქიძე იტყოდა-კაცი, რომელმაც იწამა მიწის პირველყოფა, მიწის "დედობა". ალბათ ეს იყო ის მუხტი, რომელმაც ასაზრდოვა და განსაზღვრა კიდეც მისი შემოქმედება.

ნიკო ფიროსმანაშვილს ცხოვრება მოუხდა ქალაქში, სადაც თავს იყრიდა და დაუბრკოლებლად ვითარდებოდა დიამეტრულად განსხვავებული ორი დიდი კულტურა - დასავლეთის და აღმოსავლეთის.

მხატვრის შემოქმედება სულ რაღაც ორ ათეულ წელს მოიცავს. ჩვენამდე არ მოუღწევია მის ადრინდელ ნამუშევრებს, მაგრამ სრულიად ლოგიკურია ვივარაუდოთ მათი არსებობა.

ფიროსმანის მხატვრული პრინციპების ფორმირება XIXს-ის 90-იანი წლების დასასრულს და XX საუკუნის დასაწყისში ხდება და ქართული კულტურის ისტორიაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს. მისი შემოქმედება ევროპაში მომხდარ კულტურულ ძვრებს ემთხვევა, როცა XIX ს-ში უკან იხევს მოდერნის სტილისთვის დამახასიათებელი მითოლოგიური სიუჟეტები, ალეგო- რიული მოტივები და ადგილს უთმობს რეალობას – პირდაპირ დამოკიდე- ბულებას როგორც ნატურასთან, ასევე გარე სამყაროსთან.

ნიკალას ტიპაჟი სავსებით რეალური და ცხოვრებისეულია. ეს არის XIX საუკუნის და XX საუკუნის დასაწყისის სოფელი, გლეხები თავისი ბაღ-ვენახებით, მოსავლის აღებასთან დაკავშირებული რიტუალებით და ქალაქი თბილისი თავისი ბოჰემით, ვიწრო ქუჩაბანდებით, ხელოსნებით და სირაჯებით, აღმოსავლური ქალაქისათვის დამახასიათებელი ხმაურიანი ცხოვრების ტემპით.

ფიროსმანის შემოქმედების შესწავლის დროს გარკვევით იკვეთება ავანგარდული მოტივები. ვფიქრობთ ამითაც იყო განპირობებული მისი მონაწილეობა, 1913 წელს, მოსკოვში "მიშენის" ავანგარდისტთა გამოფენაზე ნატალია გონჩაროვას, ვ.ს.ბარტის, ა.ი.აბრამოვის, მიხ.ლარიონოვის, გ.ლედანტიუსა და სხვათა გვერდით.

ფიროსმანაშვილი სრულიად განსხვავებულია და ერთადერთი თავისი მხატვრული ხერხებით. მას მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალური სტილი და თავისუფალი წერის მანერა გააჩნია.

მხატვარი თავისი შემოქმედების გარკვეულ ეტაპზე ნეოპრიმიტივიზმის წარმომადგენელიც არის და სურეალიზმისაც... ამის ნათელი დადასტურებაა მისი ერთ-ერთი უნიკალური ნამუშევარი "კახეთის მატარებელი" შესრულებული მუყაოზე ზეთის ფერებით 1913 წელს (1926 წლის კატალოგის მიხედვით).

სურათი კომპოზიციურად ლაკონურად, სულ რამდენიმე ფერით არის გადაწყვეტილი "კახეთის მატარებელში" ფიროსმანი იძლევა რეალური და ირეალური ხილვების არაჩვეულებრივ გადაწყვეტას, სინთეზს.

მონაცისფრო ცაზე დაკიდული ვერცხლისფერი მთვარე, თეთრად დათოვლილი კავკასიონის ქედი, გორაკების ძირში გაწოლილი შავი მატარებელი მოყვითალო ფერის ფანჯრებით, რომლებიდანაც მოჩანს მგზავრების შავი სილუეტები და ყვითლად შეფერილ ბაქანზე არაპროპორციულად განლაგებული, გვერდზე წამოწოლილი ქვევრები, ღვინის ტიკები და კასრები, გარშემოწერილი თეთრი ბრტყელი ხაზით, სრულიად უნიკალურ სურათს ქმნის.

ნაკლებად დასაჯერებელია, რომ მხატვარს სცოდნოდა რამე ავანგარდზე, და მის მიმდინარეობაზე. იგი საკუთარი, შინაგანი მუხტის წყალობით სრულიად დამოუკიდებლად მიდის მსოფლმხედველობისა და წერის ამ მანერამდე. ეს ის პირველი ნაბიჯებია, რომელმაც შემდგომში ფართოდ ჰპოვა განვითარება მე-20 საუკუნის 20-იანი წლების ქართულ მხატვრობაში.

ფიროსმანმა სრულიად ახალი მხატვრული სამყარო შექმნა... მონუმენტური ფერწერა, თავისი მხატვრული ეპოქა, თვითმყოფადი და რეალური, რომელმაც სრულიად უჩვეულო ფერადოვანი გამის შექმნის საკითხი დააყენა და ვირტუოზულად გადაჭრა კიდეც ფერწერის ეს რთული პოლიქრომული თეორია.

*ეთერ შელია*
*საქართველოს ეროვნული მუზეუმი*

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "ჟინერი" აცხადებს ტენდერს საავტომობილო საწვავის შესასყიდად და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

შესასყიდი საქონელი დაყოფილია 2 (ორი) ლოტად შემდეგი სახით:

**ლოტი №1** აი-95 მარკის ბენზინი (ტალონი) - 10000 ლიტრი
აი-93 ( ურო ღეგულარ) მარკის ბენზინი (ტალონი) - 5000 ლიტრი
აი-92 (ღეგულარ) მარკის ბენზინი (ტალონი) - 2000 ლიტრი
**ლოტი №2** ლ-62 მარკის დიზელი - 40000 ლიტრი

საწვავის შესყიდვა იწარმოებს 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. დიზელის მიწოდების ადგილია დაბა ჟინვალი.

2. ტენდერში მონაწილეობის მსურველმა უნდა გადაიხადოს სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარი, შემდეგ რეკვიზიტზე სს „თიბისი" ბანკი, კოდი 220101830, ანგარიშის ნომერი 102467775, მიმღები შპს „ჟინერი".

3. სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ პრეტენდენტი მიიღებს სატენდერო დოკუმენტაციის სრულ პაკეტს შპს „ჟინერის" სატენდერო კომისიაში შემდეგ მისამართზე: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45, VII სართული. ტელ: 37-77-24.

4. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შეეძლებათ 2008 წლის 15 დეკემბრიდან 2009 წლის 9 იანვრის 18:00 საათამდე.

5. სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს ორიგინალის სახით ქართულ ენაზე.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს:

იურიდიული პირისათვის:

- ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან.;
- ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
- ცნობას სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება.

ფიზიკური პირისათვის:

- ცნობას შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.

როგორც ფიზიკური ისე იურიდიული პირისათვის:

- ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ;
- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტებს (სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები, საქმიანობის ფაქტიური ადგილი)

7. საკვალიფიკაციო მონაცემების მოთხოვნები ვრცელდება სუბკონტრაქტორებზეც, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

8. ტენდერის შედეგად შეიძლება გამოვლინდეს ერთი ან ორი გამარჯვებული.

9. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.

10. განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და ერთიანი დახურული კონვერტით წარმოდგენილი სატენდერო კომისიის აპარატში ხელმძღვანელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ 2009 წლის 12 იანვარს 12:00 საათამდე, მისამართზე თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45, VII სართული, შპს „ჟინერი".

11. პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები უნდა იყოს ხელმოწერილი იურიდიული პირის ხელმძღვანელის მიერ. ხელმოუწერელი სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

12. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოაღნიშნულ მისამართზე 2009 წლის 12 იანვარს 13:00 საათზე.

12. დაგვიანებით შემოსულ კონვერტებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირს.

13. ტენდერი ტარდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საფუძველზე. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო კომისიის აპარატში.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ შპს „ჟინერის" სატენდერო კომისიის აპარატს მისამართზე: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45, VII სართული, ტელ: 37-77-24.

საკონტაქტო პირი - არჩილ მგელაძე.

**სატენდერო კომისია**

## განცხადება

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო ინსტიტუტის აკადემიური საბჭო „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის „დ" პუნქტის, 22-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ორგანოების პირველი არჩევნების ჩატარების დებულების" (დამტკიცებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 25 დეკემბრის N721 ბრძანებით) VI თავის მე-13, მე-14, მე-15 მუხლების თანახმად აცხადებს კონკურსს რექტორის თანამდებობის დასაკავებლად.

რექტორობის კანდიდატების რეგისტრაცია იწარმოებს 2009 წლის 14 იანვრიდან 2009 წლის 14 თებერვლის ჩათვლით შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო ინსტიტუტის მართვის ორგანოების საარჩევნო კომისიის მიერ (მისამართი: ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. N14, II სართული). განცხადებები მიიღება 10.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე, ყოველდღე (გარდა კვირა დღისა).

რექტორის თანამდებობის დასაკავებლად განსაზღვრულია შემდეგი კრიტერიუმები:

- სრული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დამადასტურებელი ცნობა (აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან);
- სამეცნიერო - პედაგოგიური მუშაობის სულ მცირე 10 წლის სტაჟი;
- განათლების სფეროში ადმინისტრაციულ თანამდებობებზე მუშაობის სულ მცირე 5 წლის სტაჟი;
- სამოქმედო პროგრამის (კონცეფციის) წარმოდგენა.

**რექტორის თანამდებობის დასაკავებლად წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხა:**

- აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- ავტობიოგრაფია (CV)
- 2 ცალი ფოტოსურათი 3X4;
- სამოქმედო გეგმა (კონცეფცია).
- რექტორის არჩევნები გაიმართება 2009 წლის 17 მარტს. რექტორი აირჩევა აკადემიური საბჭოს მიერ ფარული კენჭისყრით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.
- დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საარჩევნო კომისიას მითითებულ მისამართზე.

**საკონტაქტო ტელეფონი: 899 25 67 56**
**შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო ინსტიტუტის აკადემიური საბჭო**

**დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის მანუალური თერაპიის და სამკურნალო მასაჟის სპეციალისტი ირაკლი ძიძიგური**

**გთავაზობთ:**

**ყველა ასაკის პაციენტთათვის - დისკოზის, ოსტეოქონდროზის, სქოლიოზის, ართროზის მკურნალობას, ოპერაციის და ტრავმის შემდგომ რეაბილიტაციას თანამედროვე აპარატურისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.**

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
თბილისი, თენგიზ აბულაძის 20
(ვაკე, „სამების" ეკლესიის უკან)
**ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (899) 222 912;**




DESIGN TURKEY
2008
Награда
за Лучший Дизайн

HIDROMEK
www.hidromek.com
AS TECHNIC LTD. 97.D. AGMASHENEBELI, Tbilis, GEORGIA
Phone:+ 995 32 452312 Fax:+ 995 77451815

# სპორტი

## "ვიტ ჯორჯია" წინ გაიჭრა

მიხეილ აბაიშვილი



ოვონომ რუსთავში კარი "მშრალად" ვერ შეინახა.

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მე-15 ტურმა, რომელიც ქვეყნის სტადფიონებზე 13 და 14 დეკემბერს გაიმართა, ერთი შეხედვით, სატურნირო ცხრილში მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილებები შეიტანა. ცხრილის დაწინაურებულ სამეულში ცვლილებები არ მომხდარა. ამას გარდაც, მხოლოდ ორი ცვლილებაა - "სიონმა" და "ოლიმპმა" "ლოკომოტივი" ჩამოიტოვეს და მეოთხე-მეხუთე პოზიციებს ინაწილებენ. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. ტურის მთავარი შედეგი კი ისაა, რომ "ვიტ ჯორჯიამ" ჯერ-ჯერობით მთავარი მდევრის - თბილისის "დინამოს" დამუხრუჭებით ისარგებლა, თავისი შეხვედრა მოიგო და კოკურენტებთან მეტად კომფორტული - 5-ქულიანი ჰანდიკაპი მიიღო.

ტურის ცენტრალური შეხვედრა რუსთავში, "ფოლადის" სტადიონზე გაიმართა, სადაც ბოლო დროს მომძლავრებულმა ადგილობრივმა "ოლიმპმა" მოქმედ ჩემპიონს და ტიტულის დაცვის მოშურნე "დინამოს" უმასპინძლა. პირველ წრეში ამ გუნდების დაპირისპირება "დინამოს" გამარჯვებით, ანგარიშით 2:1 დასრულდა. ჩემპიონის შანსების სასარგებლოდ ის ფაქტიც მეტყველებდა, რომ "ოლიმპს" თბილისის "დინამო" რუსთავში ერთხელაც არ ჰყავდა დამარცხებული. მეორეს მხრივ, რუსთაველებმა ამ სეზონში ერთი სერიოზული ნავსი უკვე გატეხეს - მისსავე მოედანზე დაამარცხეს "ზესტაფონი", რომელთანაც არც შინ, არც გასვლაზე საერთოდ არ ჰქონდა გამარჯვება მოპოვებული. ამას გარდა, მწვრთნელის შეცვლის - ხვიჩა ქასრაშვილის ნაცვლად ვარლამ კილასონიას "ოლიმპში" მისვლის შემდგომ რუსთავულ კლუბს არა მხოლოდ არცერთი შეხვედრა არტ ჰქონდა წაგებული, არამედ, ბოლო შვიდ ტურში ერთი გოლიც კი არ ჰქონდა გაშვებული. ამ წარმატებული, ფანტასტიური სერიის წყალობით, "ოლიმპმა" არა მხოლოდ საგრძნობლად გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა (მე-9 პოზიციიდან მეოთხემდე აინაცვლა), არამედ, გუშინწინდელი წარმატების შემდგომ სექტემბერში საპრიზო ადგილებისათვის დაწყებულ მარათონში რეალურად ჩაერთო.

გამარჯვებაცაა და გამარჯვებაც. მართალია, "ოლიმპმა" მხოლოდ მინიმალური ანგარიშით, 1:0 შეძლო მეტოქის დამარცხება, მაგრამ მთელი შეხვედრის განმავლობაში იმდენად დიდი იყო მასპინძელთა უპირატესობა, რომ "დეინამოს" ყველაზე სუბიექტური და თავგადაკლული გულშემატკივარიც ვერ შეიტანდა ეჭვს რუსთაველთა გამარჯვების ლოგიკურობაში. პირველივე წუთებიდან "ოლიმპმა" ხელთ იგდო სრული ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობა, რაც არა მხოლოდ ბურთის ფლობის პროცენტულ მაჩვენებელსა და სტუმართა კართან არსებულ მუდმივ დაძაბულობაში, არამედ ოვონოს კართან შექმნილ არაერთ აშკარა საგოლე მომენტშიც აისახა. რამდენიმე ეპიზოდში გაბონელმა მეკარემ ითამაშა ბრწყინვალედ და ეგრეთ წოდებული აურებელი ბურტებიც მოიგერია, სხვა შემთხვევებში კი კილასონიას თავდასხმის ხაზმა ვერ შეირგო ხელსაყრელკი მომენტები - ორჯერ ჩხეტიანს და ერთხელაც სეთურიძეს გოლის გატანა მართებდათ, მაგრამ ხელსაყრელი პოზიციებიდან გოლის გატანა ვერ შეძლეს. შედეგად, პიველ ტაიმში "დინამო" გოლის გაშვებას გადაურჩა და თამაშის ხასიათიდან გამომდინარე, მისთვის მეტო რომ არ შეიძლება, ისეთი სასურველი ანგარიშით (0:0) გავიდა შესვენებაზე. წესით, მოვლენათა ასეტი განვითარება განგაშის სიგნალი უნდა გამხდარიყო გერმანელი რაინერ ცობელისთვის და შესვენების შემდეგ "დინამოს" მოედანზე ვითარება თავის სასარგებლოდ უნდა გამოესწორებინა. "დინამოს" ქომაგთა სამწუხაროდ, გუნდს არ აღმოაჩნდა ის რეზერვი და რესურსი, რომელიც ამას შეძლებდა. უნდა ითქვას, რომ ამ შეხვედრაში ტრავმების გამო ცობელმა ორი წამყვანი შემტევი მოთამაშე მოისაკლისა - გიორგი მერებაშვილი და მათე ვაწაძე. მოგეხსენებათ, ვაწაძე სულაც ეროვნული ჩემპიონატის ბომბარდირთა დავას ლიდერობს 8 გოლით და ამ მაჩვენებლი არც მერებაშვილია ძალიან უკან, ორმელსაც 6 გოლი აქვს გატანილი. "ოლიმპთან" დაპირისპირებაში სწორედ ამ ფეხბურთელების არყოფნა აღმოჩნდა "დინამოსთვის" ფატალური, რომელმაც თავისი თავდასხმის ლიდერების გარეშე შეტევის ხაზში პრაქტიკულად ვერაფერი ღირებული ვერ შექმნა. შეხვედრის მეორე ნახევარიც, პირველის მსგავსად, მასპინძელთა სრული დომინირებით წარიმართა. ყველაფერს ისიც დაერთო, რომ არც თუ დამაჯერებლად მოქმედი გაგა ჩხეტიანის ნაცვლად კილასონიამ თამაშში გია მეგრელაძე ჩართო, რომელმაც თავისი შანსი ხელიდან არ გაუშვა და შეხვედრის 65-ე წუთზე მატჩის ბედის გადამწყვეტი გოლი გაუშვა. მეგრელაძე ასისტირება გუნდის კაპიტანმა, ბაბუნაშვილმა გაუწია, რომერლიც ამ თამაშში საუკეთესო იყო. მოგეხსენებათ, ბაბუნაშვილიც და მეგრელაძეც ექსდინამოელები არიან და სწორედ ყოფილმა ფეხბურთელებმა აართვეს ცობელის გუნდს სამი ქულა. მატჩის მიწურულს "დინამოს" ქულის გადარჩენის შანსი მიეცა, მაგრამ ხმალაზის დარტყმის სემდეგ ბურთი ძელს მოხვდა, დამატებაზე კი ვერცერთამ დინამოელმა ვერ ივარგა. საბოლოოდ, "ოლიმპმა" 1:0 გაიმარჯვა და მჭიდროდ მიუახლოვდა საპრიზო ზონას.

ტურის მეორე ცენტრალური დაპირისპირება თბილისში, მიხეილ მესხზე გაიმართა, სადაც "ლოკომოტივმა" "ვიტ ჯორჯიას" უმასპინძლა. ვეტერინართა გუნდს, რომელიც ამ სეზონშიც საუცხოო სტაბილურობით გამოირჩევა და საშემოდგომო სეზონში აშკარად გამორჩეული გუნდია, მიმდინარე სეზონში ერთადერთი დამარცხება აქვს. ეს მარცხი ნესტორ მუმლაძის გუნდმა სწორედ "ლოკომოტივთან", თან საკუთარ მოედანზე პირველ წრეში განიცადა. მაშინ "ლოკომოტივმა" მიყოლებით დაამარცხა "ვიტ ჯორჯია" და "დინამო", რასაც სხვა გამარჯვებებიც დაურთო და გუნდი ლამის მთელი პირველი წრის განმავლობაში წამყვან პოზიციას იკავებდა. თუმცა, პირველი წრის ბოლოს აუხსნელი, თუმც აშკარა კრიზისი დაეწყო. გუნდმა შინ და გარეთ მიჯრით დათმო თამაშები და გუშინდელი მარცხის შემდეგ მეექვსე პოზიციამდე ჩამოქვეითდა. ამ შეხვედრაშიც ერთადერტი გოლი გავიდა - მატჩის დებიუტშივე, მე-5 წუთზე "ლოკომოტივის" კარში პენალტი დაინისნა, რომელიც ლუკა რაზმაძემ გოლად აქცია. დარჩენილ დროში ორივე გუნდის კართან შეიქმნა საგოლე მომენტები, მაგრამ მეკარეების დამაჯერებელი თამაშის წყალობით ანგარიში აღარ შეცვლილა და "ვიტ ჯორჯიამ" მეტად მნიშვნელოვანი სამი ქულა მიიმატა.

მოულოდნელი მარცხი განიცადა ზუგდიდის "მგლებმა", რომელმაც გამოკვეთილ აუტსაიდერთან, ცხინვალის "სპარტაკთან" გასვლით შეხვედრაში ოთხი უპასუხო ჰოლი გაუშვა.

მოიგო კიდევ ერთმა აუტსაიდერმა, "გაგრამ". დასავლეთ საქართველოს წარმომადგენლებმა ასე ვთქვათ, საკურორტო "დერბიში" "ბორჯომს" სძლიეს ანგარიშით 2;0.

### მე-15 ტური

ოლიმპი - დინამო .........1:0
გაგრა - ბორჯომი .........2:0
სპარტაკი - მგლები .......4:0
მესხეთი - სიონი ..........0:2
ლოკომოტივი - ვიტ ჯორჯია ....0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 14 | 10 | 3 | 1 | 26:8 | 33 |
| დინამო | 14 | 9 | 1 | 4 | 28:12 | 28 |
| ზესტაფონი | 13 | 7 | 3 | 3 | 14:7 | 24 |
| ოლიმპი | 13 | 5 | 6 | 2 | 13:7 | 21 |
| სიონი | 14 | 5 | 6 | 3 | 15:10 | 21 |
| ლოკომოტივი | 13 | 6 | 0 | 7 | 16:15 | 18 |
| მგლები | 14 | 5 | 2 | 7 | 15:20 | 17 |
| მესხეთი | 14 | 4 | 4 | 6 | 12:19 | 16 |
| გაგრა | 14 | 4 | 2 | 8 | 12:23 | 14 |
| ბორჯომი | 14 | 2 | 5 | 7 | 14:29 | 11 |
| სპარტაკი | 13 | 2 | 0 | 11 | 10:25 | 6 |

### "ელ კლასიკოს" გამოძახილი

პეპ გვარდიოლამ სამწურთნელო კარიერაში პირველი "ელ კლასიკო" მოიგო. "ბარსელონასა" და "რეალის" დაპირისპირება მართალაც საკმაოდ ლამაზი და საინტერესო გაპოდგა. კრიზისში მყოფმა "სამეფო კლუბმა" ყველაფერი იღონა რათა "ნოუ კამპიდან" ქულა მაინც წამოეღო, თუმცა ამჟამად ზღაპრულ ფორმაში მყოფი "ბარსელონა" მაინც უფრო ძლიტერი აღმოჩნდა და ალბათ შაბათს ღამით "ნოუ კამპზე" დაფიქსირებული შედეგი სრულიად ლოგიკურია.

მატჩის შემდეგ ჟურნალისტებთან კომენტარი "ელ კლასიკოს" მონაწილეებმა გააკეთეს.

**ხუანდე რამოსი (რეალის მწვრთნელი):** "ამჟამად "ბარსელონას" საკმაოდ სოლიდური უპირატესობა აქვს და ჩემპიონობისთვის ბრძოლაშიც ეს გუნდი გახლავთ მთავარი ფავორიტი. თუმცა სეზონის ბოლომდე დიდი დროა დარჩენნილი და ყველაფერია შესაჯძლებელი. საკმაოდ დიდი მნივშნელობა აქვს იმასაც თუ როგორც ითამაშებენ "ბარსას" წინააღმდეგ წამყვანი ესპანური გუნწდები. რაც შეეხება თავად თამაშს, უპირატესობას "ბარსა" ფლობდა, მაგრამ ჩვენ უფრო მწვავედ ვუტევდით. პირველი გოლი "რეალს", რომ გაეტანა შედეგი სხვაგვარი იქნებოდა".

**პეპ გვარდიოლა (ბარსელონას მწვრნელი):** "რეალი" ყოველთვის "რეალად" დარჩება. და "სამეფო გუნდმა ეს დღკესაც დაამტკიცა. დიახ ამჟამად შესაძლოა "რეალი" საუკეთესო ფორმაში არ იყოს, მაგრამ ჩვენთვის ამას საქმე არ გაუიოლებია. მიმაჩნიაბ რომ დამსახურებულად გავიმარჯვეთ., ჩვენთვის "რეალთან" თამაში ყოველთვის განსაკუთჭრებულია და დღეს სამ ქულაზე გაცილებით მეტი მოვიპოვეთ".

**სამუელ ეტოო (რეალის კარში პირველი გოლის ავტორი):** "სანამ დრო გვქონდა ერთი წამითაც არ შემპარვია ეჭვი, რომ გავიტანდით. "რეალი" კარგად იცავდა თავს. საბოლოო ჯამში ყველაფერი ისე გამოვიდა, როგორც ჩვენ გვსურდა.ტრაც შეეხება გამოუყენებელ პენალტს, ამან ჩემზე დიდი გავლენა არ იქონია, ფეხბურთში ასეთი რამ ხდება. ასე, რომ მომავალში თუ ჩვენი მეტოქეების კარში პენალტი დაინიშნა, თერთმეტტმეტრიანი ნიშნულთან უყოყმანოდ მივალ".

**ლიონელ მესი (რეალის კარში მეორე გოლის ავტორი):** "ქბედნიერი ვარ სამი ქულის აღებით. საკმაოდ რთული მატჩი იყო, პირველ ტაიმში გაგვიჭირდა, მეტოქე მთლიანად დაცვაზე იყო კონცენტრირებული, რამაც ცოტა არ იყოს გამაკვირვა კიდეც. საბოლოო ჯამში გამარჯვება მაინც ჩვენ დაგვრჩა. ყოველთვის სასიამოვნოა მოგება, და სიამოვნება ორმაგდება როდესაც ელ კლასიკოს იგებ. მიმაჩნია, რომ დამსახურებულად გავიმარპჯვეთ. მთელი 90 წუთის განმავლობაში ვფლორბდით უპირატესობას და საბოლოოდ მეტოე მაინც გავტეხეთ. ასეთი დონიმს მატჩებქში ყველაფერია მოსალოდნელი. ერთსაც დავამატებდი, მეტოქე ცოტა არ იყოს უხეშად მეთამაშებოდა, ერთ მომენტში მეგონა სერიოზული ტრავმა მივიღე და ამან შემაშგინა კიდეც, მიხარია, რომ იოლად გადავრჩი".

### ფიფამ ნომინანტები დაასახელა

ფიფამ 2008 წლის მსოფლიოს საუკეეთესოტ ფეხბურთელის წოდების მოპოვების ხუთი ნომინანტი დაასახელა. მოულოდნელობა არაფერი მომხდარა ფიფას რჩეულ ხუთეულში კრიშტიანუ რონალდუ, კაკა, ჩავი, ლიონელ მესი და სტივენ ჯერარდი მოხვდნენ.

ფიფა ეროვნული ნაკრები გუნდების მწვრნელებისა და კაპიტნების გამოკითხვის შემდეგ დაასახელებს მსოფლიოს საუკეთფესო ფეხბურთელს და ოფიციალურად ყოველივე 2009 წლის 12 იანვარს გაირკვევა.

შეგახსენებთ "ფრანს ფუტბოლის" გამოკითხვა კრიშტიანუ რონალოდუმ მოიგო და სავარუდოდ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულიც მას ხვდება წილად.

### ძოლა გადადგომას აპირებს

"ვესტ ჰემის" იტალიელი მწშვრნელი ჯანფრანკო ძოლა აცხადებს. რომ დატოვებს კლუბს თუ არაფერი შეიცვლება.

ძოლამ არაერთხელ მოითხოვა "ჩაქუჩების" მესვეურებისგან ძლიერი ფეხბურთელების შეძენა, თუმცა ჯერჯეროობით "ვესტ ჰემი" არავის ყიდულობს, ამ ვითარებაში იტალიელი სპეციალისტი გუნდში პერსპექტივას ვერ ხედავს.

"მე ვესაუბრე კლუბის მესვეურებს და თუ არაფერი შეიცვალა ალბათ პორსტს დავტოვებ. ამ შემადგენლობით ჩვენ მაღალი ადგილებისთვის ვერ ვიბრძოლებთ, გუნდს ახალი ფეხბურთელები ესაჭიროება და თუ კელუბის მესვეურები ამაზე არ წავლენ იძულებული ვიქნები მწვრნელის პოსტი დავტოვო", - აცხადებს ძოლა.

### "დეზები" ოუენს და კოულს ყიდულობენ

"ტოტენჰემის" სამწვრთნელო შტაბი ზამთრის სატრანსფერო პერიოდში ორი საკმაოდ ძლიერი ფეხბურთელის შეძენას გეგმავს.საუბარია "ჩელსის" შწემტევ ჯო კოულზე და მაიკლ ოუენზე. ამ ორ ფეხბურთელზე "დეზების" ხელმძღვანელებმა 30 მილიონი გირვანქა სტერლინგი გამოყვეს.

## მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი აბრამოვიჩსაც შეეხო

საფეხბურთო სამყარო უკვე შეეჩვია, რომ "ჩელსის" მილიარდერი მეპატრონე რომან აბრამოვიჩი თავის გუნდზე ფულს არასდროს არ ინანებს და მწვრთნელებისა და ფეხბურთელების ნებისმიერ კაპრიზსაც ასრულებს. თუმცა, ეტყობა, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი აბრამოვიჩსაც შეეხო. ერთი კვირის წინ პიტერ კენიონმა განაცხადა, რომ კლუბი ზამთარში ახალ შენაძენებს არ განახორციელებს, რადგან ამდენი ფულის ხარჯვა ფეხბურთელებზე უაზრობაა. ახლა კი კლუბის მესვეურები უფრო რადიკალურ ზომებზეც მიდიან. დიდიე დროგბა და ჯო კოული – აი, ის ორი ფეხბურთელი, რომლებმაც შესაძლოა ზამთარშივე დატოვონ კლუბი. საქმე ის არის, რომ დროგბასაც და კოულსაც, კონტრაქტის თანახმად, კიდევ სამი წელი აქვთ სათამაშო ლონდონურ სუპერკლუბში. ამბობდნენ, რომ შესაძლო იყო ორივე ფეხბურთელს კონტრაქტი გახანგრძლივებოდა. კერძოდ, უნდა გაფორმებულიყო ახალი კონტრაქტები და ფეხბურთელების ანაზღაურებაც საგრძნობლად გაიზრდებოდა. ჯო კოულს და დროგბას ახალი კლუბების მოძიება არ გაუჭირდებათ. როგორც ჩანს, არც "ჩელსის" მესვეურები იტყვიან უარს მათ გაყიდვაზე. "სკოლარის კარგად ესმის, რომ მსოფლიო ფინანსური კრიზისი ფეხბურთზეც მოქმედებს. მწვრთნელმა ფეხბურთელებს უთხრა, ვისაც არ გინდათ აქ დარჩენა, გზა დაგვილოცნია, თუმცა გეტყვით, რომ ასეთ პირობებს სხვაგან ვერსად ნახავთო. კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო: ახლა ფეხბურთელების შეძენა გამორიცხულია. არც ახალი კონტრაქტის გაფორმებას ვაპირებთ ვინმესთან. ფეხბურთელებს ისედაც მაღალი ანაზღაურება აქვთ. კარგი იქნება, თუ ხელფასის გაზრდის მოთხოვნით არავინ მოგვმართავს", - აცხადებს კენიონი.

## კრანჩარი "პორტსმუთს" არ დატოვებს

ინგლისური "პორტსმუთის" ხორვატი პლეიმეიკერი ნიკო კრანჩარი ზამთრის სატრანსფერო პერიოდში სამუშარ ადგილის შეცვლას არ აპირებს. ბრიტანეთში გავრცელებული ხმების თანახმად 24 წლის ხორვატის შეძენა "არსენალს" სურს და "მეთოფეები" მზად არიან ფეხბურთელში 12.5 მილიონი გირვანქა სტერლინგიც გადაიხადონ.

"ახლშა ჩემი მთავარი მიზანი ტრავმის შემდეგ სასურველი კონდიციების აღდგენაა. სამი თვეა არ მითამაშია და ახლა ტრანსფერზე ნამდვილად არ ვფიქრობ. გაზეთებში დაიწერა თითქოს "არსენალში" გადავდივარ, მაგრამ სე ინფორმაცია სიმართლეს არ შეეფერება, სულ მცირე სეზონის ბოლომდე მაინც დავრჩები "პორტსმუთში", - აცხადებს ნიკო კრანჩარი.

## მადლიერი რონალდო

32 წლის ბრაზილიელი ფორვარდ რონალდო კლუბ "კორინთიანის" ხელმძღვანელობის დიდად მადლიერია, ვინაიდან სწორედ მათ მისცეს მას დიდ ფეხბურთში დაბრუნების შანსი.

"კორინთიანსის" ხელმძღვანელობის მადლობელი ვარ, ვინაიდან სწორედ მათ გამიხსნეს კარი დიდ ფეხბურთში დასაბრუნებლად. როდესაც მოედანზე გავალ ყველა დაინახავს, რომ რეალურად დავბრუნდი, იცით ხალხმა შეიძლება ბევრი ილაპარაკოს ჩემზე და ათასი სისულელეც დამაბრალოს, მაგრამ მოედანზე ყველაფერი გამოჩნდება", - აცხადებს რონალდო.

## ვან ბასტენის სეკვესტრი

ამსტერდამის "აიაქსის" მთავარი მწვრნელი მარკო ვან ბასტენი გუნდში ერთგვარი სეკვესტრის მოწყობას აპირებს. ლეგენდარულ ჰოლანდიელ ფეხბურთელს მიაჩნია, რომ მის გუნდში 28-ის ნაცვლად 24 ფეხბურთელი უნდა ირიცხებოდეს.

"პირველი გუნდისთვის 28 ფეხბურთელი ძალიან ბევრია. ჩემთვის იდეალური ვარიანტი 24 ფეხბურთელია, ამჟამად რამდენიმე ფეხბურთელის გაშვებას ვფიქრობთ. თავად განსაჯეთ თითოეულ შეხვედრაში 14 ფეხბურთელზე მეტს ვერ გამოვიყენებ და თუ გუნდში 28 ფეხბურთელი მებოლება დანარჩენ 14 რაღა ვუყო", - აცხადებს ვან ბასტენი.

## "რომა" და "მარსელი" დასაჯეს

უეფას საკონტროლო დისციპლინარულმა კომიტეტმა იტალიური "რომა" 20 000 ევროთი დასაჯა, ხოლო ფრანგული მარსელი - 10 000-ით.

"რომას" სანქციები საკუთარი ფანების გამო დაეკისრა, რომლებმაც ძჩელსისთან" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მატჩისას სტადიონის ტრიბუნებზე მაშხალები აანთეს, შემდეგ კი სტადიონის გასასვლელებიც ჩახერგეს. "მარსელის" ფანებმა კი "ენფილდზე" "ლივერპულთან" მატჩის დროს მინდორზე სხვადასხვა საგნების სროლა დაიწყეს.

## ტურამი საფეხბურთო ჩინოვნიკი გახდა

საფრანგეთის ეროვნული ნაკრების ყოფილმა წევრმა ლილიან ტურამმა საფეხბურთო კარიერს 2008 წელს გულთან დაკავშირებული პრობლემების გამო დაასრულა. კარგა ხანს ტურამი უქმად იყო, აი გასულ უქმეებზე კი იგი საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტად დაინიშნა. აღსანიშნავია, რომ თავის დროზე საფრანგეთის ფედერაციაში სწორედქ ამ თანამდებობაზე მუშაობდა უეფას ამჟამინდელი პრეზიდენტი მიშელ პლატინი.

## "ბაიერნს" ვან ბომელის შენარჩუნება სურს

მიუნხენის "ბაიერნმა" თავის ჰოლანდიელ კაპიტან მარკ ვან ბომელს კონტრაქტის გახანგრძლივება შესთავაზა.

შეგახსენებთ, რომ არც ისე დიდი ხნის წინ ვან ბომელმა სამშობლოში დაბრუნების სურვილი გამოთქვა, შეაცვლევინებს თუ არა აზრს ფეხბურთელს ახალი შეთავაზება უცნობია, კონტრაქტის ფინანსურ დეტალებზე გერმანულ მედიაში არაფერია ნათქვამი.

# მეოთხე და სამართალი

## ლელო საქართველოს თასის მფლობელია!



*ვიქტორ კოლელიშვილმა "აკადემიას" მეორე ლელო გაუტანა.*

საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე სიმპათიური სარაგბო კლუბი "ლელო" მეოთხე ცდაზე საქართველოს თასს დაეუფლა. ლევან მაისაშვილის გუნდმა ერთხელ ბათუმის "დათვებთან" წააგო თასის ფინალი, ორჯერ კი "ლოკომოტივთან", რომელსაც წლევანდელი ტურნირის ნახევარფინალში სძლია და აი მეოთხე ცდაზე ახალგაზრდა ლელოელებმა მიზანს მიაღწიეს.

"ლელოს", როგორც ამბიციური სარაგბო კლუბის ზრდა, თვალსა და ხელს შუა მოხდა. ბოლო 4 წლის განმავლობაში "ლელო" სამჯერ იყო ჩვენი ქვეყნის თასის ფინალში. წლევანდელ სეზონში კი საქართველოს ჩემპიონატის ფინალში გასვლაც მოახერხა და დაძაბულ ბრძოლაში დაუთმო ოქროს მედლები ჩვენი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონ "ლოკომოტივს".

თასის ფინალში კი "აკადემიის" წინააღმდეგ, "ლელოს" უპირატესობა თავიდანვე ეჭვს არ იწვევდა. ფავორიტის სტატუსით მოასპარეზე ლევან მაისაშვილის გუნდმა დებიუტშივე მოიპოვა უპირატესობა და მატჩის ბოლომდე ღირსეულად შეინარჩუნა. "ლელომ" სამი ლელო გაუტანა "აკადემიას". პირველ ნახევარში თავი ირაკლი ყიასაშვილმა გამოიჩინა. მეორე ტაიმში კი ვიქტორ კოლელიშვილმა და ახალაიამ კიდევ ორჯერ დალაშქრეს მეტოქის ჩათვლის მოედანი და თავის გუნდს სოლიდური ჰანდიკაპი მოუპოვეს. თანაგუნდელთა გარჯას გოდერძი ჯოგლიძემ 3 საჯარიმო და 2 გარდასახვაც შეაწია.. "აკადემიის" გუნდმა ერთადერთი, რაც მოახერხა საჯარიმო დარტყმები იყო, რომელიც მეკოკიშვილმა 3-ჯერ გამოიყენა და პრესტიჟის ქულები მოუტანა თავის გუნდს. საბოლოოდ - 28:9 "ლელოს" სასარგებლოდ.

### საქართველოს თასის ფინალი

**ლელო 28:9 აკადემია**

**ლელო:** 15 ყიასაშვილი, 14 ჯოგლიძე, 13 კორკელია, 22 მანჯავიძე (22 ლომინაძე 41) 11 თოდუა (9 ზაალიშვილი 74); 10 ხმალაძე, 9 ჭინჭარაული (20 გოგია 55), 1 ყალიჩავა (17 სანიკიძე 41) 2 ცხოვრებაშვილი, 3 მირცხულავა; 4 ჯალაღონია (18 ი.დაუშვილი 50) 16 ვ.მაისურაძე (19 ჩხეიძე 76); 6 ი.მაისურაძე (კაპ), 7 კოლელიშვილი (21 ახალაია 64) 8 აზალაძე

**3 ლელო:** ყიასაშვილი, კოლელიშვილი, ახალაია.

**2 გარდასახვა:** ჯოგლიძე.

**3 ჯარიმა:** ჯოგლიძე.

**აკადემია:** 15 გურგენიძე (21 ჭუაძე 59) 14 ი.დავითაშვილი, 13 წასიძე, 12 მოლოდინაშვილი (22 მარგიანი 40+4) 11 ბატოიანი კაპ (15 მურღულია 76); 10 ხუხუნაიშვილი, 15 შ.დავითაშვილი, 1 ლომსაძე (18 ფირცხალაიშვილი 75), 2 მეკოკიშვილი, 3 ღამბაშიძე (16 დიაკონიძე 41); 4 გაჩეჩილაძე (20 ლ.ობოლაძე 75) 5 ნებულიშვილი; 6 ნიბლაძე, 7 მაღლაკელიძე (18 გელაძე 41) 8 მურვანიძე (17 დ.ობოლაძე 60) -

**3 ჯარიმა:** მეკოკიშვილი

**სინბინი:** ი.მაისურაძე, მურვანიძე

**რეფერი:** ნარიმანიძე;

**კიდეზე:** ჩაჩუა, ნ.აბაშიძე.

### საქართველოს თასი. ყველა ფინალი:

| | | |
|---|---|---|
| **1992** | ვესტა - აია | 19:3 |
| **2000** | ლოკომოტივი - დათვები | 32:28 |
| **2001** | დათვები - ლოკომოტივი | არ შედგა |
| **2002** | დათვები - ლელო | 15:9 |
| **2003** | ლოკომოტივი - დათვები | 32:30 |
| **2004** | ლოკომოტივი - ყოჩები | 55:20 |
| **2005** | ლოკომოტივი - ლელო | 24:9 |
| **2006** | ლოკომოტივი - ლელო | 29:10 |
| **2007** | ყოჩები - ლიგამუსი | 13:6 |
| **2008** | ლელო - აკადემია | 28:9 |

# ფაჩულიამ და "ატლანტამ" ზედიზედ ორი მოიგეს

გასულ უქმეებზე ზაზა ფაჩულიას "ატლანტა ჰოუქსმა" ორი მატჩი გაიმართა და ორივე მოიგო. უნდა აღინიშნოს, რომ ორივე შეხვედრაში "ქორებს" საკმაოდ რთული მეტოქეები ჰყავდათ. ჯორჯიელებმა ჯერ მაიამიში "ჰითი" დაამარცხეს, შემდეგ კი საკუთარ მოედანზე ლებრონ ჯეიმსის "კლილენდსაც" მოუგეს.

შაბათს გამთენიისას ჯორჯიელები სამხრეთელ "მაიამი ჰითს" ესტუმრნენ და დიდი გართულების გარეშე – 87:73.

ატლანტელებმა პირველი მეოთხედი 5 ქულით წააგეს, თუმცა მეორეში და მესამეში, რომ იტყვიან, გადაურბინეს მეტოქეს და გადამწყვეტი პერიოდის წინ 20 ქულას იგებდნენ. დარჩენილ დროში ნბა–ს მაჩანჩალა "მაიამიმ" ვეღარაფერი გააწყო და "ატლანტამ" მიმდინარე სეზონში მე–14 გამარჯვება მოიპოვა. ქართველი ცენტრი თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და მოედანზე მთლიანობაში 17 წუთი გაატარა. ფაჩულიას ანგარიშჭზე 7 ქულა და 7 მოხსნა დაგროვდა – სხვა სტატისტიკური მაჩვენებელი მას არ ჰქონია. რაც შეეხება სროლებს, ზაზამ 3 ორქულიანი ცდიდან 2 ჩააგდო, რასაც 4–დან 3 საჯარიმოც მოაყოლა.

ამის შემდეგ უკვე მაიკ ვუდსონის გუნდმა ასკუთაორ "ფილიპს ცენტრში" აღმოსავლეთ კონფერენციის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდ "კლივლენდს" უმასპინძლა.

უნდა ითქვას, რომ ატლანტელებს "კლივალენდის" დამარცხება ოდგნავ უფრო გაუჭირდათ, თუმცა ვუდსონის გუნდი ამ თამაშშიც ფლობდა მუდმივად უპირატესობას და მეტოეს მთელი შეხვედრის განმავლობაში მდევრის როლში ამყოფებდა.

ზაზას ურიგოდ არც ამ შეხვედრაში უთამაშია, ქართველმა ცენტრმა ამჯერადაც სათადარიგოთა სკამზე დაიწყო მატჩი მოედანზე 21 წუთი გაატარა და ამ დროის განმავლობაში თავის გუნდს 8 ქულა შესძინა და 6-ჯერ მოხსნა ფარიდან ბურთი. ამ ორი გამარჯვების შემდეგ "აპტლანტა" სამხრეთაღმოსავლეთ დივიზიონში 14 გამარჯვებით და 9 მარცხით "ორლანდოს" შემდეგ მეორე ადგილზეა, მთლიანად აღმოსავლეთის კონფერენციაში კი მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა.

ამერიკიდან უკრაინაში გადავინაცვლოდ სადაც, უკრაინის საკალათბურთო ლიგაში მეტოქესმეტოქეზე ამარცხებს მანუჩარ მარკოიშვილის "ბკ კიევი". დედაქალაქელებთან გამოცდის "ჩაბარება" ამჯერად ჩემპიონატის აუტსაიდერმა "პოლტავამ" ვერ შეძლო.

არადა, პირველი ნახევრის შემდეგ, ყველასთვის მოულოდნელად, მდევრის როლში კიეველები იყვნენ - 43:50. თუმცა, მესამე მეოთხედმა ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა. საშა ობრადოვიჩის შეგირდებმა ამ ათწუთეულში 31 ქულის მოპოვება მოახერხეს, მეტოქეს კი, მხოლოდ 11 ქულის მითვლის საშუალება მისცეს და პრაქტიკულად გადაწყვიტეს მატჩის ბედი. საბოლოოდ დედაქალაქელებმა 95:75 მოიგეს.

მანუჩარ მარკოიშვილი სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე გატარებულ 24.07 წუთში 7 ქულის, 5 მოხსნის, 3 შედეგიანი გადაცემისა და ერთი ჩაჭრის მოხვეჭა მოახერხა. ქართველმა ლეგიონერმა პერიმეტრიდან და ორქულიანი დისტანციიდან სამ-სამჯერ სცადა ბედი და აქედან შედეგიანი მხოლოდ თითო სროლა გამოუვიდა, რასაც 2 ზუსტი საჯარიმოც დაურთო.

11 ტურის შემდეგ, "კიევს" 10 გამარჯვება აქვს და ის ერთპიროვნულად ლიდერობს უკრაინის ჩემპიონატს. 16 დეკემბერს მარკოიშვილსა და მის თანაგუნდელებს ევროჩელენჯის თასზე რუსულ "ტრიუმფთან" მოუწევთ დაპირისპირება.

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს „ჟინერი“ აცხადებს ტენდერს ინერტული მასალების (ბალასტის) შესასყიდად და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

**ლოტი N1** ინერტული მასალები (ბალასტი) - 25000 $მ^3$

ინერტული მასალების შესყიდვა იწარმოებს 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. ტენდერში მონაწილეობის მსურველმა უნდა გადაიხადოს სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარი, შემდეგ რეკვიზიტზე სს „თიბისი“ ბანკი, კოდი 220101830, ანგარიშის ნომერი 102467775, მიმღები შპს „ჟინერი“.

3. სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ პრეტენდენტი მიიღებს სატენდერო დოკუმენტაციის სრულ პაკეტს შპს „ჟინერის“ სატენდერო კომისიაში შემდეგ მისამართზე: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45, VII სართული. ტელ: 377724.

4. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შეეძლებათ მიმდინარე წლის 2008 წლის 15 დეკემბრიდან 2009 წლის 9 იანვრის 18.00 საათამდე.

5. სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს ორიგინალის სახით ქართულ ენაზე.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს:

იურიდიული პირისათვის:

- ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან.;
- ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
- ცნობას სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება.

ფიზიკური პირისათვის:

- ცნობას შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.

როგორც ფიზიკური ისე იურიდიული პირისათვის:

- ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არქონის შესახებ;
- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტებს (სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები, საქმიანობის ფაქტიური ადგილი)

7. საკვალიფიკაციო მონაცემების მოთხოვნები ვრცელდება სუბკონტრაქტორებზეც, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

8. ტენდერის შედეგად შეიძლება გამოვლინდეს ერთი გამარჯვებული.

9. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.

10. განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და ერთიანი დახურული კონვერტით წარმოდგენილი სატენდერო კომისიის აპარატში ხელმძღვანელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ 2009 წლის 12 იანვრის 13:00 საათამდე, მისამართზე თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45, VII სართული, შპს „ჟინერი“.

11. პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები უნდა იყოს ხელმოწერილი იურიდიული პირის ხელმძღვანელის მიერ. ხელმოუწერელი სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

12. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოაღნიშნულ მისამართზე 2009 წლის 12 იანვარს 14:00 საათზე.

13. დაგვიანებით შემოსულ კონვერტებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირს.

14. ტენდერი ტარდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საფუძველზე. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო კომისიის აპარატში.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ შპს „ჟინერის“ სატენდერო კომისიის აპარატს მისამართზე: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45, VII სართული, ტელ: 377724.

საკონტაქტო პირი - არჩილ მგელაძე.

სატენდერო კომისია

## ცვლილება და დამატება

2008 წლის 1 დეკემბრის N268 გაზეთში „24 საათი“ სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის“ მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში ევროკავშირის გრანტით (NTACIS/2007/147562) დაფინანსებული „პირველადი ჯანდაცვის რეფორმის ხელშემწყობი პროექტის“ ფარგლებში ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებების ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებისათვის ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ორეტაპიანი ტენდერის ჩატარების შესახებ, შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილება და დამატება:

განცხადების ტექსტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

1. სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი“ (მისამართი: ქ.თბილისი, 0160, ალ.ყაზბეგის გამზ. N23 II კორპუსი, მე-5 სართული; ტელ/ფაქსი: (995 32) 388-210, (995 32) 388-220, E-mail: info@hpic.ge, health-2@hpic.ge) აცხადებს ორეტაპიან ტენდერს ევროკავშირის გრანტით (NTACIS/2007/147562) დაფინანსებული „პირველადი ჯანდაცვის რეფორმის ხელშემწყობი პროექტის“ ფარგლებში ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებების ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებისათვის ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. დაფინანსების წყარო: ევროკავშირის გრანტით (NTACIS/2007/147562) დაფინანსებული პროექტის სახსრები.

3. შესყიდვის ობიექტია: ინტელექტუალური მომსახურება ჯანმრთელობის ხელშეწყობის ეროვნული სტრატეგიის შემდგომი სრულყოფისათვის და ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებების ეროვნული სამოქმედო გეგმის

შემუშავებისათვის.

გასაწევი მომსახურება ითვალისწინებს:

- ძირითადი დოკუმენტების გადახედვას, რომელიც ეხება მოსახლეობის სოციალურ, ეკონომიკურ და ჯანმრთელობის მდგომარეობას და წარმოადგენენ საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის დეტერმინანტებს;
- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და დონორების მხარდაჭერით განხორციელებული პროექტების შემუშავებულ სტრატეგიაზე ჯანმრთელობის ხელშეწყობის ერთიანი სტრატეგიის შემუშავებას, რომელშიც ჯანმრთელობის მდგომარეობის სოციალური და ეკონომიკური დეტერმინანტები იქნება გათვალისწინებული;
- სტრატეგიის შემუშავების პროცესში თანამშრომლობას სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან, რომლებიც ჩართულნი არიან ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებებში;
- ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებების სამოქმედო გეგმის მომზადებას, რომელიც მოიცავს სათანადო ღონისძიებებს პაციენტის უსაფრთხოების, დაავადებათა ეპიდზედამხედველობის, დაავადებათაA პრევენციის და კონტროლის, უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდის თვალსაზრისით. ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებების სამოქმედო გეგმაში აქცენტი უნდა გაკეთდეს სისტემურ, კოორდინირებულ და მულტი-სექტორულ მიდგომებზე;
- განისაზღვროს მთავრობის, სამოქალაქო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციების და ძირითადი დაინტერესებული მხარეების (როგორიცაა ეროვნული ჯანმრთელობის ხელშეწყობის სამუშაო ჯგუფი და ჯანდაცვის შემსყიდველი, დამფინანირებელი და მიმწოდებელი ორგანიზაციები) როლი და მონაწილეობა.
- ნათლად განისაზღვროს მხარეთა პასუხისმგებლობები სტრუქტურული, ორგანიზაციული და მენეჯერული კუთხით, რომლების უზრუნველყოფს სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ეფექტურ და ეფექტიან მიწოდებას.
- განისაზღვროს წარმატების ფაქტორები, ინდიკატორები და მონიტორინგის საშუალებები და სისტემები, რომლებიც აუცილებელია სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის ეფექტურობის მონიტორინგისათვის.
- სამოქმედო გეგმაში აღწერილი პრიორიტეტები, მიდგომები, მეთოდები და საშუალებები უნდა იყოს მხარდაჭერილი სხვადასხვა ლიტერატურული წყაროებით არსებული საუკეთესო მეთოდების შესახებ.
- მჭიდრო თანამშრომლობას შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან და მთავარ დაინტერესებულ მხარეებთან დავალებათა შესრულებაზე და ცოდნის გადატანაში ჯანმრთელობის ხელშეწყობის ძირითადი ასპექტებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებაში.

4. მომსახურების გაწევის სასურველი ვადაა: 2009 წლის 1 თებერვალი - 2009 წლის 1 მაისი.

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადება ქართულ ან ინგლისურ ენაზე ფინანსური მახასიათებლების გარეშე უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 3 იანვრის 16:00 სთ-დან 8 იანვრის 16:00 სთ.-მდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზირი N23ა, II კორპუსი, მე-5 სართული, სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი“.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა მოიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

6.1. იურიდიული პირისათვის:

- შესაბამისი ორგანოს დადგენილება რეგისტრაციის შესახებ (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან);
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან);

6.2. ფიზიკური პირისათვის:

- ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან);
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან);

6.3. როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირებისათვის:

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები: მისამართი, საფოსტო ინდექსი, ტელეფონი, ფაქსი, E- Mail, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის სახელი და გვარი;
- ინფორმაცია ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილების შესახებ;
- ინფორმაცია მომსახურების გაწევისათვის საჭირო პერსონალის (ერთი ექსპერტის) შესახებ:

1. მაგისტრის დიპლომი სოციოლოგიაში, საზოგადოებრივ ჯანდაცვაში, ჯანმრთელობის ხელშეწყობაში ან ანალოგიური კვალიფიკაცია, რომელიც შეესაბამება ჯანმრთელობის ხელშეწყობის ექსპერტის ფუნქციებს;
2. არანაკლებ ათი წლის საკონსულტაციო მუშაობის გამოცდილება ჯანმრთელობის პოლიტიკის/ჯანმრთელობის ხელშეწყობის სფეროში;
3. ინფორმაცია ნაციონალურ ან/და რეგიონალურ დონეზე მულტისექტორულ მიდგომებზე დაფუძნებული ჯანმრთელობის ხელშეწყობის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავების გამოცდილების შესახებ;
4. ინფორმაცია სხვადასხვა ორგანიზაციებთან: სამთავრობო დეპარტამენტები, ნაციონალური და გლობალური ჯანმრთელობის ხელშეწყობის ორგანოებთან მუშაობის გამოცდილების შესახებ.

- ინფორმაციას სუბკონტრაქტორების მიერ გასაწევი მომსახურების შესახებ და მათთან დადებული ურთიერთვალდებულებათა შესახებ ხელშეკრულებების ნოტარიალურად დამოწმებულ ასლებს (არსებობის შემთხვევაში).

საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა სავალდებულოა ასევე ტენდერში მონაწილე პირების სუბკონტრაქტორებისათვის (არსებობის შემთხვევაში);

7. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, 3 (სამ) ეგზემპლარად (მათ შორის: ერთი ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი და 2 (ორი) ასლი).

8. პირველადი სატენდერო წინადადებებისა და საკვალიფიკაციო მონაცემების გახსნა მოხდება 2009 წლის 8 იანვრის 16 სთ-ზე.

9. საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადება ფინანსური მახასიათებლების გარეშე წარმოდგენილი უნდა იქნას დახურულ კონვერტში, ხელმოწერილი ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელის მიერ.

10.Pპირველადი სატენდერო წინადადებების შეფასებისას მხედველობაში მიიღება მხოლოდ მათი შესაბამისობა მომსახურების მიზნებთან და არ გამოიყენება მათი ქულებით შეფასების წესი;

11. საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისათვის თუ: პრეტენდენტი მე-5 პუნქტით დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-6 პუნქტით დადგენილ დოკუმენტებსა და ინფორმაციას; რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს აღნიშნულ პუნქტებში დადგენილ მოთხოვნებს;

12. სატენდერო კომისია მეორე ეტაპზე მოიწვევს იმ პრეტენდენტებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებითა და შემოთავაზებული პირველადი სატენდერო წინადადებებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს;

13. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება;

14. ტენდერში შესაძლებელია ერთი გამარჯვებულის გამოვლენა;

15. სატენდერო მოსაკრებლი 200 (ორასი) ლარის ოდენობით უნდა იქნას გადახდილი ტენდერის მეორე ეტაპზე, სატენდერო წინადადების მიღების ვადის ამოწურვამდე, შემდეგ ანგარიშზე: სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის“ (საიდ. კოდი: 211327580) ანგარიშზე: „ბანკი რესპუბლიკა“ (საბანკო კოდი: 220101757, ანგარიშის ნომერი: 23408000189, (დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი).

16. სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა, ქართულ ან ინგლისურ ენაზე, განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2009 წლის 3 იანვრის დეკემბრის 16:00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23ა, II კორპუსი, V სართული.

17. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ნატა დვალი (შესყიდვების უფროსი სპეციალისტი), ეკა ეკიზაშვილი (ცენტრის ოფის-მენეჯერი) სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი“ (მისამართზე: ქ.თბილისი, 0160, ალ.ყაზბეგის გამზ. N23 II კორპუსი, მე-5 სართული; ტელ/ფაქსი: (995 32) 388-210, (995 32) 388-220, E-mail: info@hpic.ge, health-2@hpic.ge.

## ფრონტალური-დამტვირთველი: 456 HT

ტექნიკის ტიპი: ფრონტალური-დამტვირთველი
მწარმოებელი: JCB (დიდი ბრიტანეთი)
მოდელი: 456 HT
ძრავის სიმძლავრე: 216 ცხ.ძ.
საექსპლუატაციო მასა: 22,79 ტ.
ციცხვის ტევადობა: 3,5 $მ^3$
ტვირთამწეობა: 11 757 კგ.
მიწოდების ვადა: 1 დღე
გარანტია: 1 წელი, სამუშაო საათების შეუზღუდავად.



მიწოდების ვადა 1 დღე

TEGETA CONSTRUCTION EQUIPMENT
JCB-ს ოფიციალური დილერი საქართველოში

ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. E-mail: jcb@tegetamotors.ge
244-744, 895 300-711, 244-744 (1219) www.tegetamotors.ge



## თვალის მიკროქირურგიის ჟ ა ვ რ ი შ ვ ი ლ ი ს კლინიკა "ოფთალმიჯი"

ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით და ერთი მოძრავი საოპერაციო ბლოკით

უკანასკნელი თაობის ასფერული მულტიფოკალური ბროლი Acrysof-ReSTOR კატარაქტის ქირურგიაში
საუკეთესო მხედველობა სათვალის გარეშე როგორც შორს, ისე ახლო მანძილზე

ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80


## “ფონდი - ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“

### საკონსულტაციო მომსახურება: ავტოტრანსპორტის მოძრაობის სიხშირის დათვლა და სატრანსპორტო ნაკადების შესწავლა სამცხე-ჯავახეთის გზაზე შემოთავაზება წინადადების წარდგენაზე

### სატენდერო შეტყობინება #CQ-10-1

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, მოქმედმა ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის სახელით (კორპორაცია) და საქართველოს მთავრობამ გააფორმეს ათასწლეულის გამოწვევის კომპაქტი 2005 წლის 12 სექტემბერს (კომპაქტი), რომელიც ადგენს იმ ზოგად ვადებს და პირობებს, რომელთა საფუძველზეც კორპორაცია უზრუნველყოფს საქართველოს მთავრობას 295,300,000 აშშ დოლარის დაფინანსებით, ათასწლეულის გამოწვევის ანგარიშის პროგრამის განსახორციელებლად, ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისა და სიღარიბის შესამცირებლად საქართველოში (პროგრამა). პროგრამა შედგება ხუთი პროექტისაგან: ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაცია, საქართველოს რეგიონალური განვითარების ფონდი, აგრობიზნესის განვითარების საქმიანობა და რეგიონალური ინფრასტრუქტურის განვითარება (დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ ემ-სი-ჯი-ს ვებ გვერდი: www.mcg.ge)

პროგრამის განხორციელების მიზნით, „ფონდი - ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ მიმართავს კვალიფიციურ კონსულტანტებს, წარმოადგინონ საკვალიფიკაციო ინფორმაცია მომსახურების გასაწევად - ავტოტრანსპორტის მოძრაობის სიხშირის დათვლა და სატრანსპორტო ნაკადების შესწავლა სამცხე ჯავახეთის გზაზე.

საკვალიფიკაციო ინფორმაციის მოთხოვნის წერილი, რომელიც მოიცავს დეტალურ ინფორმაციას ამ დავალების, ტექნიკური დავალების, საკვალიფიკაციო მოთხოვნების და წარსადგენი ფორმების შესახებ, შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ ემ-სი-ჯი-ს ვებ-გვერდიდან (www.mcg.ge მიმდინარე შესყიდვების ბმული). ემ-სი-ჯი-ს ვებ გვერდიდან საკვალიფიკაციო ინფორმაციის წერილის და სარეგისტრაციო ფორმის ჩამოტვირთვის შემდგომ, დაარეგისტრირეთ თქვენი ფირმა, როგორც კონსულტანტი და ამ მიზნით შეავსეთ სარეგისტრაციო ფორმა. შევსებული სარეგისტრაციო ფორმა PDF ფორმატში უნდა გამოაგზავნოთ „ფონდი - ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ შემდეგ მისამართზე: s.goderdzishvili@mcg.ge რეგისტრაცია უნდა დასრულდეს 2008 წლის **26 დეკებერს** საქართველოში სამუშაო დღის ბოლომდე. იმ კონსულტანტების საკვალიფიკაციო ინფორმაცია, რომლებმაც არ გაიარეს რეგისტრაცია, არ იქნება მიღებული.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაინტერესებულ ორგანიზაციებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ სოფიო გოდერძიშვილს, ემ-სი-ჯი-ს შესყიდვების კონსულტანტს, ელ-ფოსტა: s.goderdzishvili@mcg.ge, ან ფაქსი: (99532)939144

ორგანიზაციებმა საკვალიფიკაციო ინფორმაცია უნდა წარმოადგინონ არაუგვიანეს **2008 წლის 29 დეკემბრის 18:00 საათისა**.


## 10%-იანი ფასდაკლება 1 თებერვლამდე

HYUNDAI I-30 და VERACRUZ-ზე






CMYK - 1

# ბიზნესი

24 საათი B

თქვენი რეკლამა
"ბიზნესში"
☎ (995 32) 20-24-24
899 26-20-19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
BORJOMI ბორჯომი
ჯი პი აი
G R D C

თქვენს კითხვებს
პასუხობენ ბანკირები

თიბისი ბანკი TBC BANK

გამოაგზავნეთ შეკითხვები ელ-ფოსტით, მისამართზე ngotsadze@tbcbank.com.ge, ან დარეკეთ ტელეფონის ნომერზე 27 27 27 და ყოველ სამშაბათს, რუბრიკაში "თქვენს კითხვებს პასუხობენ ბანკირები", მიიღეთ პასუხები "თიბისი ბანკის" ექსპერტებისგან.

## ÖÀÍÀÔÌÀ ÀÌÄÒÉÊÖËÉ ÀÅÔÏÉÏÌÐÀÍÉÄÁÉ



B7

## ÖÝáÏÖÒÉ ÅÀËÖÔÉÓ Ï×ÉÝÉÀËÖÒÉ ÊÖÒÓÉ ËÀÒÈÀÍ ÌÉÌÀÒÈÄÁÀÛÉ

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | | USD | 1,6500 |
| 1 | | AUD | 1,1339 |
| 1 | | AZN | 2,0431 |
| 1 | | AED | 0,4492 |
| 1000 | | BYR | 0,7757 |
| 1 | | BGL | 1,0761 |
| 1 | | DKK | 0,2845 |
| 1 | | EGP | 0,2995 |
| 1 | | EUR | 2,1178 |
| 10 | | EEK | 1,3540 |
| 1000 | | TMM | 0,1161 |
| 1 | | TRY | 1,0855 |
| 10 | | JPY | 0,1666 |
| 1 | | GBP | 2,5950 |
| 1 | | INR | 0,0348 |
| 1000 | | IRR | 0,1646 |
| 10 | | ISK | 0,1274 |
| 1 | | ILS | 0,4354 |
| 1 | | CAD | 1,4077 |
| 1 | | LVL | 2,9891 |
| 10 | | LTL | 6,1064 |
| 10 | | MDL | 1,5920 |
| 1 | | NOK | 0,2430 |
| 1 | | PLZ | 0,5828 |
| 1 | | RON | 0,5654 |
| 1 | | RUB | 0,0612 |
| 1 | | SGD | 1,1079 |
| 100 | | AMD | 0,5420 |
| 1 | | TJR | 0,4851 |
| 1000 | | UZS | 1,2220 |
| 10 | | UAG | 2,8456 |
| 100 | | HUF | 0,7933 |
| 1 | | KWD | 6,1145 |
| 10 | | KZT | 0,1376 |
| 10 | | KGS | 0,4235 |




# ØÀÒÈÖË ÁÀÍÊÄÁÓ ÂÀÊÏÔÒÄÁÀ ÀÒ ÄÌÖØÒÄÁÀÈ

ნინო ნატროშვილი

*მსოფლიოს ბიზნესწრეების დანაკარგები, გლობალური ფინანსური კრიზისის შედეგად, უკვე 5 ტრილიონ დოლარს გაუტოლდა. ამ ინფორმაციას, "ფრანსპრესი" დავოსის ეკონომიკური ფორუმის დეპუტატის პროფესორ კლაუს შვაბის მოსაზრებაზე დაყრდნობით ავრცელებს. პროფესორი აცხადებს, რომ პესიმისტური პროგნოზების ფონზე, კრიზისი ახალი ტექნოლოგიების დანერგვის და მსოფლიოს სამომხმარებლო ბაზრის კორექტირების საშუალებას იძლევა.*

გაგრძელება B4 გვერდზე



# ÔÚÉÓ ÒÄ×ÏÒÌÉÓ ÓÀÅÀËÀËÏ ÛÄÃÄÂÄÁÉ

ჩინური კომპანია ტყის გაჩეხვას საზაგირო გზებით აპირებს

თეა თოფურია

*საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ ხე-ტყის დამზადების სპეციალურ ლიცენზიებზე 11 დეკემბერს დანიშნული აუქციონი გადადო, რომელზეც საქართველოს ტყეების დიდი ნაწილი, ერთდროულად 64 ლოტი უნდა გამოეტანა. ამ გადაწყვეტილების მიზეზად სამინისტროს წარმომადგენლები მინისტრის პირად ინიციატივას ასახელებენ, რომელმაც სიტუაციაში უკეთ გარკვევისთვის დრო ითხოვა.*

"სიტუაციაში გარკვევა" ალბათ, ინვესტორებსაც მოუწევთ, რადგან რეფორმის ეგიდით გამართულ აუქციონებზე მონაწილეობა უკვე სერიოზულ რისკებს უკავშირდება.

გაგრძელება B4 გვერდზე



CMYK - 1

## საზღვარგარეთ ნებისმიერი სახის მანიპულაციები რუსეთის ეკონომიკაზე რთულად აისახება

კრემლის მიერ მეზობელი ქვეყნების შიდა საქმეებში ჩარევა რუსეთში არსებულ ეკონომიკურ კრიზისს კიდევ უფრო გააღრმავებს. ამის შესახებ პოლიტოლოგმა სოსო ცინცაძემ განაცხადა. მისი თქმით, მოსკოვის მცდელობები, შეცვალოს უკრანის ხელისუფლება და მაქსიმალურად გააძლიეროს პრო-რუსული ორგანიზაციები, საკმაოდ სერიოზულ ფინანსურ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

"თუკი კრემლში მცირეოდენი პრაგმატიზმის უნარი მაინც დარჩათ, მათ უკრაინასთან საქართველოს მსგავსი სცენარი არ უნდა გაიმეორონ, რადგან ნებისმიერი სამხედრო ესკალაცია რუსეთის ეკონომიკას დამანგრეველ შედეგებს მოუტანს. ვფიქრობ, ამას თავად რუსი პოლიტიკოსებიც აცნობიერებენ, ამიტომ იქ სხვაგვარი მეთოდით აპირებენ სიტუაციის გართულებას, თუმცა არც ეს წაადგება იქ არსებულ ეკონომიკურ კრიზისს. უკვე არის საუბარი, რომ კრემლი უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებში საკუთარი კანდიდატის გასაყვანად 1 მილიარდ რუბლს გამოყოფს. ასევე საუბრობენ პრორუსული ორგანიზაციების დაფინანსებაზე. ეს ყველაფერი სერიოზულ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ამ ეტაპზე რუსეთის მთავარ საზრუნავს ფინანსური კრიზისის დაძლევა უნდა წარმოადგენდეს და საზღვარგარეთ ნებისმიერი სახის მანიპულაციები მის ეკონომიკაზე რთულად აისახება" - განაცხადა სოსო ცინცაძემ.

ცნობისთვის: უკრაინაში კრემლის პროპაგანდისტული მანქანის გააქტიურებაზე საუბრობს გამოცემა ˝ - ˝ , . ჟურნალისტი ალიონა ბილოზერსკა წერს: "რუსეთში სულ უფრო ხშირად ვრცელდება ინფორმაცია, რომ უკრაინაში ხელისუფლება ფაშისტურმა და იმავდროულად პროდასავლუმა რეჟიმმა იგდო ხელთ, ამერიკის მარიონეტი დიქტატორ იუშჩენკოს მეთაურობით." გამოცემა აქვეყნებს ე.წ. "პუტინისეულ გეგმას," რომლის უპირველეს ამოცანად პრორუსული ორგანიზაციების გაძლიერება სახელდება.

"პუტინის "გაზორუბლებით" უკრაინაში საკმაოდ მრავალრიცხოვანი ულტრამემარჯვენე დაჯგუფება შეიქმნება, რათა მკვეთრი პროუკრაინული ლოზუნგების ქვეშ რამდენიმე წვრილი მემარჯვენე-რადიკალიური ორგანიზაცია გაარეთიანოს. ამას მოჰყვება ხმაურიანი აქციები, მძლავრი საპროტესტო გამოსვლები და ყველაფერი მსგავსი" - წერს ჟურნალისტი და დასძენს, რომ "პუტინისეული გეგმის" საბოლოო მიზანს იუშჩენკოს "რეჟიმის" პრორუსული რეჟიმით შეცვლა წარმოადგენს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## დეპოზიტების დოლარიზაციის კოეფიციენტი გასული წელთან შედარებით შემცირდა

დეპოზიტების დოლარიზაციის კოეფიციენტი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 1.6 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 2008 წლის პირველი ნოემბრისათვის 62.9 პროცენტი შეადგინა. ამის შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკიდან გვაცნობეს.

სებ-ის ინფორმაციით, ბოლო ერთ წელიწადში ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტების მოცულობა 1.9 პროცენტით გაიზარდა მაშინ, როცა უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების მოცულობა 4.7 პროცენტით შემცირდა.

"ამ პროცესის მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორია ისიც, რომ კომერციული ბანკები ბოლო ერთი წლის მანძილზე ეროვნული ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე უფრო მაღალ სარგებელს იხდიდნენ, ვიდრე უცხოური ვალუტით განთავსებულზე. თუ ამ პერიოდის განმავლობაში დეპოზიტებზე საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 9.3 პროცენტს შეადგენდა, ეს მაჩვენებელი ეროვნული ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე 11.0 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე 8.7 პროცენტი იყო- განმარტავენ საქართველოს ეროვნულ ბანკში.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ეროვნული ვალუტისადმი მოსახლეობის პოზიტიური დამოკიდებულების ზრდისა, კვლავ მაღალი რჩება უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების ხვედრითი წილი მოსახლეობის ანაბრების სტრუქტურაში, რამაც 2008 წლის პირველი ნოემბრისათვის 79.5 პროცენტი შეადგინა, თუმცა, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ეს მაჩვენებელი 4.0 პროცენტული პუნქტით არის შემცირებული. **ჯი-ეიჩ-ენი**

# ÄÍÄÒÂÏ ÃÀÆÏÂÅÀ ÃÀ ÄÍÄÒÂÏÄ×ÄØÔÖÒÏÁÀ

სალომე ძაძამია

საქართველოს ენერგო-რესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაციამ, ასოციაცია საქართველოს რძესთან ერთად, რძისა და რძის პროდუქტების მწარმოებელ კომპანიებს ერთობლივად გამართულ სემინარზე ენერგოეფექტურობისა და ენერგოდაზოგვის მეთოდების შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს.

როგორც კვლევებმა აჩვენა, მთლიანი შიდა პროდუქტის ნაწილი, რომელსაც საქართველო მოიხმარს ენერგიის სახით, სამჯერ აღემატება ევროპის საშუალო ქვეყნის იგივე მაჩვენებელს. შესაბამისად, ენრეგოდაზოგვა და ენერგოეფექტურობა ქართული კომპანიებისთვის საკმაოდ აქტუალურ საკითხს წარმოადეგნს.

აღნიშნულ თემაზე გამართული სემინარის ინიციატორი ენერგო-რესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია გახლდათ, რომელიც ახლახანს დაფუძნდა. მისი დამფუძნებლები არიან ენერგეტიკის ინსტიტუტი, ჰიდროპროექტი, საქრუსენერგო და კიდევ რამდენიე ორგანიზაცია. მათი მიზანი საქართველოში ენერგოდაზოგვის ხელშეწყობაა.



საქართველოს ენერგო-რესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაციის თავმჯდომარე გიორგი ტურაბელიძე: ჩვენი ასოციაცია ენერგოდაზოგვისა და ენერგოეფექტურობის მიმართულებით მუშაობს. ვინაიდან საქართველოში ჯერ არ არის განვითარებული ენერგორესურსების დაზოგვის და ეფექტურად გამოყენების მიმართულებები, გადავწყვიტეთ სემინარის საშუალებით მიგვეწოდებინა ინფორმაცია იმ მეწარმეებისთვის, რომლებისთვისაც აქტუალურია ენერგოდაზოგვის პრობლემა. სემინარის ორგანიზება ასოციაცია საქართველოს რძემ მოახდინა. ენერგო-დაზოგვისა და ენერგოეფექტურობის ხელშეწყობა სოფლის მეურნეობის სფეროში და ამ შემთხვევაში რძის მრეწველობაში, საკმაოდ მნიშვნელოვანია. რძის პროდუქტების წარმოებაში ენერგიის წილი დიდია, შესაბამისად, აქტუალურია ენერგოდაზოგვის საკითხი. ჩვენი მიზანია რძის მწარმოებელ კომპანიებს და არამხოლოდ მათ, დავანახოთ, თუ რა არის საჭირო იმისათვის, რომ ენერგოდაზოგვით რეალური შედეგები მიიღონ. ამისათვის მივმართეთ საქრძეს , რათა მას წევრი კომპანიებისთვის მიეწოდებინა ინფორმაცია ენერგოდაზოგვის და ენერგეფექტურობის შესახებ. მომავალში ვფიქრობთ სხვა საწარმოებსაც მივაწვდინოთ ინფორმაცია, რადგან ენერგოდაზოგვის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზრდება ამა თუ იმ საწარმოს პროდუქტიულობა. ენერგოდაზოგვა და ენერგოეფექტურობა მხოლოდ ჩვენი პრობლემა არ არის, ეს მთელს მსოფლიოში პრობლემატური საკითხია. დაზოგილი ენერგია ნიშნავს, პრაქტიკულად ენერგიის გამომუშავებას და მომგებიანია როგორც ეკენომიური თვალსაზირისით ისე ეკოლოგიურადაც.

საქართველოს კვების მრეწველობის სექტორში მომუშავე კომპანიებიდან პირველი ვინც ენერგოდაზოგვის და ენერგოეფექტურობის დადებითი მნიშვნელობის შესახებ გაიგო რძის და რძის პროდუქტების მწარმოებელი კომპანიები არიან. ენერგო-რესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაციამ, ასოციაცია საქართველოს რძესთან ერთად, რომელიც კომპანიებს: ეკოფუდი, სანტე, ამალთეა, სანდო და კიდევ რამდენიმე რძის პროდუქტების მწარმოებელს აერთიანებს, ენერგოდაზოგვის და ენერგოეფექტურობის მიმართულებებით ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა.

რძის და რძის პროდუქტების მრეწველობის სექტორში და კვების მრეწველობის სექტორში მომუშავე კომპანიებმა ენერგო-რესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაციისგან, მაქსიმალური ინფორმაცია უნდა მიიღონ, თუ როგორ შეიძლება დაზოგონ თავიანთ წარმოებაში ელექტროენერგია, გაზი და საერთოდ, ენერგია და ამის ხარჯზე მოახდინონ სახსრების ეკონომია. მთელს მსოფლიოში ენერგოდაზოგვის ტენდენციაა, განსაკუთრებით ევროპის ქვეყნებში. ჩვენ ისეთ რეგიონში ვართ, სადაც ენერგიის ეკონომიურად გამოყენება ძალიან მნიშვნელოვანია. თუ წარმოებაში ზედმეტი დანახარჯებია ელექტროენერგიაზე ან ენერგიის სხვა წყაროზე, დაზოგვის შემთხვევაში ეკონომიის გარდა, გარემოც ნაკლებად დაბინძურდება. ენერგო-რესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაციასთან ერთად ჩატარებული სემინარის მიზანია, მთელი ამ ინფორმაციის მიტანა იმ კომპანიებამდე, რომლებიც რძის და რძის პროდუქტების სექტორში მუშაობენ. აღნიშნულმა კომპანიებს სამწუხაროდ არანაირი ინფორმაცია არ ჰქონდათ ენერგოდაზოგვის მეთოდებსა და მნიშვნელობაზე. - აღნიშნავს ასოციაცია საქართველოს რძის აღმასრულებელი დირექტორი კახაბერ კონიაშვილი.

ქართული ბიზნესის ენერგოეფექტურობის გასაზრდელად ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD) 35 მილიონი დოლარი გამოყო. აღნიშნული საკრედიტო ხაზი ქართულ კომერციულ ბანკებზე გადანაწილდა, რომლებიც თანხას საშუალო სესხების გასაცემად გამოიყენებენ, რათა გაუმჯობესდეს ბიზნესის და შინამეურნეობების ენერგოეფექტურობა, ან გაიზარდოს განახლებადი ენერგიის გამოყენება.

თიბისი ბანკის კორპორატიული დაკრედიტების განყოფილების პროექტების ფინანსირების ჯგუფის უფროსი ირაკლი ბერეკაშვილი: EBRD-იმ ეს თანხა გამოყო ქართული ბანკებისთვის, რომლებიც წაახალისებენ ენერგოეფექტურ ღონისძიებებს. ენერგოეფექტურობის ცენტრი კომპანიებს სთავაზობს ენერგოაუდიტს, რომლის პროცესშიც ვლინდება ენერგოეფექტური ღონისძიებების შესაძლებლობები. შემდეგ კომპანია ექსპერტებთან ერთად აკეთებს ენერგოკრედიტის პროექტის მონახაზს, რომელიც შემოდის ბანკში. ბანკში საკრედიტო ექსპერტების მიერ ხდება ამ ყველაფრის ფინანსურ ჭრილში მოქცევა. ბანკის მიერ გაცემული სესხის მომსახურება, ძირითადი პროცენტი, დაახლოებით იდენტური უნდა იყოს ენერგოეფექტური ღონისძიების დანაზოგის.

# ×ÉÍÀÍÓÈÀ ÓÀÌÉÍÉÓÔÒÏÓ ÅÄÁ-ÂÅÄÒÃÆÄ ÃÏÍÏÒÈÀ ÃÀáÌÀÒÄÁÄÁÉÓ áÀÒãÅÉÓ

მომავალი კვირიდან, ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვედრზე დონორთა კონფერენციის შედეგად საქართველოში შემოსული თანხების ანგარიში განთავსდება. ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმა ნიკა გილაურმა განაცხადა. მისი თქმით, საიტზე დეტალურად იქნება მოცემული, თუ რა პროექტებზე დაიხარჯება შემოსული თანხები.

გილაურის თქმით, გამოქვეყნებულ დოკუმენტში სრულად იქნება წარმოდგენილი ინფორმაცია ხარჯვის შესახებ. დოკუმენტი გამოქვეყნდება ინტერნეტში და მისი ნახვა ყველა დაინტერესებული პირისთვის იქნება ხელმისაწვდომი.

გილაურის განცხადებით, დონორთა მიერ გამოყოფილი ფინანსური დახმარება საქართველოში დროულად შემოდის, რაც ქვეყნის ეკონომიკურ მდგრადობას შეუწყობს ხელს.

ევროკავშირის აღმასრულებელმა ხელისუფლებამ ბრიუსელის სამიტზე განაცხადა, რომ 2008-2010 წლებში საქართველოს დახმარების მიზნით 500 მლნ ევროს გამოყოფს საქართველოში პოსტკონფლიქტურ რეკონსტრუქციისა და მისი ეკონომიკის მხარდასაჭერად. დონორთა კონფერენცია ბრიუსელში 22 ოქტომბერს ჩატარდა. საქართველოს, ყველაზე არსებით დახმარებას ეკონომიკის აღდგენისთვის, აშშ (დაახლოებით 750 მლნ ევრო), ევროკავშირი (500 მლნ ევრო) და იაპონია დაჰპირდა. მთლიანობაში, დონორი ქვეყნების მთავრობები და ბიზნესის წარმომადგენლები საქართველოს აღდგენისთვის 4,55 მლრდ აშშ დოლარის (3,5 მლრდ ევრო) გამოყოფას გეგმავენ. ბრიუსელის კონფერენციის შემდეგ, საქართველოში უკვე გადმოირიცხა 602 მლნ აშშ დოლარი და წლის ბოლომდე კიდევ 332 მლნ აშშ დოლარის გადმორიცხვა იგეგმება, განაცხადა ფინანსთა მინისტრმა.

ბრიუსელში, დონორთა კონფერენციაზე მიიღეს გადაწყვეტილება, საქართველოსთვის 4,5 მილიარდიანი აშშ დოლარის დახმარების გამოყოფის შესახებ. თანხები ქვეყანაში ეტაპობრივად შემოდის. **ჯი-ეიჩ-ენი**

# ÔÚÉÓ ÒÄ×ÏÒÌÉÓ ÓÀÅÀËÀËÏ ÛÄÃÄÂÄÁÉ

პირველი გვერდიდან



გაზეთი "24 საათი" სიტუაციაში გარკვევას კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელთან და ადამიანის უფლებათა ცენტრთან ერთად ცდილობდა.

საქართველო თუ რამეა თავის მთებით და ტყეებითაა, მაგრამ სატყეო რეფორმის შემდეგ ისიც კითხვის ქვეშ დადგა, რამდენად შევინარჩუნებთ ამ რესურსს, რა დაგვრჩება საბოლოოდ: მოვლილი ტყე თუ ხრიოკი. ეჭვების საფუძველს ის გარემოებები ქმნის, რომლითაც სატყეო რეფორმა დაიწყო და დღემდე გრძელდება.

ყველაზე დიდი პრობლემა ის არის, რომ ტყეები აუქციონზე ისე გამოიტანეს, მათი აღწერა არც მომხდარა. ანუ დანამდვილებით არავინ იცოდა, რა გვაქვს, რას ვასხვისებთ და საერთოდ დაგვრჩა თუ არა მოსაჭრელი ტყე. ხელისუფლებამ მაშინ პრობლემის გადაჭრის ამგავრ ხერხს მიაგნო, ტყეები ჯერ გაასხვისა, შემდეგ კი ინვესტორებს მათი შესწავლა და მართვის გეგმის წარმოდგება დაავალა. ხალხი სწორედ ამ უკუღმა მიღებული გადაწყვეტილებით დააშოშმინეს. ინვერსტორის მიერ წარმოდგენილი მართვის გეგმა ის დოკუმენტი უნდა გამხდარიყო, რომლის მიხედვითაც ტყე ერთბაშად კი არ გაჩანაგდებოდა, არამედ გეგმაზომიერად მოჭრიდნენ, ისე რომ მას თვითგანახლება მოესწრო.

2007 წლის გაზაფხულზე მართვის გეგმების წარმოსადგენად ხელისუფლებამ ინვესტორებს ათთვიანი ვადა მისცა. შემდეგ ამ ვადამ თანდათანობით 2009 წლამდე გადაიწია. საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ ინვესტორები ტყეს ჭრიან, ხოლო როგორ და რანაირად, დღემდე არავინ იცის. ასეთივე გაურკვევლობაში გამოდის აუქციონზე დანარჩენი ტყეებიც.

**ქალწულებრივი ტყეები**

საქართველოს ტყეებში უამრავი უნიკალური და წითელ წიგნში შეტანილი მცენარეებია. ამასთან, ტყეების ნაწილი ხელშეუხებელია ანუ საუკუნეების განმავლობაში არ მოჭრილა. ამგვარ ტყეებს ქალწულებლივ ტყეებს უწოდებენ და მთელ მსოფლიოში უფრთხილდებიან. ასეთი ტყე ძალიან კარგი საშუალებაა ტურისტების მოსაზიდად.

ქართული ტყეების ეს პოტენციალი საქართველოში არავის გაუთვალიწინებელია. ისინი გაასხვისეს და კომპანიებს ფანერების დასამზადებლად გადაულოცეს.

სანამ რეფორმა დაიწყებოდა, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდმა (WWF) გამოყო ბუნებრივად დაცული (მიუვალი) ტერიტორიები, რომელსაც იქ არსებული მცენარეების გამო განსაკუთრებული ღირებულება ჰქონდა და ხელისუფლებას რეკომენაცია მისცა, ეს ზონები არ გაესხვისებინა. რეკომენდაცია არ გაითვალისწინეს. თუმცა მას შემდეგ, რაც ეს ტყეები მაინც მოხვდა სალიცენზიო პაკეტებში და კერძო პირების მართვაში გადავიდა, ხელისუფლებამ თავი იმით იმართლა, რომ ინვესტორის მოქმედებას მაინც გააკონტროლებდნენ და განსაკუთრებული ღირებულების უბნებზე ჭრის საშუალებას არ მისცემდნენ. თუმცა ეს ყველაფერი ლიცენზიის პირობებში ოფიციალურად არ ჩადებულა.

რა შედეგი მოიტანა რეფორმამ, შესაბამისად რას უნდა ველოდოთ მისგან მომავალში? იმის გამო, რომ მართვის გეგმებისა და შესრულებული სამუშაოს ანგარიშის წარმოდგენის თარიღმა 2009 წლამდე გადაიწია დასკვნის გაკეთების საშუალება უბრალოდ არ არსებობს.

**გაუგებრობაში მოხვედრილი ჩინელები**

ადამიანის უფლებათა ცენტრი (HHRIDC) და კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელი (CENN) რამდენიმე დღით წალენჯიხისა და ჩხოროწყუს რაიონებში ჩავიდა, რათა ინფორმაცია ადგილზე მაინც მიეღო. ეს ის რაიონებია, სადაც ჩინურმა კომპანიამ ტყეები 20-წლიანი ლიცენზიით აილო.

ამ ტყეებში ჩვეულებრივ ხეებს შორის ბზისა და წაბლის უნიკალური კორომებია, რომელთა მოჭრა არ შეიძლება. თუმცა, ადგილზე ჩასულებმა აღმოვაჩინეთ, რომ ადგილობრივ სატყეო სამმართველოში სარეზერვო ტერიტორიების რუკა, რომელიც თავის დროზე თითქოსდა ხელისუფლება ხელმძღვანელობდა, საერთოდ არ არსებობს. ამ სარეზერვო ტერიტორიებზეა სწორედ განლაგებული იშვიათი მცენარეები და ხელშეუხებელი ტყეები. იქ ჯერაც რეფორმამდელი რუკები აქვთ.

თუმცა იქვე გაირკვა, რომ ჩინელები ამ ტყეში არათუ იშვით ჯიშებს, არამედ საერთოდ ვერაფერს ჭრიან და ეს იმის გამო, რომ მათ წინასწარი კვლევები ჩატარებული არ ჰქონდათ. როგორც უკვე ავღნიშნეთ, ტყეები სახელმწიფომ აღწერის გარეშე გასცა.

ლიცენზიის პირობების თანახმად, კომპანიას წელიწდში 31 ათასი კბ.მ ხე-ტყე უნდა აეთვისებინა, თუმცა როცა საქმე-საქმეზე მიდგა, აღმოჩნდა, რომ ორ წელიწადში მხოლოდ 4 500 კბ.მ-ის ათვისება მოახერხეს. მიზეზად ყველა ერთი და იგივეს ასახელებს, იქ სადაც გზა მიდის, მოსახლეობამ ტყე ჩინელების მოსვლამდე გაჩეხა, სადაც ხეებია იქ კი გზა არ არსებობს. წალენჯიხაში ამბობენ, რომ ჩინელები მოატყუეს, როცა უთხრეს, რომ აქ ტყის მოჭრა შეიძლებოდა. ვარაუდობენ იმასაც, რომ ერთ-ორ წელიწადში ჩინელებმა შეიძლება გუდა-ნაბადი აიკრან და საქართველოდან საერთოდ წავიდნენ.

ირაკლი ბოკუჩავა, ადგილობრივი სატყეო მეურნეობის წარმომადგენელი: რაც უნდათ ის უქნიათ. თუ უნდათ, ყვავი დაიქირაონ და იმას წამოაღებინონ ხეები. მთავარია, აკრძალული სადაც არ არის იქ არ მოჭრან. მოჭრიან და დავაჯარიმებ. ამას წინათ 120 კბ.მ უკანონოდ გაჩეხეს და ახლა 60 ათასი ლარი აქვთ გადასახდელი .

ხე-ტყის ჭრის სეზონი წალენჯიხა-ჩხოროწყუში სულ რამდენიმე თვეა. ამინდის გაუარესებისთანავე ის გზებიც იკეტება, რომელიც ტყის დაბალ უბნებამდე მიდის. მას შემდეგ კი, რაც მსოფლიო კრიზისის შედეგად ფასები დაეცა, კომპანიას 400 000 დოლარის ღირებულების მასალა ეზოში უწყვია და ვერსად მიაქვს. ხოლო თუ ხე დროზე არ გაიყიდა, მერე ის მხოლოდ საშეშედლა გამოდგება.

იან სან ლი, სააქციო საზოგადოება საქართველოს ტყისგადამამუშავებლი კორპორაცია : ჩვენ მოვტყუვდით. სათანადო ინფორმაცია არ გვქონდა. ვიცოდით, რომ საქართველოს ტერიტორიის 44% ტყეა და ამიტომ გადავწყვიტეთ, ამ საქმეში ფული ჩაგვედო. ტყე მართლაც არის, მაგრამ მხოლოდ მიუვალ ადგილებში. შემდეგ აღმოჩნდა, რომ აქ არანაირი ინფრასტრუქტურა არ არსებობს, არ არის გზები, მთები ციცაბოა. სატრანსპორტო საშუალებები, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას აქვს 30 წლისაა და მწყობრიდან გამოდის. არ არსებობს ტექნიკა, რომელიც ამ მიუვალ ადგილებში შევა და ხეს მოჭრის.

ჩვენი შემდგომი საქმიანობა იმაზე იქნება დამოკიდებული ხელისუფლება ხელს რამდენად შეგვიწყობს. მაგალითათ ტყის 8 000 მეტრ/კუბი ჰუდონთან არის გამოყოფილი. ამ ტერიტორიაზე ვერ შევდივართ, რადგან აფხაზეთთან ახლოსაა და საშიშია. ხელისუფლებას წერილებს ვწერთ, მაგრამ ისინი გვეუბნებია, ამ პრობლემას ვერ ვაგვარებთო.

გარდა ამისა, ჩვენს მიერ ლიცენზიით აღებულ ტერიტორიებზე გარემოს დაცვის სამინისტრომ სამონადირეო მეურნეობები გამოყო. ეს კი უკვე ინტერესთა კონფლიქტია.

ახლა ახალი ტექნოლოგია შევისყიდეთ. საბაგირო გზები უნდა გავიყვანოთ და ხეები ასე მოვჭრათ. ეს გზა გაცილებით ვიწრო იქნება, ვიდრე სამანქანო. პრობლემა ის არის, რომ გასაკაფ გზაზე წითელ წიგნში შეტანილი მცენარეები გვხვდება, რომელთა მოჭრა არ შეგვიძლია. რომ მოვუაროთ ხარჯი გაცილებით დიდი იქნება. ვითხოვეთ, ამ ხეების მოჭრის ნება მოგვცენ, მაგრამ პასუხი ჯერჯერობით არ მიგვიღია .

საბგიროს მეთოდი, რომელიც ჩინელებმა წალენჯიხაში უნდა გამოიყენონ ახალი არაა. ამ გზას ადრე ჯუნგლების გასაკაფად იყენებდნენ. საჭირო ტექნიკის შესაძენად 7 მილიონი ლარი ჩადეს. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ კომპანია ამ თანხის ამოღებას მაქსიმალურად შეეცდება. საბაგირო ხელუხლებელ ტყეებსაც მიწვდება, მით უფრო, რომ ის სახელმწიფოს მიერ კანონიერად არის გაცემული და ვერ შეედავები.

რაც შეეხება მოჭრილ 120 კბ.მ-ს იან სან ლი ამბობს, რომ ამ შემთხვევაში დამნაშავეები არიან, რადგან ჩინელ მუშებს დამაჯერებლად ვერ აუხსნეს, კანონი რას ნიშნავდა.

**იან სან ლი:** ისინი ადრე ისეთ ქვეყნებში მუშაობდნენ, სადაც კანონი არ კანონობდა. ეგონათ, აქაც ასე იყო და გაჩეხეს. ჩვენ ჯარიმას გადავიხდით. ჩვენი ბრალია, რომ კარგად არ ავუხსენით მათ, ამგვარ ქმედებას რა მოჰყვებოდა .

გარდა კანონის დამცველებისა, ჩინურ კომპანიასთან ადგილობრივ მოსახლეობასაც ჰქონდა პრეტენზიები. ლიცენზიის პირობების მიხედვით, კომპანიას ქარხანაში წალენჯიხის მცხოვრებლები უნდა დაესაქმებინა, თუმცა თავდაპირველად იქ ძირითად ჩინელები მუშაობდნენ. ადგილობრივებმა რამდენიმეჯერ საპროტესტო აქციაც მოაწყვეს.

ვახტანგ კვირკველია, ლიის თემის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული: ადრე ამ კომპანიასთან პრობლემები იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც კომპანიის ხელმძღვანელობა შეიცვალა მდგომარეობა თანდათან გამოსწორდა. ახლა უფრო მეტად ადგილობრივები არიან დასაქმებულები. თავიდან 12 საათი ამუშავებდნენ და დღეში მხოლოდ 10 ლარს უხდიდნენ. ახლა რვასაათიანი სამუშაო დრო აქვთ და თანხაც მეტი გამოსდით.

როგორც თვითონ ამბობენ, წარმოების მოცულობა სამჯერ უნდა გაზარდონ და კიდევ 70 სამუშაო ადგილი შეიქმნება .

**ექსპერტის დასკვნა**

ტყის დათვალიერებისა და წალენჯიხა-ჩხოროწყუში არსეწბული ვითარების შესწავლის შემდეგ ბიომრავალფეროვ ნების ექსპერტმა გიორგი არაბულმა შემდეგი დასკვნა დაწერა:

ჩატარდა კვლევა მდ. ხობისწყლს სათავეებში სოფ. მუხურის მიდამოებში, სადაც ლიცენზიის წესით გაცემულია 12 უბანი. ძირითადად მიმდინარეობს წიფლის მოპოვება.

ტყის ეკოლოგიური მდგომარეობისა და საკონსერვაციო ღირებულების თაობაზე წინასწარი კვლევები არ ჩატარებულა, რაც გამოავლენდა აღნიშნული ტყეების სამეურნეო პოტენციალს და ბიომრავალფეროვნების დონეს.

ლიცენზირებულ ტერიტორიებზე მხოლოდ ხელუხლებელი (პირველადი) მაღალი სიხშირის (0,8 - 0,9 - 1 სიხშირე) წიფლნარები იჩეხება, რომელიც ზღვის დონიდან 1200-1600 მ. ფარგლებშია გავრცელებული. ვერტიკალური პროფილის ამ ზოლში მთათა ფერდობები საკმაოდ დამრეცია და რთული რელიეფის პირობებში შესაბამისი რაოდენობისა და სტანდარტების მერქნის მოპოვება თითქმის შეუძლებელია.

...ლიცენზირებულ ტერიტორიებზე არათუ 20 წლის, არამედ 5 წლის მერქნის მარაგიც კი არ არის (რასაც ისინი თვითონაც აღნიშნავენ). ცალკე პრობლემაა მთის დამრეც ფერდობებზე ისეთი საავტომობილო გზების შეყვანა, სადაც მძიმე ტექნიკა ინტენსიურად იმოძრავებს. მსგავსი ადგლები საბოლოოდ განწირულია შეუქცევადი ეროზიული პროცესების განვითარებსათვის, რასაც მძლავი ატმოსფერული ნალექებისას პირველადი ტყეების გაჩეხვის შედეგად დარჩენილი ნიადაგს რბილი ზედაპირის ჩამორეცხვაც შეუწყობს ხელს.

არსებულმა გაურკვეველმა სიტუაციამ ალბათ შეუწყო ხელი იმასაც, რომ ლიცენზიანტის მიერ დიდ ფართობებზე უკანონოდ (იქ სადაც ტყეკაფი გამოყოფილი არ იყო) გაიჩეხა ტყე და იკვეთება აშკარა დანაშაულებრივი ქმედებები რასაც შესაბამისი ორგანოები ამჟამად იკვლევენ.

გაკვირვებას იწვევს ის ფაქტიც, რომ წალენჯხის რაიონის სატყეო სამმართველოში საერთოდ არაფერი სმენიათ ე.წ. სარეზერვო ტყეების შესახებ, რაც საქართველოს სატყეო სექტორის სისუსტესა და გაუმართავ ფუნქციონირებაზე მიუთითებს (როგორც ჩანს, იგივე მდგომარეობაა მეზობელ რაიონებშიც).

უნდა აღინიშნოს, რომ მდ. ხობისწყლის მსგავსი ხეობები კოლხეთის რეფუგიუმის მესამეული პერიოდის თერმოფილური ფლორის რელიქტური ხეობების უკანასკნელ თავშესაფარს წარმოადგენს და ამ ტერიტორიაზე პირველადი ტყეების გაჩეხვა მათ საბოლოო გადაშენებას გამოიწვევს - რაც საქართველოს ბუნებრივ-კილტურული მემკვიდრეობის ხელყოფას ნიშნავს.

ბოლოს შეიძლება ითქვას, რომ მდ. ხობისწყლის სათავეებში 20 წლით სალიცენზიოდ გამოყოფილი ტყეების დღევანდელი მდგომარეობა არ შეესაბამება ლიცენზიანტის მიერ შემუშავებული დოკუმენტის პირობებს არც რაოდენობრივი მოცულობის მხრივ, არც ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებისა და ეკოლოგიური წონასწორობის დაცვის თვალსაზრისით. აშკარაა ბიომრავალფეროვენების უხეში ხელყოფის ფაქტები და მოსალოდნელია კატასტროფული ეკოლოგიური პრობლემები, რომელიც ქვეყანას შემდეგ ძალინ ძვირი დაუჯდება .

**სატყეო დეპარტამენტიდან ტყისმჭრელ კომპანიაში**

მოუხედავად იმისა, რომ ჩინურ კომპანიას პრობლემები აქვს და მისი მუშაობით ბევრი არ არის კმაყოფილი, საქართველოში ტყეების ყიდვას ის მაინც აგრძელებს და გამორიცხული არ არის მომავალში სატყეო რესურსის მონოპოლისტი გახდეს. რითია განპირობებული ამ კომპანიის ამგვარი მოქმედება.

აღსანიშნავია ერთი გარემოება, ზვიად ჭეიშვილი, რომელიც სულ ორიოდე წლის წინათ ჯერ სატყეო დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შემდეგ კი გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილე იყო ახლა ამ ჩინურ კომპანიაში მუშაობს. მისი თანამდებობდა გენერალური დირექტორის მოადგილეა.

საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, (მუხლი 65. სამსახურში შესვლის შეზღუდვა) განთავისუფლებული სახელმწიფო მოსამსახურე განთავისუფლების დღიდან 3 წლის მანძილზე არ შეიძლება სამსახურში შევიდეს იმ დაწესებულებაში ან ეწეოდეს საქმიანობას იმ საწარმოში, რომელსაც იგი უკანასკნელი 3 წლის მანძილზე სისტემატურად ზედამხედველობდა სამსახურებრივად. ამ ხნის განმავლობაში მას აგრეთვე არ აქვს უფლება ასეთი დაწესებულებიდან ან საწარმოდან მიიღოს შემოსავალი.

მიუხედავად ამისა, ჭეიშვილი ჯორჯიან ვუდ ენდ ინდასტრიალ დეველოპმენტ -ის გენერალური დირექტორის მოადგილე გახდა. როგორც იან სან ლი ამბობს, მათ სპეციალისტები სჭირდებოდათ და ამის გამო მოიწვიეს.

თავად ზვიად ჭეიშვილი აღნიშნავს, რომ ის სამი წლის განმავლობაში ამ უწყებას არ ზედამხედველობდა, ამიტომ კანონი არ დაურღვევია.

ზვიად ჭეიშვილი: ერთი წელი ვიყავი გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილე, 11 თვე - დეპარტამენტის თავმჯდომარე, მანამდე ვიყავი მდგრადი განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი. დეპარტამენტი, მართალია, გარემოს დაცვის სამინისტროში შედიოდა, მაგრამ ეს იყო პოლიტიკის განმსაზღვრავი და არა საზედამხედველო სამსახური. ამიტომ უფლება მქონდა, რომ ამ სამსახურში გადმოვსულიყავი .

მიუხედავად ამგვარი არგუმენტისა, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ინტერესთა გადაკვეთა აშკარად სახეზეა. მუხლი 65 კი, რომელიც კორუფციის პრევენციისთვის ჩაიდო, საქართველოში რეალურად არ ფუნქციონირებს, რადგან ჩვენს სინამდვილეში მინისტრები და სხვა ხელმძღვანელი პირები ერთ და იგივე თანამდებობაზე სამი წელი კი არა, ხშირად სამი თვეც არ რჩებიან.

გარდა ამისა, ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით ადამიანის უფლებათა ცენტრმა მიიღო ინფორმაცია, რომ ჩინურ კომპანიაში სამუშაოდ გადასვლას აპირებენ საქართველოს სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარე კობა გურგენიძე და გარემოს დაცვის ინსპექციის უფროსი გოჩა გიგინეიშვილი. თუმცა არც ერთი მათგანი აღნიშნულ ინფორმაციას არ ადასტურებს.

## ˝მცირე ბიზნესის შესახებ˝ კანონპროექტის ბოლო ვერსიის პრეზენტაცია დღეს გაიმართება

სასტუმრო “ამბასადორში” დღეს “მცირე ბიზნესის შესახებ” კანონპროექტის ბოლო ვერსიის პრეზენტაცია და ხელმოწერა გაიმართება, რომელიც საკანონმდებლო წინადადების სახით საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს გადაეგზავნება.

შეხვედრა სოლიდარობის ცენტრის” ორგანიზებით და ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით ტარდება. პრეზენტაციაზე მიწვეული არიან მთავრობის, საერთაშორისო ორგანიზაციების, ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მცირე ბიზნესმენები, ექსპერტები და პროფესორები უმაღლესი სასწავლებლებიდან. მათი დიდი ნაწილი 8 თვის განმავლობაში პროექტის შექმნაში უშუალოდ მონაწილეობდა.

დღესვე შეიქმნება საინიციატივო ჯგუფი, რომელიც მომავალში მცირე ბიზნესის ინტერესების ლობირებას განახორციელებს, მათ შორის მთავარი ორიენტირი მომზადებული კანონპროექტის პარლამენტის მიერ მიღება იქნება. **ინტერპრესნიუსი**

## ˝ბეემვე˝ 2010 წელს ახალ იქს3-ს გამოუშვებს

ავტოკონცერნი “ბეემვე” ახალი იქს3-ის მოდელის ტესტირებას ახორციელებს, რომლის გამოშვებაც 2010 წლისთვის იგეგმება.

ახალი იქს3 წინამორბედისგან უფრო რელიეფური ძარით და დაბალი სახურავით გამოირჩევა. შეიცვალა მანქანის სხვა დეტალებიც. კერძოდ, ახალმა იქს3-მა ახალი ოპტიკა მიიღო.

ახალი იქს3 წინამორბედის აგრეგატებს მიიღებს - დიზელის ოთხ და ბენზინის ორ ძრავას, რომელთა სიმძლავრე 231-306 ცხენისძალა იქნება. **მედიანიუსი**

## 2009 წელს ექვსბორბლიანი სუპერქარის გამოშვება დაიწყება 2009 წელს

იტალიური კომპანია “კოვინი” ექვსბორბლიანი სუპერქარ “სინდაბლიუს” გამოშვებას დაიწყებს.

სუპერქარის კონცეპტუალური ვერსია კომპანიამ 2004 წელს, ჟენევაში გამართულ მოტორშოუზე წარადგინა.

სუპერქარმა წინა ოთხი 16-დიუმიანი და ორი უკანა 20-დიუმიანი საბურავები მიიღო. სუპერქარი უკანაწამყვანიანია. მისი წონა 1150 კილოგრამს შეადგენს. სუპერქარი 4,2 ლიტრაჟის, 380 ცხენისძალიანი “აუდის” ძრავით აღიჭურვება. სუპერქარი ექვსსაფეხურიან მექანიკურ გადამცემთა კოლოფს მიიღებს და მისი მაქსიმალური სიჩქარე 300კმ/სთ იქნება.

კორვინის” წარმომადგენლების მტკიცებით, ექვსი ბორბალი მანქანის გზასთან ჩაჭიდებას ზრდის და ამცირებს მოსრიალებისა და აკვაპლანირების წარმოქმნის რისკებს.

სუპერქარის ღირებულების შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება. **მედიანიუსი**

# ØÀÒÈÖË ÁÀÍÊÀ ÀÒ ÄÌÖ

პირველი გვერდიდან

ბოლო 70 წლის მანძილზე ეს საკმაოდ ფართომასშტაბიანი ეკონომიკური კრიზისია, ამიტომ ეკონომიკური ფორუმი, რომელიც დავოსში 2009 წლის იანვარში ჩატარდება თვისი არსებობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი იქნება. ამ ფორუმს 160 ქვეყნის პირველი პირი დაესწრება. წარმომადგენლობითი იქნება დიდი რვიანის” ქვეყნების დელეგაცია, რომელიც ყველაზე გავლენიანი 1000 ბიზნესმენით იქნება დაკომპლექტებული.

გლობალური კრიზისის მიზეზად ექსპერტები, ამერიკის იპოთეკური ბაზრის ჩავარდნას” ასახელებენ. კრიზისს ამ მოვლენამ ჩაუყარა საფუძველი. რასაც მოჰვა საბანკო კრიზისი და აშშ საფონდო ბაზრების სრული კრახი. ამ ფაქტორმა ევროპის ბაზრებზე ნეგატიური ზეგავლენა მოახდინა. კრიზისის შედეგად აშშ-ი დაახლოებით 5 ათასი მსხვილი კომპანია გაკოტრდა. არსებული სტატისტიკით 2009 წელს ყოველი მე-20 ამერიკელი უმუშევარი იქნება.

რაც შეეხება ევროპას, აქაც მსხვილმა კომპანიებმა ხარჯების შემცირება და საწესდებო კაპიტალიდან სოლიდური წილის გაყიდვა დაიწყეს. ამ შემთხვევაში გამოდგება ოპელის, ფორდის და სიმენსის მაგალითი, ამ კომპანიებმა უკვე საკუთარი წილის 20 პროცენტი გაასხვისეს. კრიზისის ფონზე დაიწყო ნავთობის ფასის დაცემა, რამაც ფაქტობრივად რუსეთის ეკონომიკა კრიზისის პირას მიიყვანა. ბოლო წლების განმავლობაში ადვილად ნაშოვნი “ნავთობდოლარები” რუსული ნავთობის მაგნატებმა ერთ თვეში დაკარგეს. განხორციელდა რუსეთის საფონდო ბაზრების სრული კრახი და რუბლის გაუფასურება.



ფინანსურმა კრიზისმა ნეგატიური გავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკაზეც. სხვა ბიზნესებთან ერთად გლობალურ კრიზისმა გავლენა საქართველოს საბაკო სექტორზეც მოახდინა.

ლიკვიდური სახსრების დეფიციტი ბანკებში 2008 წელის გაზაფხულზე დაიწყო, რასაც ექსპერტები ევროპის ბაზრებზე საკრედიტო რესურსების გაძვირებასა და, მსოფლიოში უკვე დაწყებული კრიზისის გამო, ქართული ბანკების მიერ უცხოეთიდან თანხების მოზიდვის გართულებას უკავშირებენ.

ექსპერტების განმარტებით, მსოფლიო საფინანსო კრიზისის გლობალური მასშტაბებიდან გამომდინარე, მიმდინარე ფინანსური კრიზისის შედეგად საქართველოც დაზარალდა, თუმცა შედარებით ნაკლებად - კრიზისის უარყოფითი ეფექტები გაცილებით უფრო მტკივნეულია უკრაინაში, რუსეთში, აზერბაიჯანში, ყაზახეთსა და ბევრ სხვა პოსტსაბჭოურ ქვეყანაში. კრიზისის შედეგად, ამ ქვეყნებში ინფლაციის მაჩვენებელი კატასტროფულად გაიზარდა, რაც მეტწილად მათი ეროვნული ვალუტის გაუფასურებით იყო გამოწვეული. ვალუტის გაუფასურებაზე კი მნიშვნელოვანი გავლენა ამ ქვეყნებიდან ინვესტიციების გადინებამ მოახდინა, რის შედეგადაც თითქმის პირდაპირპროპორციულად შემცირდა ცენტრალური ბანკების საერთაშორისო რეზერვები.

გლობალური ფინანსური კრიზისით გამოწვეული უარყოფითი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე, საბედნიეროდ, იმდენად დიდი არ არის, როგორც ბევრ სხვა პოსტსაბჭოთა თუ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანაში. თუკი შევადარებთ ამ ქვეყნების საფინანსო, და კონკრეტულად, საბანკო სექტორში შექმნილ ვითარებას, აშკარაა, რომ ქართული ბანკები, თავისი დღევანდელი მდგომარეობით, ბევრ სხვა, უფრო დიდი ქვეყნების ბანკებთან შედარებით, უკეთეს პოზიციაში იმყოფებიან. ამასთან, საქართველო, კრიზისის დაძლევისათვის გამოყოფილი თანხების მოცულობით (მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში) მოწინავე ადგილზეა. საერთაშორისო დონორებისგან საქართველო, სესხებისა და გრანტების, სახით 4,55 მილიარდ აშშ დოლარს მიიღებს. ეს თანხა 2-3 წელზე გადანაწილდება და მოხმარდება როგორც ომის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენას, ასევე ეკონომიკის წახალისებას, ეროვნული ბანკის რეზერვების შევსებასა და კომერციული ბანკების დაფინანსებას”, - ამბობს თიბისი ბანკის გენერალური დირექტორი, ვახტანგ ბუცხრიკიძე.

საბანკო ბაზარზე საკრედიტო რესურსების გაძვირებასთან ერთად, ნეგატიური გავლენა მოახდინა 5 დღიანმა ომმა, რის შედეგადაც ბანკებიდან კერძო მეანაბრეების მიერ განთავსებული დეპოზიტების გარვეული ნაწილი. ომის შემდეგ 2 კვირის განმავლობაში საბანკო სექტორში ისევ აღდგა კრედიტების გაცემა, თუმცა უფრო გამკაცრებული პირობებით და გაზრდილი საპროცენტო განაკვეთოთ. ეს კი, თავის მხრივ, გამოიწვია ამ დროისათვის მსოფლიო ფინანსური კრიზისის კიდევ უფრო გაძლიერებამ, უცხოური რესურსების გაძვირებამ და ბანკებისათვის მათი მოზიდვის გართულებამ.

თუმცა, 24 საათთან” საუბარში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანის წარმომადგენელმა საქართველოში საბანკო ბაზარზე შექმნილ მდგომარეობას საიმედო უწოდა.

ვფიქრობ, საქართველოში კლასიკური საბანკო კრიზისის ჩამოყალიბების საფრთხე არ არსებობს. ამისთვის EBRD-ი ყველაფერს გააკეთებს. ჩვენ სამი ქართული ბანკის საწესდებო კაპიტალში 20 პროცენტიან წილს ვფლობთ. მიმდინარეობს მოლაპარაკება კიდევ რამდენიმე ქართულ ბანკში წილის შესყიდვაზე. ეს ღონისძიე-



# ÁÓ ÂÀÊ Ï ÔÒÄÁÀ ÒÄÁÀÈ

ბები საბანკო სექტორს უფრო მდგრადს გახდის. ამ ეტაპზე ქართული ბანკების ლიკვიდაციის და გაკოტრების საფრთხე არ არსებობს," - განუცხადა 24 საათს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მთავარმა ბანკირმა ირაკლი მექვაბიშვილმა.

მისი თქმით, EBRD-მა გასულ წელს ქართული ბანკებისთვის 700-800 მილიონი დოლარის მოცულობის საკრედიტო ხაზები გამოყო. წელს ეს მაჩვენებელი კიდევ 50 პროცენტით გაიზრდება. "საქართველოს საბანკო ბაზარზე არსებული ვითარება არ არის მძიმე. ბანკები ჩვეულებრივ რეჟიმში მუშაობენ, თუმცა არის გარკვეული სირთულეები. მაგრამ, ზოგადად, საქართველოს საბანკო სისტემა არის მდგრადი და ჩვენ ერთობლივად გადავლახავთ ამ სირთულეებს, არც დღეს არსებობს. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს საბანკო სექტორზე. უნდა მოხდეს ზედამხედველობის გაძლიერება", - აღნიშნა ირაკლი მექვაბიშვილმა.

ექსპერტების შეფასებით, საქართველოს საბანკო სექტორზე, როგორც გარე, ისე შიდა ფაქტორებმა იმოქმედა. რამდენადაც გლობალური საფინანსო კრიზისის საბოლოო მასშტაბები ჯერ კიდევ არ არის ჯეროვნად შეფასებული, ამდენად კრიზისის შედეგებს ჩვენც უნდა დაველოდოთ. თუმცა, ცალსახად შეიძლება იმის თქმა, რომ საქართველოს საბანკო სისტემა, რომელიც ბოლო პერიოდში დაფიქსირებული შთამბეჭდავი ზრდის მიუხედავად, მაინც განვითარების არც თუ მაღალ დონეზეა, გლობალური ფინანსური კრიზისის მიმართ არ არის ისეთივე




მგრძნობიარე, როგორც ეს უფრო მაღალგანვითარებულ ეკონომიკებში ფიქსირდება. შედეგად, ზეგავლენაც ზომიერია. ამასთან, ზოგადად, ეკონომიკურ ბუმს ხშირად მოსდევს დაღმავალი პერიოდი. მნიშვნელოვანია, რომ ბიზნეს ციკლის საწინააღმდეგო სახედამხედველო პოლიტიკამ, რაც პირველ რიგში კაპიტალის ადეკვატურობისა და ლიკვიდობის უპრეცედენტოდ მაღალ მოთხოვნებში გამოიხატება, უზრუნველყო ის, რომ საქართველოს საბანკო სისტემის იმუნიტეტი ომის შედეგად მიყენებული ზიანის გასანეიტრალებლადაც კი საკმარისად მაღალი გამოდგა", - განუცხადა 24 საათს საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსმა გიორგი ქადაგიძემ.

"საქართველოს ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ნიკოლოზ ენუქიძის განმარტებით, "საქართველოს საბანკო სფეროში კრიზისი არ არის. მაგრამ, იმ მსოფლიო ფინანსური კრიზისის შედეგად, რომელიც დღეს სახეზე გვაქვს, ბუნებრივია, ბანკების სტრატეგია ბევრად უფრო კონსერვატიული გახდა. მაგალითად, რუსეთში საბანკო კრიზისი გამოიწვია საერთაშორისო ბაზრებიდან აღებული კრედიტების დაფარვასთან დაკავშირებულმა სიძნელეებმა. საქართველოს ბანკის შემთხვევაში, 2009 წლის პირველ კვარტალში სულ დასაფარი გვექნება 108.5 მლნ დოლარი. ეს თანხა დიდი ხანია გადადებული გვაქვს. გარდა ამისა, დღეს ჩვენი ლიკვიდური აქტივები შეადგენს დაახლოებით 300 მლნ დოლარს. ხოლო ის 240 მლნ აშშ დოლარი, რომელსაც საერთაშორისო ორგანიზაციებისგან მივიღებთ, ჩვენს ლიკვიდურობას კიდევ უფრო გაზრდის".

საერთაშორისო ვალდებულებების გასტუმრება არც თიბისი ბანკს შეუქმნის ლიკვიდურობის პრობლემას. თიბისის 2009 წლის მეორე კვარტალში 100 მილიონი დოლარის სესხის გადახდა უწევს, თუმცა უკვე პირველ კვარტალში მოზიდული ექნება 250 მილიონი დოლარის ოდენობის რესურსი.

ყველაზე ნეგატიური გავლენა საქართველოს საბანკო სექტორზე 5-დღიანმა ომმა მოახდინა. "მართალია, ომის დაწყებიდან გარკვეული პერიოდის განმავლობაში, საერთო დაძაბულობის ფონზე, თიბისი ბანკიდან, ისევე, როგორც მთელს საბანკო სექტორში, მოხდა სახსრების გარკვეული ნაწილის გადინება, მაგრამ უკვე აგვისტოს მეორე ნახევრიდან გატანილი თანხების უდიდესი წილი ბანკის კლიენტებმა უკან შემოიტანეს. უფრო მეტიც: აგვისტოს ომის დროს თიბისი ბანკში ანაბრების შემოტანა არ შეჩერებულა და ამ პერიოდში 1500-მდე ახალი ანაბარი გაიხსნა. ამის დასტურია თიბისი ბანკის ანაბრების აქციის აგვისტოს გათამაშებაც: ამ გათამაშებაში გაიმარჯვა და ავტომობილი მოიგო კლიენტმა, რომელმაც თიბისი ბანკში ანაბარი სწორედ ომის დაწყებიდან მეორე დღეს გახსნა", - განუცხადეს 24 საათს თიბისი ბანკში.

რაც შეეხება ნდობის ფაქტორს, დღეს ქართული საბანკო სექტორი მართლაც გამოირჩევა სტაბილურობით და ეს ფაქტი განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა მსოფლიო ფინანსური კრიზისის ფონზე, როცა მაღალი ლიკვიდურობის წყალობით ქართულმა ბანკებმა თავიდან აიცილეს სერიოზული პრობლემები

ხელით ნაქსოვი ტრადიციული ქართული ხალიჩა და ფარდაგი
ხელით დამზადებული სუვენირები ტრადიციული ორნამენტებით

მთიები

,,ქართული ხალხური კულტურის აღორძინებისა და განვითარების საერთაშორისო ცენტრი მთიები" აწარმოებს მსოფლიოში უანალოგო პროდუქციას – ხელით ნაქსოვ ტრადიციულ ქართულ ხალიჩასა და ფარდაგს. ისინი მცენარეული და მინერალური საღებავებით ნაფერი საუკეთესო ჯიშის ცხვრის მატყლისაგან დამზადებული შალის მაფით იქსოვება.

ეროვნულ კომპოზიციებთან და კოლორიტულ სტილთან ზომიერად შერწყმული თანამედროვე დიზაინი ქართულ ხალიჩასა და ფარდაგს მეტ ორიგინალობას სძენს და ამშვენებს.

აირჩიეთ დიზაინი, ორნამენტები, სიუჟეტური კომპოზიციები, ზომა და მიიღეთ შეუფასებელი პროდუქცია: ხალიჩა
ფარდაგი და უამრავი
ხელით ნაქარგი სუვენირი



თქვენ ხდებით ქართული ხალხური კულტურის აღორძინების თანამონაწილე

დუშეთი, ბესიკის ქ. №6
ტელ.: (995 32) 66 21 00, (995 32) 66 21 02

## "ელიტელის" მაღაზიათა ქსელში საახალწლო აქცია გრძელდება

საახალწლო აქცია "ელიტელის" მაღაზიათა ქსელში გრძელდება. ამჯერად, ბრენდი მომხმარებლებს მხოლოდ MOTOROLA-ს 2 მობილურ ტელეფონს ერთის ფასად სთავაზობს. MOTOROLA U9 (339ლარი) , V8 (425ლარი) ან Z6 -ის (299ლარი) შეძენის შემთხვევაში "ელიტელი" საჩუქრად MOTOROLA C118-ს გადასცემს.

ასევე 31 დეკემბრამდე საახალწლოდ სპეციალურ ფასად წარმოდგენილი იქნება LG-ის მონიტორები. 19 დიუმიანი 319, ხოლო 22 დიუმიანი მონიტორი 409 ლარი ეღირება.

"ელიტელი" მომხმარებლებს დამატებით სხვა ბრენდებსა და ტექნიკაზე ფასდაკლებებს უახლოეს დღეებში შესთავაზებს.

აღსანიშნავია, რომ მაღაზიათა ქსელში უკვე რამდენიმე ფასდაკლების აქცია მიმდინარეობს: 9 დეკემბრიდან 31 დეკემბრამდე კოდაკ-ის ფოტოაპარატები 5%-დან 15%-მდეა წარმოდგენილი. პარალელურად, მაღაზიათა ქსელში 20 დეკემბრამდე მიმდინარეობს

სისტემური ბლოკის აქცია, რომელიც საახალწლოდ ასევე სპეციალურ ფასად 399 ლარადაა წარმოდგენილი. აქციაშია აგრეთვე HP-ს ფერადი პრინტერი, რომელიც 69 ლარი ღირს. აქციები ინტერნეტ მაღაზიაზეც ვრცელდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## აზერბაიჯანში საწვავის არ გაიაფდება აზერბაიჯანის სახელმწიფო

ნავთობკომპანიის პრეზიდენტ როვნაგ აბდულაევის განცხადებით, მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასის შემცირების მიუხედავად, აზერბაიჯანში საწვავი არ გაიაფება. აბდულაევმა ეს იმით ახსნა, რომ ქვეყანაში საწვავზე ფასი მსოფლიო ბაზრით არ რეგულირდება.

"აზერბაიჯანში საწვავის ფასი მსოფლიო ბაზრით არ იზომება. ჩვენთან ფასები მინისტრთა კაბინეტის მიერ რეგულირდება. საწვავის ფასი აზერბაიჯანში არ შეცვლილა მაშინაც, როცა მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასმა აიწია. ამიტომ ახლა არ შეიძლება ლაპარაკი იმაზე, რომ ფასების შემცირებასთან დაკავშირებით, აზერბაიჯანში საწვავი გაიაფდება." **ჯი-ეიჩ-ენი**

## აზერბაიჯანი, ომანი, რუსეთის ფედერაცია და სირია ალჟირში ოპეკის კარტელის სხდომაში მონაწილოეობას მიიღებენ

17 დეკემბერს აზერბაიჯანი, ომანი, რუსეთის ფედერაცია და სირია ალჟირში ოპეკის კარტელის სხდომაში მიიღებენ მონაწილოეობას, იუწყება სააგენტო Associated Press.

13 დეკემბერს, ოპეკის წევრმა ირანიდან, მოჰამედ ალი ხატიბიმ განაცხადა, რომ კარტელმა ბაზარზე ჭარბი ნავთობის მოცულობა აუცილებლად უნდა შეამციროს და ამისთვის იმ ქვეყნების მხარდაჭერაა აუცილებელი, რომლებიც ოპეკის წევრები არ არიან.

ალი ხატიბმა ასევე აღნიშნა, რომ ოპეკის წევრი ქვეყნები იმ აზრს ეთანხმებიან, რომ იმ ქვეყნების მხარდაჭერა, რომლებიც ორგანიზაციის წევრები არ არიან, აუციელბელია, რადგან ნავთობის მოპოვების მოცულობის შემცირება მათი მონაწილეობის გარეშე ბაზარზე შესაბამის გავლენას არ იქონიებს.

აღსანიშნავია, რომ ოპეკის ხელმძღვანელმა დეკემბრის დასაწყისში, რუსეთს, ნორვეგიასა და მექსიკას ამ ორგანიზაციის წევრობა შესთავაზა. 11 დეკემებრს კი რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა განაცხადა, რომ რუსეთმა ნავთობის მოპოვება მასზე ფასის შესანარჩუნებლად შეიძლება შეამციროს. მან ასევე არ გამორიცხა რუსეთის ოპეკში, ან სხვა მსგავს ორანიზაციაში გაწევრიანება, თუ ასეთი ორგანიზაიცები შეიქმნება.

შეგახსენებთ, რომ ბოლოს კარტალმა ნავთობის მოპოვების შემცირების გადაწყვეტილება რიგგარეშე სხდომაზე 24 ოქტომბერს მიიღო. ნავთბის მოპოვების მოცულობა დღე-ღამეში 1,5 მლნ ბარელით შემცირდა, მაგრამ ეს ნავთობზე ფასის შესანარჩუნებლად საკმარისი არ აღმოჩნდა.

ოპეკის მორიგი სხდომა 17 დეკემერბს ალჟირის ქალაქ ორანში გაიმართება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## American International Group-ი იაპონიაში საკუთარი ფილიალების გაყიდვაზე მოლაპარაკებებს აწარმოებს

ამერიკული სადაზღვეო კომპანია American International Group იაპონიაში საკუთარი ფილიალების გაყიდვაზე კანადისა და აშშ-ს სადაზღვევო კომპანიებთან მოლაპარაკებებს აწარმოებს, იუწყება NHK.

AIG-ს იაპონური აქტივების, AIG Edison Life Insurance-სა და AIG Star Life Insurance-ის შეძენით დაინტერესებულები არიან აშშ-ში სიცოცხლის დაზღვევის სიდიდით მეორე კომპანია Prudential Financial Inc-ი და კანადური Manulife Financial Corp-ი. თანხა უახლოეს პერიოდში გაირკვევა, მას შემდეგ რაც დაინტერესებული მხარეები AIG-ს ორი განყოფილების ფინანსურ მდგომარეობას შეისწავლიან.

ამ სახით, სახელმწიფო კრედიტების გადახდის მიზნით, AIG მთელ მსოფლიოში თავის აქტივების გაყიდვას აგრძელებს. 2008 წლის დასაწყისში აშშ-ს ფინანსთა სამინისტრომ 40 მლდ დოლარის AIG-ის პრივილეგირებული აქციების შეძენის შესახებ განაცხადა. ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ აქცების შეძენის დახმარებით კრედიტი, რომელიც AIG-ს 16 სექტემბერს ნიუ-იორკის ფედერალურმა სარეზერვო ბანკმა გამოუყო, 85 მლრდ დოლარიდან 60 მლრდ დოლარამდე შემცირდებოდა.

სექტემბერში აშშ-ს ფედერალურმა სარეზერვო სისტემასმ AIG-ის 85 მლრდ დოლარი შესთავაზა, სანაცვლოდ კი კომპანიის აქციების 79,9% მიიღო, ხოლო უკვე ოქტომბრის დასწყისში, სარეზერვო სისტემამ, AIG-ს ახალი 37,7 მლრდ დოლარის კრედიტი გამოუყო.

2008 წლის III კვარტალში AIG—ის სუფთა ზარალმა 23,47 მლრდ დოლარი შეადგინა, როცა ერთი წლით ადრე ანალოგიურ პერიოდში კომპანიამ 3,09 მლრდ დოლარის სუფთა მოგება მიიღო. **ჯი-ეიჩ-ენი**

## გერმანიაში ხმაურიანი სკანდალი მწიფდება

გერმანიაში ახალი ხმაურიანი სკანდალი მწიფდება, რომელიც ბანკის ანაბრების საიდუმლოობის დარღვევას ეხება. ერთ-ერთ გერმანულ გაზეთში, უცნობებმა, ბერლინის ბანკ LBB-ის რამდენიმე ათასი კლიენტის საკრედიტო ბარათების შესახებ დეტალური ინფორმაცია გააგზავნეს. მიღებულ მონაცემებში ინფორმაციაა საკრედიტო ბარათებზე, მათი მისამართი, ასევე დეტალური მასალა წელს მათ მიერ განხორციელებულ ოპერაციებსა და შეძენებზე, იუწყება —`°.

ბოროტმოქმედების წინაშე, რომლებმაც ამ ინფორმაციის მიღება შეძლეს, დიდი შესალებლობები იხსნება, აცხადებენ ექპერტები.

პოლიციამ LBB-ს კლიენტებს მოუწოდა, უკანასკნელი რამდენიმე თვის საბანკო ამონაწერი შეამოწმონ და აუცილებლობის შემთხვევაში ანგარიშები დაბლოკონ.

ინფორმაციას, კლიენტების კონფიდენციალური მონაცემების დაკარგვის შესახებ ბერლინის ბანკშიც ამოწმებენ. მისი წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ მეანაბრეებს არაფერი ემუქრებათ და, თუ რომელიმე კლიენტი დაზარალდა, ბანკი პირობას დებს, მას მიყენებულ ზარალს აუნაზღაურებს, წერს Deutsche Welle. **ჯი-ეიჩ-ენი**

## აშშ-ს სენატმა ამერიკულ ავტოკონცერნებს ფინანსურ დახმარებაზე უარი უთხრა

აშშ-ს სენატმა არ დაამტკიცა ამერიკული ავტოკონცერნების დახმარების გეგმა, რომელიც ბიუჯეტიდან ავტომწარმოებლებისათვის 15 მილიარდი დოლარის გამოყოფას ითვალისწინებდა. ეს გეგმა სენატმა მას შემდეგ დაიწუნა, რაც ავტოკონცერნის მოსამსახურეთა პროფკავშირებმა უარი განაცხადეს სენატორთა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რომლის მიხედვითაც, ხელფასები იაპონურ ავტოკონცერნებში არსებული ანაზღაურების დონემდე უნდა შემცირებულიყო.

სენატის ამ გადაწყვეტილებას უკვე მოჰყვა რეაგირება იაპონური ბირჟების მხრიდან. ნიკეის ინდექსი 5,29 პროცენტით დაეცა, ამერიკულმა დოლარმა კი, იაპონურ იენთან მიმართებაში 13-წლიან მინიმუმს მიაღწია.

ალსანიშნავია, რომ სენატისგან განსხვავებით, კონგრესმა ზემოხსენებული გეგმა უპრობლემოდ დაამტკიცა. **მედიანიუსი**

# "SWISSLINE"

## ÖÍÉÊÀËÖÒ ÉÍÂÒÄÃÉÄÍÔÄÁÉÓÂÀÍ ÃÀÌÆÀÃÄÁÖËÉ ÐÒÏÃÖØÝÉÀ

სოფო ჩიხლაძე



უმაღლესი კლასის, პარასამედიცინო კოსმეტიკური საშუალებების მწარმოებელმა შვეიცარულმა კომპანიამ "DERMALAB"-მა მომხმარებელს ახალი ხაზი, სხეულის კანის მოვლის სპა საშუალებები შესთავაზა. საქართველოში "Swiss Line"-ის პროდუქცია, რომელსაც სწორედ ეს შვეიცარული კომპანია ამზადებს, უკვე წელიწადნახევარია იყიდება. "Swiss Line"-ის პარასამედიცინო კოსმეტიკის ექსკლუზიური დისტრიბუტორი ქართული კომპანია "აზური"-ა.

"Swiss Line" ნიშური ბრენდია, რომელიც დაბერების საწინააღმდეგო კოსმეტიკური პროდუქტების რამოდენიმე კოლექციას გვთავაზობს; თითოეულ მათგანში კანის მოვლის საშუალებათა ფართო ასორტიმენტია წარმოდგენილი; ისინი ნატურალური, ძვირფასი ინგრედიენტებისაგან მზადდება და შესაბამისად ძვირადღირებულია.

შვეიცარული კომპანია "DERMALAB"-მა ეს ბრენდი 15 წლის წინ შეიქმნა და დღეისათვის "Swiss Line"-ს მსოფლიოს 32 ქვეყანაში ავრცელებს. როგორც კომპანიის წარმომადგენლები აცხადებენ, "Swiss Line" ნელა, მაგრამ სტაბილურად იმკვიდრებს თავს ქართულ ბაზარზეც.

"DERMALAB"-ი ძალიან დიდ ყურადღებას აქცევს "Swiss Line"-ს დისტრიბუტორ კომპანიებს სხვადასხვა ქვეყანაში და მათთვის რეგულარულ ტრენინგებს ატარებს შვეიცარიაში; გარდა ამისა, "DERMALAB"-ის წარმომადგენლები სტუმრობენ ამ ქვეყნებს და ადგილზე აცნობენ პროდუქციას. სწორედ ამ მისიით საქართველოს კომპანია "DERMALAB"-ის პროდუქტებისა და საერთაშორისო ტრენინგის მენეჯერი ლორა ნიკოლსონი ეწვია და ორ დღიანი სემინარი ჩაატარა. პირველ დღეს მან "Swiss Line"-ის პროდუქციით მომუშავე ქართველ კოსმეტოლოგებს, სახის მოვლის ამ საშუალებებზე ესაუბრა, მეორე დღეს კი ქართველ მასაჟისტებს ლორა ნიკოლსონმა "Swiss Line"-ის ახალი ხაზი, სხეულის კანის მოვლის სპა პროდუქტები გააცნო. **"ამ უძვირფასეს ბრენდს სხვა მოდური, ფართოდ რეკლამირებული ბრენდებისგან ის განასხვავებს, რომ "Swiss Line"-ს სერიოზული პარასამედიცინო დატვირთვა აქვს, რაც კანის კონკრეტული პრობლემების მოგვარებაზე არის გათვლილი და კანის დაბერების პროცესთან სერიოზულ ბრძოლას გულისხმობს. "Swiss Line"-ის პროდუქტები შეიცავს უნიკალურ ორგანულ და მცენარეულ ინგრედიენტებს, რომლებიც მათში მაღალი კონცენტრაციით არის წარმოდგენილი. ტექნოლოგიური პროცესები, რომლითაც ეს ინგრედიენტები და საბოლოოდ კოსმეტიკური პროდუქტები მიიღება, უაღრესად ინოვაციური და დახვეწილია. ვინაიდან პროდუქცია უაღრესად მაღალი ხარისხისა და შესაბამისად, ძვირადღირებულია, ის გათვალისწინებულია მაღალშემოსავლიან მომხმარებელზე, -** აღნიშნა, "24 საათთან" საუბრისას კომპანია "DERMALAB"-ის პროდუქტისა და საერთაშორისო ტრენინგის მენეჯერმა ლორა ნიკოლსონმა, **- მსოფლიო ბაზარზე ჩვენი სახელი იმითიც არის განსაკუთრებული, რომ სწორედ შედეგებზე ვართ ორიენტირებული, სწრაფად მიღწევადი და სტაბილური შედეგი ყველაფერში უნდა ვაჩვენოთ. როდესაც სახის მოვლის საშუალებებს ახალი კოლექცია, სხეულის კანის მოვლის საშუალებები დავუმატეთ, აქაც რა თქმა უნდა კონკრეტულ პრობლემებსა და რეზულტატებზე ვახდენთ გათვლას.**

საქართველოში "Swiss Line"-ის პროდუქციის შეძენა მაღალი კლასის სალონებში არის შესაძლებელი. "Swiss Line"-ის პირველი კოსმეტიკური კაბინეტი თბილისში ფრანგული სილამაზის სალონ "FRANCK PROVOST"-ში გაიხსნა. **"დღეისათვის "Swiss Line" რამდენიმე სალონსა და ესთეტიკურ კლინიკაში დამკვიდრდა, სადაც კოსმეტოლოგები ამ პროდუქციით ატარებენ პროცედურებს და მომხმარებლებს სახლში კანის მოსავლელადაც ამ კოსმეტიკურ საშუალებებს სთავაზობენ. "Swiss Line" ამ მხრივ ძალზე მოსახერხებელია, რადგან როგორც გასაყიდი, ისე პროფესიული ხაზი აქვს (ეს უკანასკნელი ბევრ ცნობილ კოსმეტიკურ ბრენდს არ გააჩნია). სწორედ ამ თვალსაზრისით ვფართოვდებით ადგილობრივ ბაზარზე. გადაჭარბების გარეშე ვიტყვი, რომ ქართველი მანდილოსნები, რომლებმაც საკუთარ კანზე ზრუნვა "Swiss Line"-ს მიანდეს, აღფრთოვანებულები არიან შედეგებით. " Swiss Line"-ის მცენარეული, ბიოტექნოლოგიურად სრულიად ინოვაციური ბუნებრივი კომპლექსების შემცველი კოსმეტიკა არაჩვეულებრივად მოქმედებს კანზე"** - გვითხრა, "swissline"-ის საქართველოს წარმომადგენლობის ბრენდ მენეჯერმა მაკა გამყრელიძემ.

ახლო მომავალში კომპანია "აზური" თბილისისა და ქობულეთის სპა სალონებში, "Swiss Line"-ის პროდუქტების შეტანას გეგმავს.

## ÂÄÒÌÀÍÖËÉ ÊÏÍÝÄÒÍÉ Siemens AG ÌÒÀÅÀËßËÉÀÍÉ ÊÏÒÖ×ÝÉÖËÉ ÓÀÌÀÒÈÀËÃÀÒÙÅÄÅÉÓ ÀÙÉÀÒÄÁÀÓ Ï×ÉÝÉÀËÖÒÀÃ ÀÐÉÒÄÁÓ

გერმანული კონცერნი Siemens AG მრავალწლიანი კორუფციული სამართალდარღვევის აღიარებას ოფიციალურად აპირებს და კომპანიის ისტორიაში უდიდესი სკანალის დასარეგულირებლად აშშ-ს მთავრობას დაახლოებით 800 მლნ დოლარს გადაუხდის, იუწყება Associated Press. ვაშინგტონის საოლქო სასამართლოს დოკუმენტების თანხმად, Siemens-ი და მისი შვილობილი კომპანიები ვენესუელაში, ბანგლადეშსა და არგენტინაში დათანხმდნენ, აშშ-ს იუსტიციის სასამართლოს 450 დოლარის ჯარიმა გადაუხადონ. ამერიკული საინფორმაციო საშუალებების ინფორამციით, გერმანული კონცერნი კიდევ 350 მლნ დოლარს აშშ-ს ფასიანი ქაღალდბისა და ბირჟების კომისიას გადაუხდის. სისტემატური ქრთამის მიცემის ფაქტები, რომლის დახმარებითაც Siemens-ის მენეჯერები მომგებიან უცხოურ კონტრაქტებს იღებდნენ, 2006 წელს გაირკვა და, ამის შემდეგ, რამდენიმე სახელმწიფომ კონცერნის მიმართ ანტიკორუფციული გამოძიება დაიწყო. აშშ-ს იუსტიციის სამინისტროს მონაცემებით, არალეგალური სქემები Siemens-ში 2001 წლიდან 2007 წლამდე მოქმედებდა. ასევე, კომპანიის მენეჯერების მიერ შემუშავებული იყო "ჩრდილის" ფონდების არასაბალანსო დათვლის სისტემა და ფალსიფიკაციის დოკუმენტები. საერთო თანხამ უკანონო ან საეჭვო ტრააქციების 1,3 მლრდ დოლარზე მეტი შეადგინა. 2007 წელს მიუნხენის სასამართლომ Siemens-ი 1 მლნ ევროთი დააჯარიმა და კომპანიას 200 მლნ დოლარის მოგება ჩამოართვა, რომელიც გამოძიების აზრით, კონცერნმა ჩინოვნიკებისა და რუსეთის, ლიბიისა და ნიგერიის სახელმწიფო კომპანიების მენეჯერებისთვის ქრთამის მიცემით მიიღო. ასევე, შარშან Siemens-ის ახალ ხელმძღვანელად პეტერ ლეშერი დაინიშნა, რომელმაც კომაპნიის მენეჯმენტში მასშტაბური წმენდა ჩაატარა. Siemens-მა გამოძიებასთან თანამშორმლობა დაიწყო და 2008 წლის ნოემბერში კორუფციული ბრალდების დასარეგულირებლად 1 მლრდ ევროს რეზერვი შექმნა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ÓÀØÀÒÈÅÄËÏ ÌÀÒÔÉÅÉ ÓÀÂÀÃÀÓÀáÀÃÏ ÓÉÓÔÄÌÉÈ ÌÓÏ×ËÉÏÛÉ ÌÄÏÈáÄ ÀÃÂÉËÓ ÃÀÉÊÀÅÄÁÓ

საქართველოს ფინანსთა მინისტრ ნიკა გილაურის განცხადებით, მომავალი წლიდან საქართველო ერთ-ერთი ყველაზე მარტივი საგადასახადო სისტემის მქონე ქვეყანა იქნება. როგორც მან ფინანსთა სამინისტროს ორგანიზებით გუდაურში ჟურნალისტებისთვის გამართულ სემინარზე განაცხადა, ამას ქვეყანა საგადასახადო და საბაჟო კოდექსებში მთელი რიგი ცვლილებების შეტანით მიაღწევს, რომლებსაც ამჟამად პარლამენტი განიხილავს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლილებით, 2009 წელს საშემოსავლო გადასახადი 25-დან 20 პროცენტამდე შემცირდება. შესაბამისი ცვლილების დამტკიცების შემდეგ, ჰონგკონგის, სინგაპურისა და ჰიბრალტარის შემდეგ, საქართველო ერთი-ერთი ყველაზე დაბალი საგადასახადო წნეხით, მსოფლიოში მეოთხე ადგილზე იქნება. **მედიანიუსი**

# ÓÄÍÀÔÌÀ ÀÌÄÒÉÊÖËÉ ÀÅÔÏÊÏÌÐÀÍÉÄÁÉ ÂÀßÉÒÀ

## ახლა ჯერი პრეზიდენტ ჯორჯ ბუშზეა

მერაბ ლორთქიფანიძე

აშშ-ის სენატმა მხარი არ დაუჭირა ამერიკული დიდი სამეულის გადარჩენის პროგრამას, რომელიც მანამდე ქვეყნის კონგრესმა და პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაციამ მოიწონეს. ამგვარად, სულ უფრო რეალური ხდება მოვლენათა არასასურველი განვითარება, რომელიც ამერიკულ ავტოინდუსტრიას კრახამდე მიიყვანს, რასაც მთელს მსოფლიოში სერიოზული კრიზისის გამოწვევა შეუძლია.

იმისათვის, რომ კონგრესის მიერ მოწონებული გეგმა (რომელიც ჯენერალ მოტორსისთვის და კრაისლერისთვის შეღავათიანი სესხის სახით 14 მილიარდი დოლარის გამოყოფას ითვალისწინებდა) გასულიყო, პროექტს სენატში ასიდან 60 ხმა უნდა მიეღო. მაგრამ ჯერ კიდევ კენჭისყრამდე აშკარა გახდა, რომ პროექტის მომხრეები ხმების სასურველ რაოდენობას თავს ვერ მოუყრიდნენ.

ასეც მოხდა. ამერიკული კომპანიებისთვის დახმარებას მხარი 52-მა სენატორმა დაუჭირა, 35 კი წინააღმდეგი წავიდა. სენატში დემოკრატების ლიდერმა ჰარი რიდმა კენჭისყრის შედეგებს ქვეყნისთვის აუნაზღაურებელი დანაკარგი უწოდა. ხვალ მე უოლ სტრიტზე შევლის შემეშინდება, რადგან იქ ყველას არასასიამოვნო სანახაობა ელის , - სიენენთან საუბარში განაცხადა რიდმა.

კრიზისში ამერიკულ კომპანიებს ერთადერთი იმედიღა რჩებათ - ქვეყნის პრეზიდენტი, რომელსაც მათი გადარჩენისთვის საჭირო თანხის გამოყოფა სპეციალური ფონდიდან შეუძლია. თუმცა, როგორც ანალიტიკოსები ამბობენ, ამ შემთხვევაში, გამოყოფილი თანხის ხარჯვის გაკონტროლება გაცილებით რთული იქნება, ვიდრე სენატის მიერ შეთავაზებული კანონპროექტის მიღების შემთხვევაში იქნებოდა.

სენატში მომხრეები არ გვაკლდა, თუმცა სამწუხაროდ, ჩვენთვის სასურველ გადაწყვეტილებას მაინც ვერ მივაღწიეთ, რითაც ძლიერ გაწბილებულები ვართ. ისღა დაგვრჩენია, გავაკეთოთ ყველაფერი, რაც შეგვიძლია, რათა დაწყებული რესტრუქტურიზაციის პროცესი ბოლომდე მივიყვანოთ და თავი დავაღწიოთ ჩვენი კომპანიის ისტორიაში ყველაზე მძიმე კრიზისს , - ნათქვამია ჯენერალ მოტორსის ოფიციალურ განცხადებაში.

ეკონომისტები, იურისტები და დარგის ანალიტიკოსები ირწმუნებიან, რომ ერთი ან ორი ამერიკული საავტომობილო კომპანიის გაკოტრება აშშ-ის ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფ ეკონომიკას კიდევ უფრო გაურთულებს საქმეს. უფრო მეტიც, ეს გლობალურ ეკონომიკასაც ძლიერ დააზარალებს.

ამის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ სენატში ამერიკული დიდი სამეულისთვის დახმარების კანონპროექტის ჩავარდნის შემდეგ, თითქმის სამი პროცენტით დაეცა აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნების საფონდო ინდექსები. ყველაზე მეტად კი იაპონიის ნიკეიმ და ჰონ კონგის ჰან სენმა იზარალეს, რომელთა ინდექსები ხუთ პროცენტზე მეტით დაეცა. პარალელურად, აშშ-ში ბარელი ნავთობის ფასმა თითქმის ორი დოლარით მოიკლო და 46.11 დოლარის ნიშნულზე გაჩერდა.



მარცხნიდან: რიჩარდ ვაგონერი, რობერტ ნარდელი, ალან მიულალი და გაერთიანებული ავტო პროფკავშირების პრეზიდენტი რონ გეტელფინგერი

დემოკრატები ითხოვენ, რომ ბუშმა ავტოკომპანიებს საშველი თანხა იმ 700 მილიარდდოლარიანი ფონდიდან გამოუყოს, რომელიც პრეზიდენტმა, კონგრესის თანხმობით, ამერიკული ეკონომიკის გადასარჩენად ოქტომბერში გამოყო.

აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკელები პრინციპში კონგრესის მიერ მოწონებული კანონპროექტის დამტკიცებას მხარს უჭერდნენ. ოღონდ, მათ ერთი მოთხოვნა ჰქონდათ. ეს მოთხოვნა ავტო პროფკავშირებს ეხებოდა და ითვალისწინებდა, რომ პროფკავშირს ამერიკულ კომპანიებთანაც იმავე პირობებით უნდა დაედო ხელშეკრულება, როგორიც მათ იმ უცხოურ კომპანიებთან აქვთ, რომლებიც აშშ-ში ავტომობილებს აწარმოებენ. ახლანდელი ხელშეკრულებით კი, ამერიკული კომპანიები თავიანთ მუშებს იმაზე საშუალოდ 3 დოლარით მეტ საათობრივ ანაზღაურებას ღებულობენ, ვიდრე უცხოური კომპანიების ქარხნებში მომუშავენი.

მოკლედ, პროფკავშირებმა ეს პირობა არ მიიღეს. უფრო სწორედ, ისინი ყველაფერზე თანახმანი არიან, მაგრამ ხელფასების შემცირებას ავტოკომპანიებთან ახლახანს დადებული სამწლიანი კონტრაქტების ვადის გასვლის შემდეგ თანხმდებოდნენ (ფაქტობრივად, პროფკავშირებმა სატყუარას გარეშე თევზის დაჭერა ისურვეს). ჰოდა, რესპუბლიკელებმაც თითქმის მოწონებული კანონპროექტი დაიწუნეს.

შეთანხმებამდე სულ სამი სიტყვა გვაშორებდა, მაგრამ ეს სიტყვები ვერ მოვისმინეთ , - ამბობს შტატ ტენესის რესპუბლიკელი სენატორი, რესპუბლიკური პარტიის მიერ შემუშავებული ალტერნატიული კანონპროექტის ავტორი ბობ კორკერი.

სენატის საბანკო საქმეების აღმასრულებელი, კონექტიკუტელი დემოკრატი კრისტოფერ დოდი ამბობს, რომ მოლაპარაკებათა ჩაშლა პოლტიკური გადაწყვეტილება იყო, მაგრამ ის ქვეყნის ეკონომიკას ძალიან ძვირად დაუჯდება.

შეგახსენებთ, რომ თავიდან, სამი კომპანიის (ჯენერალ მოტორსი, ფორდი, კრაისლერი) მთავარმა აღმასრულებლებმა (შესაბამისად, რიკ ვაგონერმა, ალან მიულალიმ და ბობ ნარდელიმ) ქვეყნის მთავრობისგან და კანონმდებლებისგან დახმარების სახით 34 მილიარდი დოლარი მოითხოვეს. თუმცა, შემდეგ მთხოვნელთა სიას ფორდი გამოეთიშა, რომელიც აცხადებს, რომ თუ რომელიმე სხვა ამერიკული ავტოკმპანია არ გაკოტრდა და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო არ გართულდა, დახმარება არ დასჭირდება. გართულების შემთხვევაში კი 9 მილიარდ დოლარს მოითხოვს.

დანარჩენი ორ კომპანიიდან, კრაისლერს მინიმუმ 4 მილიარდი წელსვე სჭირდება, რათა კრედიტორების ნაწილს ანგარიში გაუსწოროს ( კრაისლერს მიმწოდებლებისთვის ყოველ 45 დღეში დაახლოებით 7 მილიარდი დოლარის გადახდა უწევს და როგორც მისი ფინანსების შეფი რონ კოლკა ამბობს, თავისუფალი საოპერაციო სახსრები თითქმის არ გააჩნია), ჯენერალ მოტორსი კი თავიდან აცხადებდა, რომ ფულადი რესურსი გაზაფხულამდე ეყოფოდა, თუმცა ახლა ირკვევა, რომ თუ თებერვლამდე დახმარებას არ მიიღებს, ცოტა ხნის წინ მსოფლიოს უდიდეს ავტოკომპანიას გაკოტრების რეჟიმში გადასვლა მოუწევს.

რაც შეეხება დარჩენილ იმედებს, რომ ავტოკომპანიებს დახმარების ხელს მაინც გაუწვდიან. ერთის შესახებ უკვე მოგახსენეთ - პრეზიდენტს სპეციალური ფონდის გამოყენება შეუძლია, რის უფლებასაც მას დიდი დეპრესიის დროს მიღებული კანონი აძლევს. ამ კანონის მიხედვით, საგანგებო სესხების გაცემა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ ამ სესხს ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი კომპანია უკიდურესი გაჭირვების გამო ითხოვს.

მეორე ვარიანტი პირველს ეყრდნობა. ის გულისხმობს, რომ კონგრესი მის მიერ უკვე მოწონებულ კანონპროექტს იანვარში მიუბრუნდება. ამ დროს სენატში უმრავლესობა დემოკრატებს ეყოლებათ. ამ შემთხვევაში, კანონპროექტი მთელ პროცედურას კიდევ ერთხელ გაივლის და სავარაუდოდ, სენატი მას დაამტკიცებს. ოღონდ, შესაძლოა, კრაისლერისთვის უკვე გვიანიც კი იყოს. სიდიდით მესამე ამერიკული ავტოკომპანია ახლა მხოლოდ პრეზიდენტ ბუშის იმედად შეიძლება იყოს.

ახლა ბუშის სვლაა. ქვეყანაში დომინოს ქვები უკვე იქცევა და ამ პროცესს ახალი სტიმული აღარ სჭირდება, თორემ ქვეყანის ეკონომიკა ძალიან მძიმე დღეში ჩავარდება , - ამბობს ოჰაიოელი რესპუბლიკელი სენატორი ჯორჯ ვოინოვიჩი. ჰარი რიდი და თეთრი სახლის პრესმდივანი ნენსი პელოსი ამბობენ, რომ ბუშმა მის ხელთ არსებული რესურსი აუცილებლად უნდა გამოიყენოს და მთხოვნელ კომპანიებს სასწრაფო ფინანსური დახმარება გაუწიოს, რათა კონგრსის ვარიანტის ხელმეორედ ამოქმედებამდე, კომპანიების გაკოტრება არ დაუშვას.

სხვათა შორის, დემოკრატები ბუშისგან ამას საკითხის კონგრესში განხილვამდეც მოითხოვდნენ, მაგრამ პრეზიდენტმა საქმე კანონმდებლებს მიანდო. მაშინ ბუშმა განაცხადა, რომ ოქტომბერში გამოყოფილი 700 მილიარდი დოლარი მხოლოდ ფინანსური სექტორის საშველადაა განკუთვნილი და ავტოკომპანიებს იქიდან ცენტიც არ ერგებათ.

მოკლედ, სანამ სენატი პროფკავშირებთან შეუთანხმებლობის გამო ამერიკული ავტოკომპანიების გადარჩენისგან თავს იკავებს, (უოლ სტრიტ ჯორნელის ინფორმაციით) ჯენერალ მოტორსმა და კრაისლერმა უკვე დაიწყეს კონსულტაციები მოწვეულ მრჩეველებთან, რომლებთან ერთადაც კომპანიების გაკოტრების შესაძლებლობა და ამ შემთხვევაში გასატარებელ ღონისძიებათა ნუსხა განიხილება.

თუმცა, ამის მიუხედავად, ჯენერალ მოტორსი ირწმუნება, რომ გაკოტრების რეჟიმში გადასვლა არ მოუწევს. მისი დირექტორთა საბჭო ყოველდღიურად ატარებს თათბირებს, რომლებზეც მოვლენათა შესაძლო განვითარების სხვადასხვა ვარიანტს განიხილავენ.

ჯენერალ მოტორსის მთავარი აღმასრულებლისა და დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე რიკ ვაგონერის თქმით, გაკოტრების ვარიანტი მხოლოდ იმის გამო არ განიხილება, რომ მისი კომპანიის სასამართლოს მეთვალყურეობის ქვეშ რეორგანიზაციაც შეუძლებელი იქნება და ამ შემთხვევაში, გენერლებს თვითლიკვიდაციის გამოცხადება მოუწევთ.

უოლ სტრიტ ჯორნელის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ჯენერალ მოტორსს კონსულტაციები აქვს გაკოტრების საქმეთა ნიუიორკელ სპეციალისტ ჰარვი მილერთან, კრაისლერს კი იმავე მიზნით დაქირავებული ჰყავს იურიდიული კომპანია ჯონს დეი , რომლის სპეციალისტებთან ერთადაც, მოვლენათა განვითარების შესაძლო ვარიანტებს აანალიზებს.

კრაისლერი აცხადებს, რომ გაკოტრების საქმეთა სპეციალისტი კომპანია მას შემდეგ მიიწვია, რაც ნოემბერში კონგრესში რესპუბლიკელებმა წამოჭრეს ავტოკომპანიების გაკოტრების საკითხი. კომპანიის მთავარი აღმასრულებელი ბობ ნარდელი კი დასძენს, რომ ჯონს დეის სპეციალისტებთან ერთად საკითხის შესწავლის შემდეგ გამოჩნდა, რომ ერთი რომელიმე ავტოკომპანიის გაკოტრება, ან კრახი, აუცილებლად გამოიწვევს დანარჩენი ორის კრახსაც, რაც ქვეყანას ძლიერ დააზარალებს. ამიტომ, თუნდაც ერთი ავტომწარმოებლის გაკოტრება აშშ-სთვის სასურველი გამოსავალი არ არის...

P.S. თეთრი სახლის ადმინისტრაცია აცხადებს, რომ სენატში ამერიკული კომპანიების დახმარების კანონპროექტის ჩავარდნის გამო, გადამჭრელი და სასწრაფო მოქმედებაა საჭირო იმისათვის, რომ ქვეყნის რეცესია კიდევ უფრო არ გაღრმავდეს. დანა პერინო დასძენს, რომ ნორმალურ ეკონომიკურ სიტუაციაში, თეთრი სახლი საქმეში ჩაურევლობას ამჯობინებდა, მაგრამ ახლა ასეთი საქციელი ქვეყანას სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის. მისი თქმით, ამ ეტაპზე აქტუალურია პროგრამა TARP-ის (ტრუბლდ ასეტს რელიეფ პროგრამ - გაჭირვებული აქტივების შველის პროგრამა) ამოქმედება. ამ პროგრამით, 700 მილიარდი დოლარია გამოყოფილი, რომლის ნახევარი უკვე ათვისებულია. ეს იმას ნიშნავს, რომ მეორე ნახევრიდან ნაწილის (15 მილიარდის) ავტოკომპანიებისთვის გამოყენებას, თუ ამას პრეზიდენტი ისურვებს, წინ ისევდაისევ, სენატი თუ აღუდგება.



# ანაბარი "ჩემი სეიფი"

- თანხის თავისუფლად განკარგვის შესაძლებლობა
- მაღალი საპროცენტო სარგებელი

27 27 27 | * 27 27 | **www.tbcbank.ge**

თიბისი ბანკი
TBC BANK

ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

øÀÒÈÖË ÁÀÍÊÄÁÓ ÂÀÊÏ ÔÒÄÁÀ